

ქვირის პალიტრა



N20(49) 17/V.-23/V.2001.

ფასი 60 თ.

**როგორ დასაჯა  
იბალიელი  
„რეკვირები“  
ქაქუცა  
ჩოლოყაშვილი**

**უფუბინსკი  
პლესანოვი  
„ბოშის“  
ღაქსეზა მღერის**

1168  
2001

**ანა სურმაგა:**

**პეტო ფანტასტიკურია...  
არაფერში არ „იჭრება“...**



**მინისტრი მერაბ ადუიშვილი და  
საკრებულოს წევრი მერიკა დარჩია  
ხუთი წლის წინ შეუღლდნენ,  
ერთმანეთს ორ-ორი შვილი დაახვედრეს  
და ამ კავშირით სიჭაბუკის დროინდელ  
სიყვარულს დაუბრუნდნენ...**

**გვ.10**



**ბიენატურები**

„შეხვედრის მეფე“  
ქართველი ბახლეა 3

**ახლო ხალხი**

ანა სურმავა:  
„პეტო უანტასტიკურია...  
არაფერში არ „იჭრება“...“ 4

**ბელი კახისა**

„მინდა, ჩემს სიმღერებს  
ხალხი მღეროდეს...“ 7

**ქალბატონი**

„ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია  
„კომპიტივის“ გამოკვება“ 10

**პროსონა**

ალექსი ჭინჭარაული:  
„ამ არჩევნებში კენჭს იყრის ერთი,  
ღანარჩენები – მახათს იყრიან...“ 12

**შეჩაკვული ნაბი**

... და სიმღერისთვის  
შეიქმნა ალაშიანი 15

**ანტიდუარკანტი**

მწვორმაციულ-შეშინებითი  
კოლაჟი გოჩა ღვალის  
უბის წიგნაკიდან 16

**ლაშიანი**

„ბავშვი ავიყვანე და ვუთხარი:  
თუ კმა არ გინდათ, –  
ამას მე წავიყვან-მეთქი...“ 16

**შახნიოვი**

„ლაშაში ქალის სიყვარულით  
გვერი სისულელე ჩამიდენია“... 18

**მსვედრა**

„ნამდვილი ღელა ის არის, ვინც  
სიყვარული არ მოგაკლო...“ 21

**კრიმინალი**

ბანსასჯელმა პროტესტი  
პროკურორის ბინებით გამოხატა 24

**ალარკა**

„კომოსეპსუალისტი ჩემში  
16 წლისამ აღმოვაჩინე“ 26

**გაგონებით თქვენი სოფლა**

ტესტი ერუდინიაზე 28

**ბიოგრაფი**

ტყვედუროვლი მენდიერისა და  
არქეოლოგიისთვის შეწირული  
მემკვიდრეობის აბაკვი 29

**საბარკებლო აზრები**

აფორიზმების ენციკლოპედია 30

# ქაქუნას სახელს იმ დღესაც დიდ პატივს სვამენ



იგალიელმა ჭიქა ვააგდებისა ხელიდან და თავისიანებს ქაქუნას დასჯა უბრძანა, მაგრამ ვინ აცალა?! ქართველებმა სასწაული დააგრიალეს და რამდენიმე წუთში გაკოჭილი „რეკეტიორები“ იაგაკმე ყყარნენ...

40


# „პეტო უანტასტიკურია... არაფერში არ „იჭრება“...“

ერთხანს წინააღმდეგობის გაწევას ვცადე, მაგრამ მივხვდი, მათთან არ ღირდა... მანქანის საბარგულში დამიპირეს ჩასმა. ვუთხარი – აქედან ცოცხალს ვერ ამომიყვანთ, ვერ ვისუნთქებ-მეთქი. 7 ადამიანი ვისხედით ჩემი მანქანის სალონში.



4

# „მინდა, ჩემს სიმღერებს ხალხი მღეროდეს“



შუგუტინსკიმ ინტერვიუში აღნიშნა, რომ Две сечи-ის ტექსტის ავტორი უცნობია და სთხოვდა ავტორს – გამოხმაურებოდა. იქნებ ჩატარდეს ექსპერტიზა და გაირკვეს ჭეშმარიტება. მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ამ სიმღერების ტექსტის ავტორი ვახლავართ.

7

# „ლაშაში ქალის სიყვარულით გვერი სისულელე ჩამიდენია“

მოსკოვში ვიყავი გასტროლებზე. ძალიან მომეწონა ერთი რუსი ქალი, რომელიც ლენინგრადში მიდიოდა. ორი დღე სპექტაკლი არ გვექონდა, მეც ავღეი და ლენინგრადში ჩავაკითხე...



საბარკებლო  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა 18

**ფსიქოლოგიური თემატიკა**

შეამჩნევთ თქვენი მუხრალეების ინტენსივობა 31

**სამხარე**

ავტომობილი - მგობარი თუ საყვარელი? 32

**ისტორიის გაკვეთილები**

1921-22 წლების სვანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება 34

**ტანჯა**

ერთგული მკითხველი 36

**საორბი და ბიზნესი**

საფინანსო მილიარდები 37

**მოგზაურის დღიურები**

ქაქუცას სახელს იმ დღესაც დიდ კატივს სცემენ 40

**პარაკლავები**

ბედნიერებით კმაყოფილი ქალის როლი 43

**ნოველა**

ლეონ თოფურიძე. პიერო 46

**ავტო**

● FIAT-ის ახალი მოდელები 50  
● „რამდენად კარგი მკვლელი ხართ?“ 51

**ესკიზები**

„ეჭვი მიკერობს, მთელი ცხოვრება უსარგებლოდ განვლე...“ 52

**ჯანმრთელობა**

როგორ ვიკვებებით? 54

**ადამიანი-ლევანა**

რით ღამისასურა სიძულვილი ავი გულდგა? 56

**მილიონალები**

სპანოვარი 60

**სპანოვარი**

პვირის (21-27 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტანჯა**

როგორი ღამიკვირებულება გაქვთ უშუალოდ? 63

**კალენდრული**

ზრალ-ზრალი ამბები 9, 20, 23, 64

**გარეკანები: გიორგი შორშოლიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამომცემის კვირაში ერთხელ, სუთნაბათობით გაჯეტ „კვირის კალიტრის“ დამატება შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**„ამ პრეზენტები გენჯს იერის პრტი, დანარჩენები - მახათს იერბან...“**



მთაში პაგარ-პაგარა სოფლებია. იქ ყოფილა დედაჩემი, როცა მუცელი ასკივებია. რა უნდა ექნა? გადასულა მდინარეზე. ერთ „გადმოხურულ“ კლდეზე - ბაგკნების შესაყრელად ქვებით შემობლულ „ოთახში“ ცეცხლი დაუნთია და მარგოს უმშობიარია.

12

**განსახველვა პროტესტი პროკურორის ბინებით გაქონება**

დასკვნის შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელმა განსახველისგან დელის გინებას კი მიიღო, რის შემდეგაც ყოჩიშვილი ბადრაგებს ხელიდან გაუსხლგა და სასამართლო დარბაზიდან გაეფარდა... მოსამართლემ თქმში დააფიქსირა, რომ ყოჩიშვილმა სასამართლო დარბაზი თვითნებურად დაგოვა.



24

**ბედნიერებით კმაყოფილი ქალის როლი**



როცა გრანგი გადაღებებზე ამერიკაში მიემგზავრებოდა, ლიბს საქმე პარიზში ჰქონდა. პიუს შეეძლო, ნაბი და მოსიყვარულე ყოფილიყო, მაგრამ ჭირვეულობა და სიჯიუტე ყოველთვის სჯაბნიდა მის კარგ თვისებებს.

43

**პიერო**

ღმერთმა ყველას სხვადასხვა მარიფათი და სხვადასხვა საქმე მისცა. თქვენ აკრიტიკებთ, ჩვენ ფულსა და საქმეს ერთად ვაკეთებთ. რა, არ გვეუთენის? ჩვენ გყვიას ვუშევროთ შუბლს.



46

# „ფეხნურიის მეფე“ ქართველი გახდება



პელე ჩამოდის საქართველოში, თანაც კონკრეტულად ქუთაისში – ამ ათი დღის წინ გაჩნდა ცნობა ქართულ (და არა მარტო ქართულ) პრესაში. სტუმარი ღვთისაა – მობრძანდეს და დავეხვებით, მაგრამ როგორც ამბობენ, ეს უბრალო სტუმრობა არ იქნება: ამ ვიზიტმა უფსკრულის პირას მყოფ ქართულ ფეხბურთს მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს (ოღონდ არა უფსკრულისკენ), ე.ი. როგორც „იმერულ ესკიზებშია“: უნდა „უჯიკოს“.

საერთოდ ამ ვიზიტის აღნიშნული ფუნქცია პრინციპად შეიძლება მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ, არა მხოლოდ ფეხბურთის და საერთოდ სპორტის, არამედ ყველა სხვა დარგის განვითარების მიზნით. ოღონდ ისეთები კი არ უნდა ჩამოვიყვანოთ, ისევე „იმერული ესკიზებისა“ არ იყოს, „თვითონ საჯიკებლები“ რომ არიან, არამედ ის ადამიანები, რომლებსაც თავიანთ სფეროში იმაზე არანაკლებ გაუთქვამთ სახელი, როგორც პელეს ფეხბურთში. ასე, მაგალითად: ბალცეროვიჩი და რაღაც ფონდები რომ მიდი-მოდიან და თან ჭკუას გვარიგებენ, მათ მაგივრად ბილ გეიტსი უნდა მოვიწვიოთ, ეკონომიკის სამინისტროს შემობაში გავატარ-გამოვატაროთ და აღორძინებაც დაიწყება; ანდა თავდაცვის სამინისტრო აიღეთ – სულ არ არის საჭირო, მთელ მსოფლიოში მათხოვრად წაწვადი, იარაღისა და ჯარისკაცთა კვების დაფინანსებისთვის – ავდგეთ და „ჩვენი მეგობარი“ საფრანგეთის მთავრობას ვთხოვოთ – ერთი-ორი წლით გადმოგვასვენებინოს საბურთალოს პანთეონში ნაპოლეონ ბონაპარტის ნეშტი. გაძლიერდება ჩვენი არმია და საკუთარი ხარჯებით გადავასვენებთ პარიზში.



ახლა ისევე პელეს ჩამობრძანებას დავუბრუნდეთ – ამასთან დაკავშირებულ ინფორმაციებში ისიც იყო ნათქვამი, რომ ფილმის გადაღებაც ყოფილა დაგეგმილი: „ქუთაისელი პელე“. ვფიქრობ, დიდად საინტერესო ფილმი უნდა გამოვიდეს და „ფეხბურთის მეფეს“, ვინმე ისე მოეწონოს ძველი აია, რომ იქნებ სამუდამოდ აქ დარჩეს და „გრიშკია“ ან „ჟორია“ დაირქვას. აბა, მაშინ ნახეთ, რა სიმაღლეებს მიაღწევს ჩვენი ფეხბურთი – ფეფერაციის პრეზიდენტი თუ არა, ნაკრების მწვრთნელი მაინც ზომ გრიშა არანტეს დონას მივინტო, ყოფილი პელე, იქნება! ისე, ქართველებსთვის ფეხბურთი რომ მხოლოდ სპორტი არ არის, გასულმა 13 მაისმაც დაადასტურა – ჯერ არსად გადაუხდიათ ასეთი იუბილე კონკრეტული საფეხბურთო მატჩისთვის. იენის „კარლ ცაისი“ კვლავ დაამარცხა თბილისის „დინამომ“ და კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რანი ვიყავით ოცი წლის წინ. იქვე ითქვა, რომ 2021 წლის 13 მაისსაც შეხვდებიან ძველი

მეტოქეები და უკვე ჩვენს შვილიშვილებს დაანახებენ, რომ ქართველებმა ფეხბურთის თამაში იცოდნენ ორმოცი წლის წინ. იმასაც გაინსენებენ ალბათ, რომ საქართველოში პელე არის ნამყოფი და ვახტანგურადაც დაუღევია ქართული ფეხბურთის სადღეგრძელო.

ერთი სიტყვით, სულმოუთქმელად ველით დიდი ბრაზილიელის ჩამობრძანებას და უკვე დარწმუნებულნი ვართ, რომ ფეხბურთის პრობლემა მოხსნილია. ამიტომ ახლავე უნდა შევადგინოთ სხვა დარგების განვითარების გეგმა:

გოლფის ჩასახვა-აღორძინებისთვის – ტაიგერ ვუდსის ჩამოყვანა და მხატვრული ფილმის „ჩხოროწყული ვუდსის“ გადაღება.

ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცებისათვის – სადამ ჰუსეინის ვიზიტის მოწყობა ცხინვალში და დიდი ფერწერული ტილოს – „სადამი და ქართველი ბავშვები“ შეკვეთა, რომელიმე ცნობილი მხატვრისათვის.

საოპერო მუსიკისა და ბალეტის განვითარებისათვის – ფილიპ კირკოროვის ერთთვიანი ტურნეს მოწყობა სვანეთში და სათანადო დოკუმენტური ფილმის გადაღება.

ქართული კინოხელოვნების და-კარგული პრესტიჟის აღდგენისათვის – სილვესტერ სტალიონესა და გოგი გვახარიას შეხვედრის მოწყობა „დინამოს“ სტადიონზე, რის შემდეგაც მათი საუბარი „ფსიქოში“ გადაიცემა, სტენოგრაფია კი წიგნად დაიბეჭდება და აფხაზურადაც ითარგმნება.

საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის „აზრზე მოსაყვანად“ – ალექსანდრ ლუკაშენკოსა და ბელორუსიის პარლამენტის მთელი შემადგენლობით მოწვევა და ორი თვის განმავლობაში მათ მიერ ქართველი კოლეგების შეცვლა.

ჯერჯერობით ეს შეიძლება ვიკმაროთ, დანარჩენ დარგებსაც მალე მოვევლება.

P.S. პელეს ვიზიტი არა მარტო ჩვენთვის, არამედ მისთვისაც სასარგებლო იქნება: როგორც იუწყებიან, მას უთქვამს – ბედნიერი ვიქნები, თუ საფეხბურთო ტრადიციებით ისეთ მდიდარ ქალაქს ვეწვევი, როგორც ქუთაისიაო. არავინ ჭამს იმას, რომ აქამდე მან საერთოდ იცოდა ქუთაისის კი არა, საქართველოს არსებობა. ახლა კი, დასჭირდა და ალბათ რუკასაც დახედა – ე.ი. გეოგრაფიის ცოდნა მაინც გაიღრმავა.

აბა, მართლა ისე კი არ არის საქმე, ჩვენი სტუმრებიდან მხოლოდ სარგებელს ველოდოთ!

პროპოკატორი

პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა და მისი საცოლის ანა სურმაგას მოტაცების, მათი ძეგლისა და თბილისში დაბრუნების პერიპეტეიები პრაქტიკულად ყველამ იცის. ჩვენ რამდენიმე დეტალის დაზუსტება ვცადეთ, თუმცა პირველ რიგში, მათი გაცნობითა და გატაცების წინა ცხოვრებით დავინტერესდით.

# ანა სურმაგა:



## პეტო ფანტასტიკურია... არაფერში არ „იჭრება“...

ანა სურმაგა 21 წლისაა და პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სახელმწიფო მართვის მოხელის სპეციალობას სწავლობს.

— წლინახევრის წინ პეროვსკაის ქუჩაზე მდებარე კაფეში ვიყავი მეგობრებთან ერთად. მეზობელ მაგიდას პეტრე და მისი ამხანაგები უსხდნენ. ჩემსა და პეტრეს საერთო მეგობრებს სოფო ჭაავას და გოგა ჯაფარიძეს ადრე ერთმანეთი მოსწონდათ. იქ შეხვდნენ და პეტრეც მაშინ გავიცანი. მაშინ დაიწყო ყველაფერი. იმ დღის შემდეგ პეტო (ასე ეძახის ანა) მირეკავდა და მეხვეწებოდა, შევხვედეთო... არ ვხვდებოდი... მაგრამ... მერე მაკა ასათიანის მალაზია იხსნებოდა და პირველად იქ წავველით ერთად.

— **ეტყობა, პეტრე შენს გემოვნებაში „ჯდება“, რადგან 2 კვირაში შეხვედრაზე დაგიყოლია.**

— (იცინის) კი, მაშინვე მოგვეწონა ერთმანეთი. პეტო ფანტასტიკურია... არაფერში არ „იჭრება“.

— **განსაკუთრებით რა მოგწონს მისი?**

— ყველაფერი, გარეგნობაც და ხასიათიც... პეტრე ექვსი წლით არის ჩემზე უფროსი. ჰოროსკოპით მე სასწორი ვარ, ის თევზები... ძალიან ვეწყობით.

— **სად ხვდებით ხოლმე შენ და პეტრე?**



— თავიდან პეროვსკაის ქუჩაზე მდებარე კაფეში ვხვდებოდი ხოლმე, მერე სხვადასხვა ადგილზეც.

— **სანამ შენსა და პეტრეს სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, 7 მაისის საღამო გავიხსენოთ.**

**პეტრე ცისკარიშვილი:**  
— ანუკიმ 9 საათიან სეანსზე მოხო-

ვა კინოში წაყვანა. ვერ მოვიცალე. ამიტომ გადაწყვიტე, სამსახურის შემდეგ მასთან გამეველო და მანქანის ტარება მესწავლებინა.

**ანა:**  
— პეტომ შინ მომაკითხა. ნახევარი საათით გავდივარ-მეთქი, ვუთხარი ჩემებს. ჩანთაც არ ამიღია, მხოლოდ მობილური ტელეფონი გავიყოლიე. საჭეს მივუჯექი და მანქანა კარგა ხანს ვატარე. ცხველადმის ქუჩით ვაკის პარკისკენ წავველით. იქ კარგი ტრასაა.

— **პეტრე ამბობს, რომ მანქანაში გირჩუბიათ...**

— (იცინის) მეჯიჯღინებოდა — თავს ნუ აქიცინებ, აქეთ-იქით ნუ იყურებო... სიბნელე იყო და მიჭირდა მანქანის ტარება. ამ დროს დაგვადგა თავზე 5 შეიარაღებული ნიღბოსანი. ორივე მხრიდან გამოაღეს მანქანის კარები. პეტრე გადაიყვანეს, მაგრამ გაუძალიანდა.

— **მანქანაში სისხლის წვეთები ნახეს...**

— პეტრეს ცხვირიდან წამოუვიდა, მისი სისხლით პერანგი მეც დამესვარა. სახეში და ფერდებში ურტყამდნენ. ჩემზე ამბობდნენ, პირზე სკოჩი დავაკრათ და აქ დავტოვოთო... მერე შეეშინდათ — „ჩაგვიშვებსო“ და თან წამიყვანეს. კიდევ კარგი, იქ არ დამტოვეს, თორემ მოგკვებოდით.

**პეტრე:**  
— თავიდან ვიფიქრე, რომ მანქანის

წართმევა უნდოდან... ერთხანს წინააღმდეგობის გაწევაც ვცადე, მაგრამ მივხვდი, მათთან არ ღირდა... მანქანის საბარგულში დამიპირეს ჩასმა. ვუთხარი – აქედან ცოცხალს ვერ ამომიყვანთ, ვერ ვისუნთქებ-მეთქი. 7 ადამიანი ვისხედით ჩემი მანქანის სალონში.

**ანა:**

– ერთი კვირა თვალახვეულები ვიყავით, ჭამის დროს ოდნავ გვიწვედნენ ნიღაბს, რომ ლუკმის პირში ჩადება შეგვძლებოდა. გამუდმებით გვდარაჯობდნენ. შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ. კარგად გვაჭმევდნენ. ხბოს მწვალითაც კი „გაგვიმასპინძლდნენ“.

– **თქვენი ტყვეობის დროს გაფრცველდა ვერსია, რომ შენ გაგათავისუფლეს, მაგრამ პეტრე არ დატოვა.**

– კი, შემომთავაზეს – რომ გავიშვით და პეტრეს მამასთან წერილი გაგატანოთ?... არსად არ წავალ-მეთქი.

ჩამოგვსვეს, გვითხრეს – მალე მოგაკითხავენო. ჩვენ ისევ ხელებით ვიყავით ერთმანეთზე გადაბმულნი. ვიფიქრეთ, გზას ჩვენი ხომ არ დავადგეთ-თქო, მაგრამ არ დაგვცალდა, ჩვენი სამართალდამცავები მოვიდნენ, ნიღბები მოგვხსნეს და გვითხრეს – ნუ გეშინიათო. მათგან შევიტყვეთ, რომ თელავთან ახლოს ვიმყოფებოდით.

**ირინა, ანას დედა (ქ-ნი ირინა პროფესიით არქიტექტორია, მაგრამ ამჟამად არ მუშაობს. მომავალი მეუღლე, თემურ სურმაგა 22 წლის**



ანას მშობლები – ირინა და თემურ სურმაგები

**მასთან მშვიდად ვგრძნობდი თავს. მაქსიმალურად ვცდილობდი, გამემხნეებებინა. მიხარია, იქ რომ ვიყავი. იმ ერთ კვირაში უკეთ გავიცანით ერთმანეთი. ეს ამბავი ჩვენი გამოცდაც იყო...**

– **ანა, პეტრეს ამხნევებდი?**

– მასთან მშვიდად ვგრძნობდი თავს. ხომ შეიძლებოდა, მათთვის იარაღის წართმევა ეფიქრა ან ჩხუბი დაეწყო... მაქსიმალურად ვცდილობდი, გამემხნეებებინა. მიხარია, იქ რომ ვიყავი. ამდენ ხანს მის გარეშე უფრო ვინერვიულებდი. იმ ერთ კვირაში უკეთ გავიცანით ერთმანეთი. ეს ამბავი ჩვენი გამოცდაც იყო... უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ პეტო ძალიან კარგია.

– **როგორ გაგათავისუფლეს? პეტრე:**

– ღმერთმა ნურავის განაცდევინოს ის, რაც მე და ანუკიმ გადავიტანეთ. სანამ თბილისის გზას დავადგებოდით, 28-30 საათი მანქანაში ვიყავით. მანქანაში ჯდომა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე იმ დახუთულ ოთახში ყოფნა. 5-6 საათი გაუჩერებლად მივდიოდით ოღორილო გზით. მერე ნახევარ საათს ვისვენებდით და ისევ ვაგრძელებდით გზას. 4-5 მანქანა გამოვიცვალეთ. ტყეში აღმოვჩნდით... ბოლოს მანქანიდან რომ

წინ გაიცნო. ერთი უბნელები იყვნენ. მათაც სიყვარულით შექმნეს ოჯახი):  
– ანუკიმ ნახევარი საათით მთხოვა გასვლა. 1 საათი რომ გავიდა, ტელეფონზე დავურეკე. დაკავებას იძლეოდა, მერე პეტრესთან ვრეკავდი, მისი ტელეფონიც დაკავებული იყო. შევშინდი... პეტრეს მამასთან გადავრეკე... შინ არ არისო, მიპასუხეს. მერე დავიწყეთ მე-

შს სამინისტროში დავგიბარეს და დაგვკითხეს. არ ვიცოდით, სად იყვნენ ჩვენი შვილები და ყველანაირი საშინელება ვიფიქრეთ. მაშინ გვითხრეს, შესაძლოა, გატაცებულები იყვნენო და შვებით ამოვისუნთქე – ე.ი. ცოცხლები იქნებიან-მეთქი.

– **თქვენთან ხომ არავის დაურეკავს ამ პერიოდში?**

– არა, არავინ დაგვკავშირებია.

– **არ იფიქრეთ, რომ შეიძლებოდა, შეყვარებულები „გაპარულიყვნენ“?**

– ეგეც ვიფიქრე, მაგრამ რაღაც 2%-ით მჯეროდა ეს... მერე ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ პეტრე და ანუკი გატაცებულები იყვნენ... მეტს ვერაფერს გეტყვით... მთავარია, რომ ცოცხლები და ჯანმრთელები არიან.

**თემურ სურმაგა, ანას მამა:**

– ყულევის ტერმინალის მშენებლობაზე ვმუშაობ, სამსახურში ვიყავი... 9 მაისს შევიტყვე ანას გატაცების ამბავი. მეგობარმა ალექო ბუკიამ (ქვემო ქართ-

**ღმერთმა ნურავის განაცდევინოს ის, რაც მე და ანუკიმ გადავიტანეთ. სანამ თბილისის გზას დავადგებოდით, 28-30 საათი მანქანაში ვიყავით. 4-5 მანქანა გამოვიცვალეთ.**

ვობრებთან რეკვა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ჩემი მეუღლე შინ არ იყო... პეტრეს მამამ დაიწყო სირბილი საგზაო პოლიციაში, ბავშვებს რამე ხომ არ შეემთხვათო... მეორე დღეს, შუადღისას

ლის სამხარეო პოლიციის უფროსი. – ავტ.) გამომიგზავნა მანქანა და მაშინვე თბილისში წამოვედი. ამის მერე უკვე კარგად აღარც მახსოვს, რა ხდებოდა. ძირითადად, ტელევიზიიდან ვიღებდით

ინფორმაციას.

— რისი მსხვერპლი გახდა თქვენი შვილი?

— ალბათ მანქანის წართმევა უნდოდა... დაინახეს ახალგაზრდები, უცხოური მანქანა არცთუ ისე ხალხმრავალ ადგილზე და დაყაჩაღება მოუნდომეს. თუ პოლიტიკური მოტივით მოხდა გატაცება, ანა რაღად უნდოდა?!..

ყველას მინდა მადლობა გადაუხადო, ვინც ჩვენი შვილებისთვის ღამეები გატეხა.

— თქვენი გოგონას სიმამაცემ ალბათ გაგაოცათ...

— (ანას ეფერება) ძალიან მშისარა ჩემი გოგონა, თავის დანახვაზეც კვიის და მიკვირს, ავტომატიანი ყაჩაღების როგორ არ შეეშინდა... თანაც, საქმროც არ მიატოვა. სულ მე მგავს ხასიათით (იციანის).

ანა:

— აწი ალბათ აღარაფრის შექმნილდება...

**ბიორბი, ანას ძმა, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი:**

— იმ დამეს აღრე დავწექი. დედამ 5 საათზე გამაღვიდა — ანუკი არ მოსულაო. გავვიფიდი, რას ჰქვია, არ მოსულამეთქი...

— **სომ არ აკონტროლებ ანუკის?**

— არა... წინა დღეს დისკოთეკაზე იყო. აგვიანდებოდა და ორჯერ დარეკა... იმ დამეს კი 5 საათზეც არ ჩანდა... შეგვეშინდა. პეტოს მშობლებს ჩვენ შევატყობინეთ. როცა თქვეს, მანქანა პანკისშიაო, ამოვისუნთქეთ.

— **ანა ამბობს, პეტოსთან არ ვჩხუბობ, სამაგიეროდ გიორგი მამრახუბსო...**

— როცა დედას არ ეხმარება, მაშინ ვეჩხუბები და კიდეც... პურის მოტანაზე ვჩხუბობთ ხოლმე.

პეტრეს და ანას მოტაცების ამბავთან დაკავშირებით დღესაც



ანას ძმა — გიორგი

სხვადასხვა ვერსია ტრიალებს: ზოგი ფიქრობს, რომ ეს შემთხვევა ერთ-ერთი ძალისმიერი სტრუქტურის „შემოქმედება“; ზოგი ამ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურების ხელს ხედავს, მესამენი კი — „ვილაც“ კრიმინალების ნამოღვაწარს...

**კობა დავითაშვილი:**

— არსებული ვერსიებიდან არც ერთს არ გამოვირიცხავ. სამართალდამცავებს მოუწოდებ, დააკავონ ის

დამნაშავეები, რომელთაც ეს ოპერაცია განახორციელეს. ეს ფაქტი ბევრ ეჭვს

გარეშე ვერ ისეირნებდნენ.

— **ვინ იყო ეს შეიარაღებული ხალხი?**

— მე ნათელმხილველი ვანგა არ ვარ, რომ გამოვიცნო... მაგრამ, ერთს კი ვიტყვი: ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლია, რომელიც პანკისში ვითარების დაძაბვას და იქ შეიარაღებული კონფლიქტის გამოწვევას ითვალისწინებს. ჩვენს ქვეყანაში ბლომად არიან ისეთები, ვინც იქ სიტუაციის არევით არის დაინტერესებული.

წერილის დასაწყისში პეტრესა და ანას გეგმებზე დაკვირვებით საუბარს...

ანა:

— დაქორწინებას იენისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში ვაპირებთ. ძალიან მინდა ქორწილი გადავიხადო.

— **სამოგზაუროდ არ აპირებთ წასვლას?**

— ძალიან გვინდა... ოღონდ სად, ეს

## პეტრეს რომში უნდა წასვლა, მე — ტაილანდში, მაგრამ ზაფხულში იქ ძალიან ცხელიაო. კანარის კუნძულებზეც მინდა, მაგრამ არ ვიცი, გამოვა თუ არა...

გაფანტავდა და ამ შემთხვევას პოლიტიკური ჭრილიდან კრიმინალურ ასპექტში გადაიტანდა.

თბილისში ავტომატიანი კი არა, უიარაღო ხალხიც ხშირად ხდება ჩხრეკის ობიექტი, ეს გამტაცებლები კი ავტომატით ხელში ვილაცის მფარველობის

**პეტრე დეიდაშვილთან ერთად**



არ გადაგვიწყვეტია... პეტრეს რომში უნდა წასვლა, მე — ტაილანდში, მაგრამ ზაფხულში იქ ძალიან ცხელიაო. კანარის კუნძულებზეც მინდა, მაგრამ არ ვიცი, გამოვა თუ არა...

— **შენი და პეტრეს შეხვედრა...**

— ...ბელნიერი შემთხვევა იყო...

— **სად აპირებთ ცხოვრებას დაქორწინების შემდეგ?**

— პეტოს მშობლებთან... თავიდან ძალიან მერიდებოდა მათი. როცა პეტო შინ მპატიუებდა, ყოველთვის თავს ვიკავებდი... პეტრეს და ჰყავს — ნათია 25 წლისაა, ისიც მათთან ცხოვრობს... ასე რომ, ყველანი ერთად ვიქნებით...

კარგია, როცა ყველაფერი ბედნიერად მთავრდება. იმედია, პეტრეს და ანას თაფლობის თვე მაინც ჩაივლის ბედნიერად, ყოველგვარი „კრიმინალური ელემენტის“ გარეშე.



ელენე ხირსელი

– ევგენი პოდშაპკინი ვარ, ქალაქ კალუგაში სამამულო ომის დაწყებამდე დავიბადე (ზუსტად არ ვიცი, რომელ წელს).

ბავშვობიდან მხოლოდ ორი განცალკევებული ეპიზოდი შემომჩნა მხსიერებაში, რომლებიც ვერაფრით დამიკავშირებია ერთმანეთთან. ერთი ასეთია:

სახლში ვარ. დედა აუთოებს, ჩემი და, ლილკა კი მისი კაბის ბოლოს აწვალებს. დედამ მოხოვა, ბავშვი გამეყვანა. ლილკა ფანჯარასთან მივიყვანე. მე მგონი, მაისი იქნებოდა – ნათლად მახსოვს, ხეები უკვე შეფოთლილიყო, მზე კი საოცრად წითლად ანათებდა. „ლილკა, ნახე, ბედურები!“ – ვეუბნები და ორივენი თვალს ვაღვებთ, როგორ დახტიან და თამაშობენ ტოტებზე ჩიტუნები. მორჩა – აქ ეპიზოდი წყდება...

მეორე ეპიზოდი: ვიქნებოდი ასე, ოთხი-ხუთი წლის. გზაზე მივდიოდი. უცებ ბარგით დატვირთული ურემი გამოჩნდა, სადაც ქათმებთან ერთად, წვერიანი მოხუცი მოკალათებულიყო. ორი ძროხა და ჯაგლაგზე მჯდარი ქალი მიჰყვებოდა. ქალმა მკითხა – საით გაგიწევიათ? არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე. ჩვენთან ერთად წამოდიო – მომამახა მან. და აქ, ძალიან კარგად მახსოვს, როგორ შეიცხადა ბერეკაცმა – ახლა მაგის დრო სად გვაქვსო – და „პროცესიამ“ სვლა განაგრძო... მერე როგორღაც, რკინიგზასთან მოვხვდი. უეცრად საშინელი გრუხუნის მომესმა. ზეცა ალისფრად განათდა და დაეინახე, როგორ გაეხვია მატარებელი ცეცხლის ალში. მოგვიანებით მივხვდი, რომ გაგანია ომი იყო – საბედისწერო ორმოცდაერთი წელი იდგა, აკვისტო იქნებოდა, რადგან ცენტრალურ რუსეთში ვაშლი დამწიფებულიყო. აქ ძაფი წყდება...

მერე იყო არსენიევის ბავშვთა სახლი, სადაც 1956 წლამდე ვცხოვრობდი. როგორ მოვხვდი იქ, ან სად წავიდნენ ჩემი მშობლები – არაფერი ვიცი.

– რა იყო ბავშვთა სახლის შემდეგ?

– ჩავედი პირდაპირ მშობლიურ კალუგაში. ჩემი წარმომავლობა მინდოდა, გამერკვია. არქივში მივედი, მაგრამ იქ მითხრეს – მთელი საბუთები



მარჯანიშვილის გამზირზე მინაზე მჯდარი შუახნის ქალარა მამაკაცი, ასე ვთქვათ, „ტიპური მათხოვარი“ არ გახლავთ. მართალია, მონყალებით ირჩენს თავს, მაგრამ „კოლეგებისგან“ იმით გამოირჩევა, რომ გამუდმებით ჩაჰკირკიტებს რაღაც ქაღალდებს და წერს. ერთხელ ცნობისმოყვარეობას ველარ გავუძელი, მივუახლოვდი და ვკითხე — რას წერთ-მეთქი? უმალ გამოცოცხლდა, თვალები აენტო და მიპასუხა: „სიმღერას“. საკმაოდ ენაწყლიანი აღმოჩნდა, — ჩანდა, რომ საუბარს იყო მონყურებული.

# „მინდა, ჩემს სიმაღარებს ხალხი მღეროდეს...“

ომის დროს დაიწვაო. დავდიოდი ქალაქის ქუჩებში, ვაკვირდებოდი შენობებს, ცვდილობდი, რაიმე გამეხსენებინა. მერე კი ისეთი რამ შემემთხვა, რაც არასდროს დამავიწყდება.

კინოთეატრში შევედი. მაყურებელი ნელ-ნელა გროვდებოდა. უეცრად ახალგაზრდა გრძელნაწნავიანი ქალიშვილს მოვკარი თვალი. სუნთქვა შემეკრა: თითქოს ახლობელი ადამიანი ვიგრძენი... გოგონამ ჩემს რიგში ჩაიარა და რამდენიმე სკამის მოშორებით დაჯდა. ჩემ გვერდით ორი ქალი იჯდა. ერთმა მეორეს გადაულაპარა – შეხედე, როგორ ჰგვანან, და-ძმანი იქნებიანო. მეორემ კი უპასუხა – რას ამბობ, ერთმანეთს არც კი მიესალმნენო... მეგონა, ჩემი გულის ძველა მთელ დარბაზს ესმოდა... ფილმი დამთავრდა და ხალხი წამოიშალა, მე ერთ გასასვლელთან აღმოვჩნდი, ის – მეორესთან. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ეს რამდენიმე წამს გრძელდებოდა. მერე ერთმანეთს ზურგი შევაქციეთ და შენობიდან გავედი.

– რატომ არ გამოელაპარაკეთ?

– არ მინდოდა იმედი გამცრუებოდა. მაშინ ყველა გოგონაში ღვიძლდას ვეძებდი, ყველა ქალში – დედას.

სჯობს, ყოველთვის ვფიქრობდე, რომ ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი და, თუნდაც შორს, მაგრამ მაინც არის და იქნებ ხანდახან ჩემზეც კი ფიქრობს. თუმცა, მერე მაინც ვინანე, რომ არ გამოველაპარაკე: რა ვიცი, იქნებ გული არ ცდებოდა.

– რატომ არ დარჩით მშობლიურ ქალაქში?

– რა აზრი ჰქონდა?! ისევ არსენიევიში დავბრუნდი და სახელოსნო სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა. ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში. მერე სამუშაოდ ტულაში გამაგზავნეს. ვმუშაობდი რიგაშიც, მოლდავეთშიც... ასე, თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის ქარხნები შემოვიარე, მაგრამ ბინას არსად მაძლევდნენ. ბოლოს მოვხვდი აფხაზეთში. ოჩამჩირეში ვმუშაობდი ხელოსნად. ჯერ დაქირავებული მქონდა ბინა, მერე კი, თვრამეტი წლის განმავლობაში, უფასოდ ვცხოვრობდი ნაცნობის ბინაში. შემოსავალი საკმარისზე მეტი მქონდა. მეგონა, ბოლოს და ბოლოს, ავიწყობდი ცხოვრებას, გეგმებიც დავსახე, მაგრამ – კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო: კარგად მოგეხსენებათ, რაც მოხდა... 1992 წლის ხუთ აკვისტოს ფეხით მომიწია ოჩამჩირიდან ქუთაისამ-

დე წასვლა. ორი კვირის განმავლობაში თითქმის სულ მშვიერი ვიყავი, მქონდა მხოლოდ ორი პური და ხურმას ვჭამდი გზადაგზა. ქუთაისიდან კი მატარებლით ჩამოვედი თბილისში.


— ...და მას შემდეგ სულ თბილისში ხართ?

— არა, მოულოდნელად დავტოვე ქალაქი და ეს ერთმა უცნაურმა შემთხვევამ განაპირობა: 1993 წლის 19 მაისს მარჯანიშვილზე, ეკლესიასთან ვიჯექი (ახალი დაწყებული მქონდა მათხოვრობა). მოვიდა დაახლოებით ჩემი ხნის რუსი ქალი, წითელი ათმანეთიანი მომაწოდა (მამინ ეს კარგი ფული იყო) და გაბრუნდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მოულოდნელად უკან მოიხედა და მხერა მომაპყრო. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა... თითქოს მრავალი წლის წინ, კალუგის კინოთეატრში მომხდარი სცენა განმეორდა... თითქოს გული ჩამწყდა... მას შემდეგ უცნაური „სენი“ შემეყარა: ადგილს ვერ ვპოულობდი, აქ გაჩერება აღარ მინდოდა და 1993 წლის 27 ივნისს თბილისიდან გავემგზავრე.

— შორს წახვედით?

— საკმაოდ. ეს იყო ჩემი გრანდიოზული მოგზაურობა: ჯერ მატარებლით ბაქოში, ბაქოდან როსტოვამდე კი, ფეხით, 80 დღე-ღამეში ჩავედი. აქედან გეზი სმოლენსკისკენ ავიღე, სადაც ასევე, თითქმის სულ ფეხით ჩავალწიე. ამ დროს ძლიერი ყინვები დაიწყო და ბრესტში უკვე მატარებლით გავემგზავრე.

მიხაილ შუფუტინსკი



— რით ირჩენდით თავს?

— ვმათხოვრობდი, ხშირად კი, ჩემს ლექსებს ვცვლიდი საჭმელსა და ტანსაცმელში... მეძინა ქუჩაში. რუსეთში, საბედნიეროდ, მრავლად არის ჰიდრო და თბოელექტროსადგური, მათი მიწები ყოველთვის ცხელია. მაგალითად, ბრესტში, თბოსადგურის ერთ-ერთ მილთან მქონდა მოწყობილი „საძინებელი“. ბრესტში შემთხვევით, დრეზდენის რადიოს დიქტორი გავიცანი, რომელმაც მაგნიტოფონზე ჩაიწერა ჩემი სიმღერა — ტუჩის გარმონზე ვასრულებდი — და მერე რადიოთივც გადაცემულა. ბოლოს კი კეთილმა ადამიანებმა, რომლებსაც რამდენიმე ლექსი დავუწერე, ბილეთი მიყიდეს სოჭამდე, საიდანაც ისევ თბილისში ჩამოვედი.

— ძირითადად, რა დასკვნები გამოიტანეთ ამ მოგზაურობის შედეგად?

— რომ ადამიანს „ერთადერთი ღმერთის“ სწამს და მხოლოდ ამ „ღმერთის“ ძალას აღიარებს — ფულის ძალას...

— მაინცდამაინც თბილისში რატომ დაბრუნდით?

— არ ვიცი. რატომღაც ისევ აქეთ გამომიწია გულმა. თანაც, ოჩამჩირეში, ჩამბას ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობდი, ექვსასზე მეტი ჩემი ნაწარმოები მეგულება...

— ...და გაქვთ იმედი, რომ დაიბრუნებთ?

— ვიმედოვნებ.

— ევგენი, ძირითადად, რაზე წერთ?

— ცხოვრებაზე, ადამიანებზე. უფრო მეტს, სიმღერების ტექსტებს ვწერ, რადგან ვთვლი, რომ მუსიკის ფონზე სიტყვები უფრო ლამაზია. მაქვს დაწერილი ასევე ორი პოემა, ფანტასტიკური მოთხრობები...

აი, ერთ-ერთი ლექსი — **Волосы седые**, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს:

Что-то стало очень много  
На висках твоих седин.  
Волосы седые —  
Для кого чужие, для кого  
родные.  
Улыбнись и вспомни годы  
молодые.  
Не стесняйся ты седых  
волос,  
Был бы ум под этой сед-  
иной...

სხვათა შორის, ახლახან დავკარგე მეტროს ტალონი, პასპორტი და ბლოკნოტი. არც ფულს, არც საბუთს — არაფერს არ ვჩივი, გული მარტო იმაზე მწყდება, რომ ბლოკნოტში ბევრი ახალი ლექსი მეწერა.

ახლა კი მინდა ერთი უცნაური და ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ამბავი მოგითხროთ. 1986 წელს ტალინში ყოფნის დროს, დავწერე ორი სიმღერა. იმ პერიოდში საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, სადაც საკმაოდ ხშირი იყო ქურდობა, ამიტომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი — ლექსების რვეული, ქალაქის ერთ-ერთ სარდაფში დავმალე. ამ რვეულში „შავად“ დაწერილი ლექსები იყო, „თეთრად“ გადაწერილი კი — ოჩამჩირეში წავიღე. გავიდა რამდენიმე წელი და 1993 წლის შემოდგომაზე ტელევიზიით მოვისმინე სიმღერა — **Две свечи**, მიხაილ შუფუტინსკის შესრულებით და **Дым сигареты с ментолом** ანსამბლ „ნენსის“ შესრულებით, სულ მალე ეს სიმღერები ყველაზე პოპულარული გახდა რუსეთში. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — მათი ტექსტები ხომ ჩემი სიმღერების ტექსტებს (რომლებიც ტალინში დამრჩა) თითქმის მთლიანად ემთხვეოდა.

1996 წლის 18 აპრილს კი **ОРТ**-ზე, ანსამბლ „ნენსის“ წევრებმა ინტერვიუში თქვეს, სიმღერის ტექსტი ხალხურიად, ხოლო 13 ოქტომბერს შუფუტინსკიმ ამავე არხისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ **Две свечи**-ის ტექსტის ავტორი უცნობია და სთხოვდა ავტორს — გამოხმაურებოდა.

— როგორ მოგეცათ ტელევიზორის ყურების საშუალება?

— საერთოდ, ძალიან მიყვარს ტელევიზორი, რადიო, გაზეთები, სადაც ამისი საშუალება მეძლევა — ბაზრობაზე იქნება ეს თუ ტექნიკის მაღაზიებში, ყველგან ვცდილობ, ვუყურო... სანამ არ გამაგდებენ... სხვათა შორის, მერე გავაგზავნე ფაქსი მოსკოვში, მაგრამ პასუხი არ მომხვლია. იქნებ შესაძლებელია, ჩატარდეს გრაფოლოგიური ექსპერტიზა და გაირკვეს ჭეშმარიტება. მე თავისუფლად შემიძლია დავამტკიცო, რომ ამ სიმღერების ტექსტის ავტორი ვახლავართ.

ელენე ხირსელი

– ევგენი პოდშაპკინი ვარ, ქალაქ კალუგაში სამამულო ომის დაწყებამდე ღავიბადე (ზუსტად არ ვიცი, რომელ წელს).

ბავშვობიდან მხოლოდ ორი განცალკევებული ეპიზოდი შემომჩნა მესიერებაში, რომლებიც ვერაფრით დამიკავშირებია ერთმანეთთან. ერთი ასეთია:

სახლში ვარ. დედა აუთოებს, ჩემი და, ლილკა კი მისი კაბის ბოლოს აწვალებს. დედამ მთხოვა, ბავშვი გამეყვანა. ლილკა ფანჯარასთან მივიყვანე. მე მგონი, მაისი იქნებოდა – ნათლად მახსოვს, ხეები უკვე შეფოთლილიყო, მზე კი საოცრად წითლად ანათებდა. „ლილკა, ნახე, ბელურები!“ – ვეუბნები და ორივენი თვალს ვადევნებთ, როგორ დახტიან და თამაშობენ ტოტებზე ჩიტუნები. მორჩა – აქ ეპიზოდი წყდება...

მეორე ეპიზოდი: ვიქნებოდი ასე, ოთხი-ხუთი წლის. გზაზე მივდიოდი. უცებ ბარგით დატვირთული ურემი გამოჩნდა, სადაც ქათმებთან ერთად, წვერიანი მოხუცი მოკალათებულიყო. ორი ძროხა და ჯაგლაგზე მჯდარი ქალი მიჰყვებოდა. ქალმა მკითხა – საით გაგიწვევიაო? არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე. ჩვენთან ერთად წამოდიო – მომადანა მან. და აქ, ძალიან კარგად მახსოვს, როგორ შეიცხადა ბერიკაცმა – ახლა მაგის დრო სად გვაქვსო – და „პროცესიაში“ სვლა განაგრძო... მე რეგორდაც, რკინიგზასთან მოვხვდი. უეცრად საშინელი გრუნხუნი მომესმა. ზეცა ალისფრად განათდა და დავინახე, როგორ გაეხვია მატარებელი ცეცხლის ალში. მოგვიანებით მივხვდი, რომ გაგანია ომი იყო – საბედისწერო ორმოცდაერთი წელი იდგა, აგვისტო იქნებოდა, რადგან ცენტრალურ რუსეთში ვაშლი დამწიფებულიყო. აქ ძაფი წყდება...

მერე იყო არსენიევის ბავშვთა სახლი, სადაც 1956 წლამდე ვცხოვრობდი. როგორ მოვხვდი იქ, ან სად წავიდნენ ჩემი მშობლები – არაფერი ვიცი.

რა იყო ბავშვთა სახლის შემდეგ?

– ჩავედი პირდაპირ მშობლიურ კალუგაში. ჩემი წარმომავლობა მინდოდა, გამერკვია. არქივში მივედი, მაგრამ იქ მითხრეს – მთელი საბუთები



მარჯანიშვილის გამზირზე მინაზე მჯდარი შუახნის ქალარა მამაკაცი, ასე ვთქვათ, „ტიპური მათხოვარი“ არ გახლავთ. მართალია, მონყალებით ირჩენს თავს, მაგრამ „კოლეგებისგან“ იმით გამოირჩევა, რომ გამუდმებით ჩაპკირკიტებს რაღაც ქალაღდებს და წერს. ერთხელ ცნობისმოყვარეობას ველარ გავუძელი, მივუახლოვდი და ვკითხე — რას წერთ-მეთქი? უმაღ გამოცხლდა, თვალები აენთო და მიპასუხა: „სიმღერას“. საკმაოდ ენაწყლიანი აღმოჩნდა, — ჩანდა, რომ საუბარს იყო მოწყურებული.

„მინდა, ჩემს სიმღერებს ხალხი მღეროდეს...“

ომის დროს დაიწვაო. დავდიოდი ქალაქის ქუჩებში, ვაკვირდებოდი შენობებს, ვცდილობდი, რაიმე გამეხსენებინა. მერე კი ისეთი რამ შემემთხვა, რაც არასდროს დამავიწყდება.

კინოთეატრში შევედი. მაყურებელი ნელ-ნელა გროვდებოდა. უეცრად ახალგაზრდა გრძელწინაიანი ქალიშვილს მოვკარი თვალი. სუნთქვა შემეკრა: თითქოს ახლობელი ადამიანი ვიგრძენი... გოგონამ ჩემს რიგში ჩაიარა და რამდენიმე სკამის მოშორებით დაჯდა. ჩემ გვერდით ორი ქალი იჯდა. ერთმა მეორეს გადაულაპარა – შეხედე, როგორ ჰგვანან, და-ძმანი იქნებიანო. მეორემ კი უპასუხა – რას ამბობ, ერთმანეთს არც კი მიესალმნენო... მეგონა, ჩემი გულის ძვერა მთელ დარბაზს ესმოდა... ფილმი დამთავრდა და ხალხი წამოიშალა, მე ერთ გასასვლელთან აღმოვჩნდი, ის – მეორესთან. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ეს რამდენიმე წამს გრძელდებოდა. მერე ერთმანეთს ზურგი შევაქციეთ და შენობიდან გავვედით.

რატომ არ გამოელაპარაკეთ?

– არ მინდოდა იმედი გამცრუებოდა. მაშინ ყველა გოგონაში ღვიძლდას ვეძებდი, ყველა ქალში – დედას.

სჯობს, ყოველთვის ვფიქრობდე, რომ ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი და, თუნდაც შორს, მაგრამ მაინც არის და იქნებ ხანდახან ჩემზეც კი ფიქრობს. თუმცა, მერე მაინც ვინანე, რომ არ გამოველაპარაკე: რა ვიცი, იქნებ გული არ ცდებოდა.

რატომ არ დარჩით მშობლიურ ქალაქში?

– რა აზრი ჰქონდა?! ისევე არსენიევი და ვერბოვნი და სახელოსნო სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა. ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში. მერე სამუშაოდ ტულაში გამაგზავნეს. ვმუშაობდი რიგაშიც, მოლდავეთშიც... ასე, თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის ქარხნები შემოვიარე, მაგრამ ბინას არსად მაძლევდნენ. ბოლოს მოვხვდი აფხაზეთში. ოჩამჩირეში ვმუშაობდი ხელოსნად. ჯერ დაქირავებული მქონდა ბინა, მერე კი, თვრამეტი წლის განმავლობაში, უფასოდ ვცხოვრობდი ნაცნობის ბინაში. შემოსავალი საკმარისზე მეტი მქონდა. მეგონა, ბოლოს და ბოლოს, ავიწყობდი ცხოვრებას, გეგმებიც დავსახე, მაგრამ – კაცი ბჭობდა, ღმერთი იციონოდაო: კარგად მოგესხენებათ, რაც მოხდა... 1992 წლის ხუთ აგვისტოს ფენით მომიწია ოჩამჩირიდან ქუთაისამ-

დე წასვლა. ორი კვირის განმავლობაში თითქმის სულ მშვიდი ვიყავი, მქონდა მხოლოდ ორი პური და ხურმას ვჭამდი გზადაგზა. ქუთაისიდან კი მატარებლით ჩამოვედი თბილისში.

**— ...და მას შემდეგ სულ თბილისში ხართ?**

— არა, მოულოდნელად დავტოვე ქალაქი და ეს ერთმა უცნაურმა შემთხვევამ განაპირობა: 1993 წლის 19 მაისს მარჯანიშვილზე, ეკლესიასთან ვიჯექი (ახალი დაწყებული მქონდა მათხოვრობა). მოვიდა დაახლოებით ჩემი ხნის რუსი ქალი, წითელი ათმანეთიანი მომაწოდა (მაშინ ეს კარგი ფული იყო) და გაბრუნდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მოულოდნელად უკან მოიხედა და მზერა მომაპყრო. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა... თითქოს მრავალი წლის წინ, კალუგის კინოთეატრში მომხდარი სცენა განმეორდა... თითქოს გული ჩამწყდა... მას შემდეგ უცნაური „სენი“ შემეყარა: ადგილს ვერ ვპოულობდი, აქ გაჩერება აღარ მინდოდა და 1993 წლის 27 ივნისს თბილისიდან გავემგზავრე.

**— შორს წახვედით?**

— საკმაოდ. ეს იყო ჩემი გრანდიოზული მოგზაურობა: ჯერ მატარებლით ბაქოში, ბაქოდან როსტოვამდე კი, ფეხით, 80 დღე-ღამეში ჩავედი. აქედან გეზი სმოლენსკისკენ ავიღე, სადაც ასევე, თითქმის სულ ფეხით ჩავადწიე. ამ დროს ძლიერი ყინვები დაიწყო და ბრესტში უკვე მატარებლით გავემგზავრე.

**მიხაილ შუფუტინსკი**



**— რით ირჩენდით თავს?**

— ვმათხოვრობდი, ხშირად კი, ჩემს ლექსებს ვცვლიდი საჭმელსა და ტანსაცმელში... მეძინა ქუჩაში. რუსეთში, საბედნიეროდ, მრავლად არის ჰიდრო და თბოელექტროსადგური, მათი მიწები ყოველთვის ცხელია. მაგალითად, ბრესტში, თბოსადგურის ერთ-ერთ მილთან მქონდა მოწყობილი „საძინებელი“. ბრესტში შემთხვევით, დრეზდენის რადიოს დიქტორი გავიცანი, რომელმაც მაგნიტოფონზე ჩაიწერა ჩემი სიმღერა — ტუჩის გარმონზე ვასრულებდი — და მერე რადიოთივც გადაცემულა. ბოლოს კი კეთილმა ადამიანებმა, რომლებსაც რამდენიმე ლექსი დავუწერე, ბილეთი მიყიდეს სოჭამდე, საიდანაც ისევ თბილისში ჩამოვედი.

**— ძირითადად, რა დასკვნები გამოიტანეთ ამ მოგზაურობის შედეგად?**

— რომ ადამიანს „ერთადერთი ღმერთის“ სწამს და მხოლოდ ამ „ღმერთის“ ძალას აღიარებს — ფულის ძალას...

**— მაინცდამაინც თბილისში რატომ დაბრუნდით?**

— არ ვიცი. რატომღაც ისევ აქეთ გამომიწია გულმა. თანაც, ოჩამჩირეში, ჩამბას ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობდი, ექვსასზე მეტი ჩემი ნაწარმოები მეგულება...

**— ...და გაქვთ იმედი, რომ დაიბრუნებთ?**

— ვიმედოვნებ.

**— ეგგენი, ძირითადად, რაზე წერთ?**

— ცხოვრებაზე, ადამიანებზე. უფრო მეტს, სიმღერების ტექსტებს ვწერ, რადგან ვთვლი, რომ მუსიკის ფონზე სიტყვები უფრო ლამაზია. მაქვს დაწერილი ასევე ორი პოემა, ფანტასტიკური მოთხრობები...

აი, ერთ-ერთი ლექსი — **Волосы седые**, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს:

Что-то стало очень много  
На висках твоих седин.  
Волосы седые —  
Для кого чужие, для кого  
родные.  
Улыбнись и вспомни годы  
молодые.  
Не стесняйся ты седых  
волос,  
Был бы ум под этой сед-  
иной...

სხვათა შორის, ახლახან დავკარგე მეტროს ტალონი, პასპორტი და ბლოკნოტი. არც ფულს, არც საბუთს — არაფერს არ ვჩივი, გული მარტო იმაზე მწყდება, რომ ბლოკნოტში ბევრი ახალი ლექსი მეწერა.

ახლა კი მინდა ერთი უცნაური და ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ამბავი მოგიტხროთ. 1986 წელს ტალინში ყოფნის დროს, დავწერე ორი სიმღერა. იმ პერიოდში საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, სადაც საკმაოდ ხშირი იყო ქურდობა, ამიტომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი — ლექსების რვეული, ქალაქის ერთ-ერთ სარდაფში დაემალე. ამ რვეულში „შავად“ დაწერილი ლექსები იყო, „თეთრად“ გადაწერილი კი — ოჩამჩირეში წავიღე. გავიდა რამდენიმე წელი და 1993 წლის შემოდგომაზე ტელევიზიით მოვისმინე სიმღერა — **Две свечи**, მიხაილ შუფუტინსკის შესრულებით და **Дым сигареты с ментолом** ანსამბლ „ნენსის“ შესრულებით, სულ მალე ეს სიმღერები ყველაზე პოპულარული გახდა რუსეთში. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — მათი ტექსტები ხომ ჩემი სიმღერების ტექსტებს (რომლებიც ტალინში დამრჩა) თითქმის მთლიანად ემთხვეოდა.

1996 წლის 18 აპრილს კი **ОРТ**-ზე, ანსამბლ „ნენსის“ წევრებმა ინტერვიუში თქვეს, სიმღერის ტექსტი ხალხურიყო, ხოლო 13 ოქტომბერს შუფუტინსკიმ ამავე არხისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ **Две свечи**-ის ტექსტის ავტორი უცნობია და სთხოვდა ავტორს — გამოხმაურებოდა.

**— როგორ მოგცათ ტელევიზორის ყურების საშუალება?**

— საერთოდ, ძალიან მიყვარს ტელევიზორი, რადიო, გაზეთები, სადაც ამისი საშუალება მეძლევა — ბაზრობაზე იქნება ეს თუ ტექნიკის მაღაზიებში, ყველგან ვცდილობ, ვუყურო... სანამ არ გამაგდებენ... სხვათა შორის, მერე გავაგზავნე ფაქსი მოსკოვში, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. იქნებ შესაძლებელია, ჩატარდეს გრაფოლოგიური ექსპერტიზა და გაირკვეს ჭეშმარიტება. მე თავისუფლად შემძლია დავამტკიცო, რომ ამ სიმღერების ტექსტის ავტორი ვახლავართ.



— ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?

— ესენიანი.

— ალბათ კითხვა გიყვართ?

— როგორ არა?! ადრე ძალიან ბევრს ვკითხულობდი, ახლა უკვე — არა. ანკი, სად მაქვს წიგნი, რომ ვიკითხო?!

— ამჟამად სად ცხოვრობთ?

— ღია ცის ქვეშ. მუდმივი საცხოვრებელი არასდროს მქონია, ბოლო ცხრა წელიწადი კი საერთოდ არანაირი საცხოვრებელი არ მაქვს — ქუჩაში მიმინავს. სანაპიროზე მაქვს მოწყობილი „ბუნაგი“, რომელიც ასე გამოიყურება: მიწაში თხრილია, ზემოდან ბეტონის „სახურავი“ ეფარება.

— ზამთარში არ გცივათ?

— სიცვიის მიმართ ადაპტირებული ვარ. ორი თბილი ბამბის საბანი

მაქვს. მოვიკუნტები ჩემთვის, მუხლზე ფურცელს დავიდებ, ვიწყებ წერას და სიცვივეც აღარ მახსოვს... მე ამით ვცხოვრობ. წერა ერთადერთია, რაც მასულდგმულებს, ცხოვრების სტიმულს მაძლევს.

— არ გიჭირთ მარტოობა?

— უკვე მივეჩვიე.

— დაოჯახებული არ ყოფილხართ?

— არასდროს.

— არც გიფიქრიათ ამაზე? ვინმე თუ გყვარებიათ?

— მიყვარდა ერთი ესტონელი გოგონა ლინა ერქვა, რაც მათ ენაზე „ტალღას“ ნიშნავს. ლინა საიუველირო მაღაზიაში მუშაობდა. ძალიან კეთილი თვალები ჰქონდა. შევიდოდი ხოლმე მისთან მაღაზიაში, ვსაუბრობდით, ვხუმ-

რობდით. ვფიქრობ, არც ის იყო ჩემდამი გულგრილი. სწორედ ამ სიყვარულმა დამაწერინა პირველი ლექსი — Сон паяца.

— მერე რით დასრულდა თქვენი ურთიერთობა?

— განშორებით. ალბათ ბედი არ იყო...

— ეგ გენი, რელიგიური ხართ?

— არა.

— არ გიფიქრიათ, რომ ადამიანს რალაცის მაინც უნდა სწამდეს? რომ ასე უფრო იოლი ხდებოდა ცხოვრება.

— გეთანხმებით, ყველას აუცილებლად რალაცის უნდა სწამდეს. წინათ ხშირად მომსვლია აზრი თვითმკვლევლობის შესახებ. ერთხელ კალუგაში ხიდიდან მინდოდა გადახტომა... მაგრამ რაც წერა დავიწყე, ამაზე აღარ მიფიქრია. ალბათ ვიპოვე ჩემი ადგილი ცხოვრებაში. ზოგს ღმერთის სწამს, ზოგს ბედისწერის, მე კი — პოეზიის.

— როგორ დაახასიათებდით თქვენ მიერ განვლილ ცხოვრებას?

— ბევრი რამ განმიცდია და გადამიტანია და მაინც ვიტყვი, რომ ჩემს ცხოვრებას უქმად არ ჩაუვლია...

— დაბოლოს, თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?

— მინდა, რომ ჩემს სიმღერებს ხალხი მღეროდეს...

კალეიდოსკოპი

# მსოფლიოში მილიონარები მოეჩვენებოდნენ

MERRIL LYNCH-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ საფინანსო ბაზრებზე არსებული დაცემის მიუხედავად, 2000 წელს მსოფლიოში მილიონერთა რაოდენობა 2.9%-ით გაიზარდა და 7,2 მილიონ კაცს მიაღწია, მათმა ჯამურმა აქტივებმა კი, 6%-ით იმატა და ახლა 27 ტრილიონ დოლარს უდრის.

იმ მულტიმილიონერთა რაოდენობა, ვისი ქონებაც 30 მლნ დოლარს აღემატება, 3%-ით გაიზარდა და ახლა 57.000-ს შეადგენს,

მილიონერთა რიცხვის გაზრდა ყველა რეგიონში აღინიშნა — გამონაკლისს მხოლოდ აზია წარმოადგენს. მაგალითად, იაპონიაში ეს მაჩვენებელი, პირიქით, 5,7%-ით შემცირდა: ახლა იაპონიაში 1,08 მილიონი მილიონერია. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მილიონერთა რაოდენობა 200.000 კაცს შეადგენს, მათი აქტივები კი, 900 მლრდ დოლარს აჭარბებს.



მათი ჯამური აქტივები კი, 8,37 ტრილიონს უდრის.

გამონაკლისს მხოლოდ აზია წარმოადგენს. მაგალითად, იაპონიაში ეს მაჩვენებელი, პირიქით, 5,7%-ით შემცირდა: ახლა იაპონიაში 1,08 მილიონი მილიონერია. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მილიონერთა რაოდენობა 200.000 კაცს შეადგენს, მათი აქტივები კი, 900 მლრდ დოლარს აჭარბებს.

ნაპოსიან

სოუაასიანი

ააიილია

„პოზიტივი“

ბაპოაააა

**მარინა ბაპუნაშვილი**

მარია დარჩია მინისტრის მეუღლეა, მაგრამ საზოგადოება მას მხოლოდ ამით როდი იცნობს. პირიქით — იმდენად აქტიურ საქმიანობას ეწევა, და იმდენი სფეროსთვის მოუსწრია ბოლო წლებში „ხელის შევლება“, ყველაფერს ვერც მიაღწევს თვალს: ბიოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, როგორც მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელს, რადიოპროგრამაში „პიკის საათი“ მიჰყავდა რუბრიკა „ბუნება მბრძანებელია“. მერე დილის ტელეპროგრამა „ალიონის“ წამყვანი გახდა, შემდგომ კი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ფაბლიკ რილეიშენის“ ერთ-ერთ დამფუძნებლად და ხელმძღვანელად მოგვევლინა. ამჟამად, თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობათა და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეა. რაც შეეხება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის, მერაბ ადეიშვილის ცოლობას — ისინი ხუთი წლის წინ შეუღლდნენ, ერთმანეთს ორ-ორი შვილი დაახვედრეს და ამ კავშირით სიჭაბუკის დროინდელ სიყვარულს დაუბრუნდნენ...

— ხშირად მეკითხებიან ჩემსა და მერაბის ურთიერთობაზე, პირველ ქორწინებაზე... მართალი ვითხრათ, საერთოდ, ადამიანის სულში ფათურის მომხრე არ ვარ, თუმცა დელიკატურად დასმულ კითხვებს მაინც ვპასუხობ.

— თუ არ მიწყენთ, მეც დაგისვამთ ერთ ასეთ შეკითხვას: განქორწინებამ დიდი პრობლემების წინაშე დაგაყენათ? ალბათ ორი ბავშვის გაზრდაც მართლაც გაგიჭირდებოდათ...



— რასაკვირველია, მაგრამ მე იმ ქალების რიგს არ ვეკუთვნი, რომლებსაც ხელის ჩაქნევა სჩვევიათ. ნებისმიერ რთულ სიტუაციაში შემიძლია „პოზიტივის“ გამოძებნა. ასე მოხდა მაშინაც. როცა ქალები წუწუნებენ — მარტო ვარ და არავინ მეხმარებაო, ძალიან მიკვირს: როცა აუცილებელ საქმეზე ხარ წასასვლელი და ბავშვს მეზობელი დაიტოვებს, ესეც ხომ დახმარებაა?! დედას ვერაფერს შეცვლის და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ტვირთი მე უნდა მეზიდა, მაგრამ ყველას მაღლიერი ვარ, ვინც ცოტა ხნით მაინც ამომდგომია მხარში და ვისი წყალობითაც არც საქმიანობას ჩამოვრჩენილვარ.

**— საქმიან ქალბატონებს ხშირად ვეკითხებიან: რომელს ანიჭებთ უპირატესობას — ოჯახს თუ კარიერასო?**

— ბედნიერი შემთხვევაა, როცა ერთიც და მეორეც გაწონასწორებულია. ჩემთვის ძნელია, რომელიმე განსაკუთრებულად გამოვარჩიო, რადგან ორივეს ფრიალ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში.

**— თქვენს საქმიანობაში ოდესმე თუ გქონიათ „ჩავარდნა“?**

— წარუმატებლობა? ალბათ მქონდა ამდგავარი რამ, მაგრამ ამას არ შეგუშინებდებოდა, რადგან მიმანია — მარცხიც აუცილებელია იმისათვის, რათა მომავალში უფრო მეტი ისწავლო და მიზანსწრაფული გახდე. სწავლა ხომ ყოველთვის შეიძლება? ჩემი საყვარელი გამოთქმაა: როცა მზეში დგახარ — გხედავენ, ხოლო როცა ჩრდილში ხარ — შენ ხედავ! ასეა — ადამიანი, ხან იქით არის, ხან აქეთ, მაგრამ აქაც და იქაც „სარგებელი“

შეიძლება ნახოს.

— სანამ თქვენთან მოვიდოდი, საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მოვაგროვე თქვენზე: ზოგი მართალი, ზოგიც ქორი. ისიც გავიგე, მერაბ ადეიშვილსა და მარია დარჩიას ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი, მერე კი მათი გზები გაიყარა და ორივემ თავ-თავისი ოჯახი შექმნა, ბოლოს კი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს, შეუღლდნენ და ახლა საერთო შვილს, პატარა გოგონას ზრდიანო... რომელია აქედან მართალი და რომელი

**— ტყუილი?**

— მე და მერაბი ერთ ეზოში ვიზრდებოდი, მეზობლები ვიყავით. ჩვენი სიყვარულის „ჩანასახი“ ალბათ მაშინ გაჩნდა, მაგრამ რატომღაც ვეღარ განვითარდა. ესეც ბედისწერაა, რომ ბავშვობის დროინდელმა გრძნობამ საკმაოდ გვიან, კვლავ შეგვანსენა თავი. იმისათვის, რომ ჩვენ თავს ვერ მოვიტყუებდით და იმისათვისაც, რომ ახლობლებთან და სხვებთანაც მართლები ვყოფილიყავით, უნდა გადაგვედგა „გაბედული“ ნაბიჯი და გადავღვით კიდეც. რაც შეეხება საერთო შვილს, ეს ტყუილია.

**— როგორი მეუღლეა მინისტრი მერაბ ადეიშვილი?**

— ძალიან საინტერესო და თბილი. თუმცა მაქსიმალისტია, ზედაპირულობას ვერ დასწამებ და თავისუფალი დროც ნაკლებად აქვს. ამის გამო ხანდახან ვწუწუნებ კიდეც, მაგრამ არაფერი გამომდის.

**— ხშირად ხდება სოლმე: ქალმა იცის, რომ მის რჩეულს ოჯახი უყავდა, მიჰყვება ცოლად, მერე კი პირველ ოჯახთან ურთიერთობას უშლის. თქვენ ხომ არ გქონიათ მსგავსი პრობლემა?**

— არ მესმის, როგორ შეიძლება გიყვარდეს ადამიანი და გტულდეს მისი შვილი? ჩემთვის წარმოუდგენელია და მიჭირს იმის დაჯერება, როცა მიყვებიან, რომ „დედინაცვალი“ აგრესიას ამჟღავნებს ქმრის შვილების მიმართ. მერაბის შვილები — ნოდარიც და რამაზიც ძალიან მიყვარს (რამაზიკოს 17 მაისს 14 წელი უსრულდება და გულით ვულოცავ დაბადების დღეს). მე მგონი, მერაბსაც ასეთივე თბილი გრძნობა აკავშირებს ჩემს შვილებთან.

**— თავისუფალ დროს ერთად ატარებთ სოლმე?**



— მერაბი ძალიან მოუცლელია, მაგრამ მე ყველანაირად ვცდილობ, რომ ძალით სადმე „გავიტყუო“ და დასვენების საშუალება მივცე. ისე, გამოგიტყდებით, ძალიან მაინტერესებს თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე მერაბი რა პასუხებს გასცემდა, მაგრამ დღემდე ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერ დაიყოლია ინტერვიუზე.

— იქნებ „ჩამიწყოთ“ საქმე?

— წინასწარ ვერ დაგპირდებით, თუმცა ვეცდები...

— მაროკა, თქვენ საკმაოდ დიდი შვილები გყავთ.

— ნინო 28 წლისაა, ჟურნალისტი. ერთხანს აშშ-ის საელჩოში მუშაობდა. ერთი წელია, რაც გათხოვდა. წარმოშობით რუსს, მაგრამ შვეიცარიაში მცხოვრებ ალექსანდრ ორლოვს გაჰყვა ცოლად. საშას ბაბუა რევოლუციის დროს წავიდა და სამუდამოდ დარჩა შვეიცარიაში. ძალიან მიყვარს ჩემი სიძე. საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანია. აღფრთოვანებულია ქართველების თბილი ბუნებითა და სტუმართმოყვარეობით. ნინო და საშა ჯერჯერობით თბი-

ლისში ცხოვრობენ და არსად აპირებენ წასვლას. ჩემი სიძე რამდენიმე მსხვილი უცხოური ფირმის წარმომადგენელია საქართველოში. ჩემი ვაჟიშვილი 21 წლისაა და ჯერ სწავლობს — მომავალი არქიტექტორია. მსურს, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინოს.

— სიდედრი უკვე გამხდარხართ... დედამთილის პოზიციიდან, უფრო მკაცრი და პრეტენზიული ხომ არ იქნებით?

— არა მგონია! როგორი სიდედრიც ვარ, ისეთივე დედამთილი ვიქნები. რაც შეეხება პრეტენზიებს, არავის მიმართ არ მაქვს და რაღა სიძე-რძლის მიმართ მექნება?! ასე მგონია, როგორც კი პრეტენზია ჩნდება, სწორედ მაშინ მარცხდება ადამიანი. შვილებთან დაკავშირებით დედის სურვილები ყოველთვის უსაზღვროა და გამორიცხულია, შვილებმა ყველაფერი ისე შეასრულონ, როგორც ეს დედას უნდა. ამდენად, სურვილები მაქვს, პრეტენზიები კი — არა. თუმცა, ჩემი ირაკლი ასე მეზუძრება ხოლმე: რძლად კლაუდია შიფერი გინდა, ოღონდ მარია კურის გონებითო...

— წლების მომატებასთან ერთად, ქალს წარსულის ნოსტალგია ეძალება ხოლმე...

— გაგიკვირდებათ და, მე არ მაქვს ასეთი ნოსტალგია. ყოველთვის იმ ასაკში ვგრძნობ თავს ბედნიერად, რომელშიც ვარ. ყველა ასაკს თავისი პლუსები აქვს. დარწმუნებული ვარ: ახლა გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია, ვიდრე 5 ან 10 წლის წინ შემიძლო. სიბერეში მემუარების წერას ვაპირებ. იმის გაფიქრება, რომ შვილიშვილებისთვის ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი ჩემი ცხოვრების შესახებ, აქედანვე მახარებს.

— მაინც რა გაქვთ გასასვენებელი?

— ესუძრებით თქვენ გზას — „ოქ-

ტომბრელობიდან“ დამოუკიდებელი ქვეყნის საქმიან ქალამდე? სხვათა შორის, პიონერიც ვიყავი და კომკავშირელიც, მაგრამ კომპარტიაში პრინციპულად არ შევედი: არ მინდოდა და არც მჭირდებოდა, თორემ სიძნელეს არც ეგ წარმოადგენდა. ჩემთვის ყოველთვის საქმის კეთება იყო მთავარი.

— ოდესმე თუ შეგშურებიათ გინმესი?

— გამოგიტყდებით — იმ ადამიანების მშურს, ვისაც კარგი მეხსიერება აქვს: მე ამისთვის ბევრი შრომა მჭირდება.

— რაიმე სურვილი ხომ არ გაქვთ, რომელიც ჯერ არ აგსრულებიათ?

— მინდა ვიცოდე ბევრი ენა, ვიყო პოლიგლოტი, მაგრამ რადგან ჩემს ასაკში პოლიგლოტობაზე ოცნებაც კი სასაცილოა, კიდევ ერთი ენა მაინც მინდა ვისწავლო (რუსული და ინგლისური ვიცი): ფრანგული ან ესპანური.

— ამ გაჭირვებულ ყოფაში, ბევრ ოპტიმისტს მომაგლის რწმენა „გაუხუნდა“. თქვენ გჯერათ საქართველოს სიძლიერის?

— რა თქმა უნდა! საქართველოს მრავალი კრიზისი გადაუტანია და კვლავ და კვლავ ფეხზე დამდგარა, ამიტომ წარმოუდგენელია, რომ საქართველო ისევ არ გაიმართოს წელში. მთავარია, ყველაფერში საქმის ბოლომდე მიყვანა ვისწავლოთ.

— ახლო მომავლისთვის რა გეგმები გაქვთ?

— ორ კვირაში სტრასბურგში მივემგზავრები. ეს იქნება სერიოზული ვიზიტი: ქართული დელეგაცია, ჩემი ხელმძღვანელობით, თვითმმართველობის საკითხებზე მოხსენებით წარდგება ევროსაბჭოს წინაშე.

მაკა დარჩიას შვილები



მერაბ ადგიშვილი შვილებთან ერთად





# ადამი ქონჯაკაური:

## „ამ ორჩევნებში კენჭს იყრის უნარი, ჯანორჩევნი - მახალს იყრითან...“

### 60600 ჯავახიშვილი

კოლორიტული ალბათ იმიტომ ვარ, რომ სიცილიც მიყვარს და ტირილიც, ხუმრობა, კაფიობა და ანეკდოტები, კარგი ამბების გახსენება... ამის გამო ახალგაზრდობისას კინალამ „პამპულარობამდე“ პოპულარულები გავხდით მე და ვახუშტი კოტეტიშვილიო — მეუბნება ბატონი ალექსი ჭინჭარაული, კაცი, რომელსაც მთისა და ბარის სატკივარი ერთნაირად სტკივა და ვინც კარგად იცის, რომ მტერს მტრულად უნდა დახვდე და მოყვარეს მოყვრულად. ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი — ანუ, როგორც თვითონ ამბობს, ერთი შვილი და დანარჩენი — ქალები. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, რადგან ხევსურებს ძველად მარტო ვაჟიშვილის დაბადებას ულოცავდნენ ხოლმე. ალბათ სწორედ ამიტომ, როდესაც ვაჟის მოძლიდინე ალექსი ჭინჭარაულს მესამეც ვოვონა შესძენა და მეუღლეს უკითხავს — ბავშვს რა დავარქვათო, პასუხიც არ დაუყოვნებია: რა უნდა დავარქვათ და, კმარაო!.. კმარა — მართლაც ხევსურული სახელია და „საკმარისიდან“ მოდის...

ალექსი ჭინჭარაული შატილში, 1925 წლის 25 დეკემბერს დაიბადა. მე და ქრისტე „ახლობლები“ ვართო — სი-

ცილით მეუბნება ბატონი ალექსი.

— საკმაოდ უცნაურ ვითარებაში დავბადებულვარ. მთაში პატარ-პატარა სოფლებია, ზამთარში საქონელს კვებავენ ხოლმე. იქ ყოფილა დედაჩემი, მამასთან ერთად, როცა მუცელი ასტკივებია. რა უნდა ექნა? გადასულა მდინარეზე, ერთ „გადმოხურულ“ კლდეზე — ბატკნების შესაყრელად ქვებით შემოზღუდულ „ოთახში“ ცეცხლი დაუნთია და მარტოს უმშობიარია. მამაჩემი ვერ დაეხმარებოდა: ხევსურეთში ეს ღიდ სირცხვილად ითვლებოდა! მარტო მგლებს ყარაულობდა თურმე... ისეთ დროს გავიზარდე, როდესაც მთაში ჯერ კიდევ ყველაფერი „ცოცხლად“ არსებობდა — ადათიც, წესიც, მტრობაცა და რჯულიც. მეც ზუსტად იმას ვაკეთებდი, რასაც უფროსი ხალხი. ხატის მიჯნის გადალახვა (მთის სალოცავებში მხოლოდ გარკვეულ დროს შეიძლება მისვლა და არსებობს ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადააბიჯო) დღესაც არ შემიძლია — განა იმიტომ,



ვახუშტი კოტეტიშვილითან ერთად

რომ ვთამაშობ — უბრალოდ, გაუღენთილი ვარ ტრადიციებით და სხვანაირად არ შემიძლია. თუმცა, სიმართლე რომ ვითხრათ, დღეს არავითარი ხალხი აღარა მაქვს ხევსურეთში ცხოვრების — მთა ხომ დაცარიელებულია... მხოლოდ ბუნებისა და ტკბილი მოგონებებისთვისდა თუ მივდივარ ხოლმე. თუმცა შატილში სახლიც მაქვს და ჩემი ძმაც, თავისი ოჯახით, იქ ცხოვრობს. მიხაც მეცნიერებათა კანდიდატია, მაგრამ ადგა და წავიდა მთაში — წინაპართა ადგილს მაინც ვერ მივატოვებო...

— საუბრის დასაწყისში მითხარით, ტირილიც მიყვარსო. ეს



**უბრალოდ, სიტყვას მოაყოლებთ თუ მართლა ასეთი გულწრფელი ხევისური ბრძანდებით?**

— რა ვიცი, ხასიათი მაქვს ასეთი — როცა რაიმე ძალიან მომეწონება, მაშინვე ცრემლი წამომივა ხოლმე. ამის გამო ხშირად დამცინიან კიდევ. ჩემი უახლოესი მეგობარი, პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი მეუბნებოდა: შენი ბრალია, მეც რომ ტირილს დავეჩვიო. არადა, ფარნაოზს ძალიან მკაცრი და სერიოზული ხასიათი ჰქონდა. ერთხელ ღუმეთში წავიყვანე ჩემს ბიძაშვილთან, ბაძია ჭინჭარაულთან. ბაძია კარგი ვაჟკაცი, გონიერი და ჭკვიანი კაცი იყო. რა თქმა უნდა, დავლიეთ და ძველი ამბების გახსენებისას, ორივეს თვალები აგვიცრემლდა. მაშინ ფარნაოზმა „გაგაკვილა“: რა არის, ხევისურები ვითომ ვაჟკაცები ხართ და რას იცრემლებითო? ბაძიამ უთხრა: ძმისწულო, რაღაც გეშლება, არ იცი — ვაჟკაცს რომ ცრემლი მოსდის, არწივი თვალებს იბანსო?! ეს ნათქვამი ძალიან მოეწონა ფარნაოზს.

ერთხელ, მისაღებ გამოცდებზე, ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ფარნაოზი. მოვიდა აბიტურიენტი — ჯარისკაცი, მშვენიერი შესახედავი, კარგი ვაჟკაცი. იმ დროს ჯარისკაცებს, ცოტა არ იყოს, ამრეზით ვუყურებდით, ვფიქრობდით — საიდანღაც ჩამოსულს, რა ეცოდინებაო. იშვიათობა იყო, ვინმეს რაიმე სცოდნოდა. ახალგაზრდამ აიღო ბილეთი და დახედა თუ არა საკითხებს, მაშინვე მოისურვა გამოსვლა. კი ვუთხარით — რა გეჩქარება, ჯერ კარგად მოიფიქრეთ-თქო, მაგრამ დაიქინა — მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, საკითხები ვიცი და ახლავე გამოვალო. ამან უფრო გაგვაკვირვა. მე, გამომცდელს, რომ ამელო ის ბილეთი, ისე ვერ მოვყვებოდი, როგორც ის ბიჭი ჰყვებოდა. იმდენად ავლელი, რომ ვაჭყობ, სადაც არის, ცრემლები უნდა გადმომცვივდეს. იქ ტირილს ხომ არ დავიწყებდი?! ფარნაოზს ვუთხარი — მე პაპიროსს მოვწვევ და გამოცდა თქვენ გააგრძელეთ-მეთქი. გავიდა დერეფანში და ვეწვევი პაპიროსს, მაგრამ ცალი თვალი აქეთ მაქვს — ბიჭი შეუფერხებლად პასუხობს და პასუხობს... რომ არა და არ მიგბრუნდი, ფარნაოზმა ხელი დამიქნია — მოდიო და რომ შევედი, მითხრა: ახლა მეორე არწივი დაიბანს თვალს და შენ მოუსმინეო — და თვითონ გავიდა სიგარეტის მოსაწევად: თურმე იმასაც ეტირებოდა... ის აბიტურიენტი ახალგაზრდა ჯეძალ მეხრიშვილი იყო —

მერე აურნალ „ცისკარში“ ბეჭდავდა არცთუ ისე ურიგო მოთხრობებს...

**— როგორც შემოქმედი, რას ფიქრობთ დღევანდელობაზე? და კიდევ: როგორც შატილში დაბადებულსა და გაზრდილ კაცს, თქვენეული ვერსია გექნებათ თავის დროზე გახმაურებული, ახლა კი უკვე მივიწყებული მიწუმათებული ინიციატივისა, რომელიც შატილში, საზღვართან მოხდა.**

— მეჩვენება, რომ ქართველები ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ვითმენთ! არ შეიძლება, მტერს არ უთხრა, რომ მტერია და ამით უფრო გაათამამო. მტერს, ძლიერსაც და სუსტსაც, თუ კაცი ხარ, კაცურად უნდა დახვდე! დათმობა გამოსავალი არ არის. სწორედ ამ დათმობისა და ქართველი საზღვარდამცავების სიმხდალითაა გამოწვეული ის, რომ ხევისურეთში კუთვნილი ტერიტორია დავკარგეთ. რა მოხდა შარშან? 22 დეკემბერს შატილში მესაზღვრეების საგუშაგო რომ დაიბომბა (საგუშაგოზე მაშინ 6 მესაზღვრე მსუბუქად დაიჭრა), მაშინ იქ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოტო-სამანევრო ჯგუფიც იყო მივლინებული, ვითომ ადგილობრივი საგუშაგოს დასახმარებლად. მესაზღვრეები კი თავიქმდომოვლეჯილები გამოიქცნენ. საზღვარი არ მიატოვა მხოლოდ მესაზღვრეთა იმ ნაწილმა, რომელსაც კაპიტანი ირაკლი ჭინჭარაული (მეტსახელად „ხამურზა“ — საგუშაგოს უფროსი და საკრებულოს თავმჯდომარე იყო. — ავტ.) ხელმძღვანელობდა. 23-ში კი მათაც უბრძანეს საზღვრის დატოვება. 10 დღე საზღვარი დაუცველი იყო. მერე აეთიანდილ არაბული, ალექსი ჭინჭარაული და თამარ გამყრელიძე სტუმრებთან ერთად

მივიდნენ რუსები და თავიანთი პოსტი გახსნეს. ასეა: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებინან, ნათქვამია... ასე დავკარგეთ ერთი ძირძველი ხევისურული სოფელი — ფიჭვნი... ამ ამბავმა ირაკლი ჭინჭარაულის სიცოცხლე შეიწირა — 30 ივნისს შატილის სასაზღვრო საგუშაგოზე თავი მოიკლა. მაგრამ დღესაც არ კითხულობს კაციშვილი, რატომ და რისთვის?! როგორც მითხრეს, ირაკლი იმ დღეს უხასიათოდ ყოფილა, სახლში მისულა, უბანავია, მერე საგუშაგოზე გაბრუნებულა და იქ მოუკლავს თავი. რატომ არ გააკეთა ეს სახლში? მიძინა, რომ ეს იყო ერთგვარი პროტესტი იმის გამო, რომ საგუშაგოზე კი იდგა, მაგრამ ვერაფერს აკეთებდა! ირაკლი ის კაცი არ იყო, სხვათა დაკრულზე რომ ეცეკვა! აცეკვეს და ვეღარ აიტანა!.. ყველამ კარგად იცოდა, „ხამურზას“ როგორ უყვარდა ხევისურეთი, როგორი პატრიოტი იყო...

**— ახლა რა ხდება შატილში? უფრო წყნარი სიტუაციაა?**

— ალბათ კიდევ თუ მოხდა რამე, კიდევ დავთმობთ და ეგ არის... ესენი თუ საკითხის მოგვარებას ამას ეძახიან, არ ვიცი. რუსებს როცა რა მოეხასიათებთ, იმას აკეთებენ... ერთი-ორი თვის წინ ჩემმა ძმამ ვირები დაკარგა. ფიჭვნის აქეთ საზღვარი რომ გადის, იქიდან 100 მეტრში რუსი მესაზღვრეები შეხვდნენ. ძისამ ჰკითხა: ვირებს დავებებ და ხომ არ გინახავით?

— ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ უფროსმა შეიძლება იცოდეს რამე და ვკითხოთო. მერე გაკოჭეს, თვალები აუხვიეს, მანქანაში ჩააგდეს და იტუნკალეში, იმ ადგილიდან 40 კილომეტრით რომ არის დაშორებული, გააქანეს. ატყდა ერთი ამ-



ბავი. მერე გაეროს წარმომადგენლები მოსკოვს დაუკავშირდნენ და იქიდან გაირკვა, სადაც იყო. მეორე დღეს სალ-სალამათი დააბრუნეს... რა მოხდა? რუსებ-მა კიდევ ერთხელ აგვიგდეს მასხრად. ჩემი ძმა იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ ვერაფრით გადახარშა ეს ამბავი. დასამშვიდებლად, თბილისიდან ლექსი გავუგზავნე:

**უმცროს ძმა შატილ გავწირე,  
ადგილ-მამულის მცველადა.  
ენლა გავიგე ამბავი  
გასაგონები ძნელადა:  
მიხა ტყვედ დაუჭერავის,  
რუსებს ჩაუგდავ ხელადა,  
ქოლდ თვალთ მიუჩინდების,  
სინათლე მექცა ბნელადა, –  
ჩვენებ დიღლოში დიოდეს  
ტყვეების მასასხმელადა,  
მიხა ჩაჩნეთში წასულა  
ვირების საძებნელადა...**

— ბატონო ალექსო, დღევან-დედლ მთავრობაზე ხომ არ გაქვთ რაიმე „მწარე“ დაწერილი?  
— ისეთი არაფერი. ერთი კაფია საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირე-ბით დაწერე, მერე მცხეთაში შეგზვდი ბატონ ელუარდს და წაუკითხე კიდევ:

**ანაზღად მივხვდი, ხატი  
და ღმერთი,  
ადრე ამაზე არ მიფიქრია,  
ამ არჩევნებში კენჭს იყრის ერთი,  
დანარჩენები მახათს იყრიან.**

ერთ დროს, საბჭოთა პერიოდში ბარ-ში გადმოსახლებული ხევსურები ისევ აოხრებულ სოფლებში რომ დაგვაბრუნეს, ეს საქმე ცეკავშირს გადააბარეს. ისე გამოვიდა, რომ ყვავა ბუს მიუგდო ბახა-ლა — შენ იტირე, დიდი თავი გაქვსო...

**მეგობრებთან, გიორგი გოგოლაშვილთან და  
გიორგი ცოცხანიძესთან ერთად**

ცეკავშირი ფულიანი ორგანიზაცია იყო და ვითომ ხევსურეთისთვის უნდა მოეე-ლო... მოკლედ, მაშინ შატილობები იმა-რთებოდა ხოლმე. ერთ-ერთი შატილობი-სას, ცხონებული სოლიკო ხაბეიშვილიც გვახლდა თან. ლამის მთელი ჩეჩნეთი მოგვატარა შვეულმფრენით. შვეულმფ-რენში თან კონიაკს ვსვამდით და თან ვკაფობდით კიდევ. მაშინ ვთქვი:

**ხევსურებო, ტაში, ტაში,  
სიმღერა და ცეკვა ხშირი,  
რაც მთავრობამ დაგვინგრია,  
ავკიშენებს ცეკავშირი.**

როდესაც შატილში ჩავედით, ბატონ-მა ელუარდმა თქვა: მაგიდა, ღვინო და პურ-ყველი გარეთ გამოიტანეთ, რომ მოწვეული ხალხი მოვიპატიჟოთო. მა-შინ წაიკითხა ვახუშტი კოტეტიშვილმა ჩემი ახალი კაფია, ოღონდ ცოტა გადა-აკეთა: „რაც დაგვენგრა ჟამთა სვლაში, ავკიშენებს ცეკავშირიო“. „მთავრობა“ ამოავლო ლექსიდან, მაგრამ ვინ მოტყუე-და?! შევარდნაძემ მაშინვე შეუწორა: ეგრე არ არის, ვახუშტი, სწორად თქვი: „რაც მთავრობამ დაგვინგრია, ავკიშენებს ცეკავ-შირი“, ავერ, ალექსი აქ არის და ჰკითხო... წარმოიდგინეთ, რომ დროის იმ პატარა მონაკვეთში, ცაში ნათქვამი სტრიქონები უკვე შევარდნაძემდე იყო მისული... ახლა ეტყობა, აღარაფერს ეუბნებიან, თორემ... ახლახან ღირსების ორდენი გადმოძცა პრეზიდენტმა და თან მითხრა: მოკლედ, უბერებელი კაცი ხარო. ცოტა არ იყოს, გადაკრულად ვუპასუხე: რა დამაბერებს ბატონო ელუარდ, შატილობა ხომ უნდა გავმართოთ-მეთქი. გაეცინა და — რა თქმა უნდაო, მიპასუხა, მაგრამ ვინ იცის, შა-ტილში კიდევ რა მოხდება...

— **თქვენი ადრესატები ხომ არ ბრახდებიან ხოლმე ამ უწყ-ინარ კაფიებზე?..**

— რა ვიცი, არა მგონია. რა არის გას-აბრაზებელი?! ზოგს თუ არ ესიამოვნება, ზოგს ესიამოვნება, ზოგი პასუხს დაგი-ბრუნებს, ზოგი — არა, ზოგიც უბრალოდ გა-იცინებს.  
ერთხელ, ხუტა ბერულავასთან რაღაც საქმეზე მივედი. მა-შინ გამომცემლობა

„განათლების“ დირექტორი იყო. მისადებ-ში სხვაც ბევრი ელოდა. ერთი გოგონა იჯდა ჩემს პირდაპირ, ნამეტანი მინი-კაბა და ღრმად დეკოლტირებული „მაიკა“ ეცვა, თან ფეხი ფეხზე გამომწვევად ჰქონდა გადადებული. მდივანმა მითხრა: ბატონ ხუტას ვილაც ახალგაზრდა ქალი ჰყავს მიღებაზე, მერე სხვებიც ელოდებიან და არ ვიცი, როდის გათავისუფლდებაო. აღარ იქნა იმ გოგოს გამოსვლა კაბინეტიდან. ვიფიქრე — ახლა ეს მეორე შევა და ვინ იცის, როდის მეღირსება ხუტას ნახვა-მეთქი: მდივანს ფურცელი გამოვართვი, ლექსი დავეწერე და ვთხოვე, ახლავე შეუ-ტანე-მეთქი. აი, რა მიეწერე:

**„განათლების“ დირექტორო,  
ვის გინმობენ „პრასვეტიტელს“,  
დღისით, მზისით რატომ იღებ  
„პასეტიტელს“, ასე ტიტველს...**

— **ბატონო ალექსო, სახ-აღბო მეღვექსეობა ხალხის სიყვა-რულს ნიშნავს. თავადვე აღნიშ-ნეთ — სამწუხაროდ, კარგი მეღვექსეები უკვე წავიდნენო. ახლები აღარ ჩანან?**

— ახლები როგორ არ არიან, მაგრამ მოძებნა და პოვნა უნდა. ერთი შარახვე-ლი ბიჭი მომეწონა ადრე, კარგი ლექსები წავეკითხა და კარგადაც გაეკაფიავა ვი-ლაცას. მერე ნაცნობმა მიაძმო: ერთხელ თურმე ღუშეთის ავტოსადგურის სახინ-კლეში შესულა ის ბიჭი, ერთი კათხა ლუდი და ხინკალი მოუთხოვია. ხომ იცით, ავტოსადგურში რა სასაიდლოებია — იქ გაკეთებულ საჭმელს იბულებით თუ შეჭამს კაცი, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ჰოდა, პირი არ დაუკარებია, ისე დაუტოვებია საესე თევში. რომ წასულა, უნახავთ — თევშზე გადაფარებულ ხელ-საწმენდზე ლექსი დაუწერია:

**ღუშეთის სახინკლეშია  
შემოველ შარახვეელი,  
არ ვარგებულხარ, ხინკალო,  
მე შენი შამამხვეველი...**

მიყვარს ნიჭიერი და ხალასი ახალ-გაზრდები. ტრახახად ნუ ჩამომართმევთ და ახალგაზრდებსაც ძალიან ვუყვარვარ... შეიძლება დაგბერდი კიდევ, მაგრამ წლებს მაინც არ ვუბუები და არ ვიშლი მათთან ქეიფსა და დროს ტარებას. ჯერჯერობით ვუძლებ და მერე ვნახოთ...





# ... და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი

მზის ამოსვლისთანავე იღვიძებდა ბანაკი. პიონერთა ხელმძღვანელებად სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ გაგზავნილნი. მათ ეხალისებოდათ მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ერთად ვარჯიშობდნენ, თამაშობდნენ და ლაშქრობებზე დადიოდნენ.

ომის ქარცეცხლი ჯერ კიდევ არ განელებულიყო, ამიტომაც ხშირად, პატარ-პატარა თავყრილობებზე (მაშინ რომ რაზმეულის შეკრებას ეძახდნენ) პატრიოტული პათოსით იგონებდნენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირებს. ხშირად ტყეში შეფენილი ბავშვების ჟრიაბულს პრაქტიკაზე მყოფი პიონერთა ხელმძღვანელის ტკბილი ხმა ფარავდა ხოლმე. ეს ერთგვარი ხერხიც გახლდათ კიკეთის ტყეში გაბნეული მოსწავლეების მოსაგროვებლად, რადგან საკმარისი იყო, ინოლას ძახილი გაეკონათ, რომ რამდენიმე წუთში გარს შემოეხვეოდნენ მზრუნველ და ყურადღებიან პედაგოგს.

მერე კი, დაძინებამდე კოცონს დაანთებდნენ, ირგვლივ შემოუსხდებოდნენ და ეხვეწებოდნენ: გვიმღერეთ რა, ინოლა მასწავლებელო!

თუმცა თხოვნა რა საჭირო იყო, როცა გული თავისით მღეროდა, ფოთოლთა შრიალი კი მის ხვეწვას ხმას მისამღერივით ეფინებოდა.

„და ვინ დარჩება შენ შემდეგ ჩემთან, ეგ სულერთია, ეგ სულერთია!“

დაასრულებდა ინოლა გურგულია სიმღერას და კვლავ ატყდებოდა ჟრიაბული: ახლა სხვა, ახლა „საქანელა“.

და კვლავ იწყებდა ინოლა: „მთები და გზები და ლურჯი ყანები, საქანელა მიჰყვება და მივექანები“.

ჩანავლდებოდა კოცონი. უფროსები ბავშვებს წამოშლიდნენ, მერე კი, „ვიწრო წრეში“ კვლავ მიუსხდებოდნენ ნაკვერჩხლებს. საუბრობდნენ იმედთან მომავალზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე. იქ ინოლას იცნობდ-

ნენ, როგორც გულიან და ღიმილიან გოგოს, რომელსაც სიმღერა ძალიან უყვარდა. თვით ინოლამაც არ იცოდა, რომ მომავალში ბედისწერა მუსიკის მუზის მსახურად აქცევდა, მერე კი ნაადრევად, სიკვდილსაც შეაგებებდა. სურათზე სწორედ კიკეთის ბანაკის ახალგაზრდა „ხელმძღვანელობა“ გადაღებული. მარცხნივ (I რიგში) ინოლა გურგულია გახლავთ, მარჯვნივ კი დედაჩემი. სწორედ მან მომაწოდა ეს სურათი. გადაღების მერე, როგორც დედამ მიაბო, ინოლა შემალღებულ ბორცვზე ავა, დაბურული ხის ტოტებიდან მზის ჩამოღვრილ სხივებს „შეუშვერს“ ხელს და კვლავ ტკბილი ხმით დაიღვინებს:


პირველად იყო სიმღერა, გალობა, პრაკალხმიახი, და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი.

მარინა ბაბუნაშვილი

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკრძან:

1. პერნამბუკუ და პიაუი ბრაზილიის შტატებია.
2. ვიქტორ ასტაფიევი ებრაელებს „ვერეინტას“ ეძახდა.
3. ქალაქი ჩინეთში გამოიგონეს.
4. „მარიაჟი“ ფრანგულად ქორწინებას ნიშნავს.
5. ოლღა გურამიშვილი ილია ჭავჭავაძის მეუღლე გახლდათ.



6. ციტრუსის კანის ზედა, შეფერილ ფენას ცედრა ეწოდება.
7. რუსეთის პრემიერ-მინისტრ კირიენკოს ხალხში „ქინდერ-სიურპრიზს“ ეძახდნენ.

8. ერთ-ერთი წვეულების შემდეგ მარლენ დიტრიხმა ერის მარია რემარკი შინ წაიყვანა. ღამის ოთხი საათი იყო. მწერალი ისეთი დაღლილი იყო, ისე სტკიოდა თავი, რომ ქალს მხოლოდ ხელზე ეამბორა და უკან გაბრუნდა. P.S. „ვეკრძნობდი, უკან გამობრუნებულს, როგორი გაცვივებული მხერით მიცქერდა მარლენ დიტრიხი“, – წერდა მოგვიანებით რემარკი.

9. სექსუალური აქტის დროს მამალი დელფინი მდებრის ქვეშ, გადმობრუნებულ მდგომარეობაში იმყოფება და მასთან ერთად სინქრონულად დაცურავს.

10. ამერიკული ავტომობილი „ემ 16“ ათ ტყვიას ისვრის წაშში.

11. კენა, გვერდზე გაცურვა და ლოდინი – როდის დაიცლება მსხვერპლი სისხლისგან – ასეთია თეთრი ზვიგენის თავდასხმის ტაქტიკა.

12. ტიუტჩევის მტკიცებულება – „უმომ რასიუ ნე პანიატ“, ზოგჯერ თავად რუსებში იწვევს გაღიზიანებას. ამას წინათ, ერთმა პოლიტიკოსმა პირდაპირ ეთერში გართმა: „უჟე პარა, ედრიონა მატ, უმომ რასიუ პანიატ!“

13. ბუს ასიმეტრიული ყურები აქვს – ერთი ყური მეორეზე დიდია.

14. ჰოლანდიის ანექსიის დროს დესანტის სიმცირე რომ დაემალათ, გერმანელებმა აუარებელი მანეკენი გადმოყარეს პარამუტით, რითაც პანიკა დათესეს მოწინააღმდეგეთა რიგებში.

15. ვახტანგ რჩეულიშვილი, როგორც თვითონ ამბობს, აშშ-ის ოცდაცამეტ შტატშია ნამყოფი.

ბებიაქალი განსაკუთრებული პროფესიაა — თუ შენი მოზოდება არ არის, სჯობს თავიდანვე ხელი აიღო ამ არჩევანზე. ამაში კიდევ ერთხელ დაფრწმუნდი ნანა ტყავაძესთან საუბრისას, რომელიც თბილისის ერთ-ერთი სამშობიაროს განყოფილების უფროს მედდად, საოპერაციოს მედდად და ბებიაქალად მუშაობს.

ნანამ ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა, საფერშლო სპეციალობით. 1974-დან 1982 წლამდე ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობდა. შემდეგ თბილისში გათხოვდა და სამსახურიც აქვე გააგრძელა.



„ბაჟუნი აჯიყვან ე და ჟოთხაჩი: თუ ძმა ახ გინდათ, — ამას მე ნაჯიყვან-მეოქი.“

6060 შევარდნაჲ

— ნანა, რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

— დედაჩემის დაქინებულმა რჩევამ დიდი როლი ითამაშა ჩემი პროფესიის არჩევაში. დედა მეუბნებოდა: აბა, წარმოიდგინე, რა დიდი მადლია, დაეხმარო გავჭირვებაში მყოფ ადამიანს და თანაც, ახალი სიცოცხლის დაბადებას შეუწყო ხელიო. თავიდან ვფიქრობდი, ჩემი ზედმეტი ემოციურობა შემომლიდა ხელს, მაგრამ დღეს ძალიან მადლიერი ვარ დედაჩემის და ყველასი, ვინც ხელი შეუწყო ჩემი პროფესიული არჩევანის განხორციელებას.

— რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ბებიაქალი?

— პირველ რიგში, ეს პროფესია ძალიან დიდ ნებისყოფას მოითხოვს, რადგან თან ახლავს წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური დაძაბულობა. შენ ხომ ქალის ცხოვრების ყველაზე დრამატული და იმავედროულად, უბედნიერესი წუთების თვითმზილველი და თანამონაწილე ხდები, ამხნევებ, დედობისათვის ამზადებ, შიშის დათრგუნვაში ეხმარები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიდგომას. მშობიარე ქალის ფსიქიკა ამ დროს ზამბარასავითაა დაჭიმული. სწრაფი რეაგირების უნარი უნდა გქონდეს. ეს პროფესია ხელს გიწყობს, საკუთარ თავში ახალ-ახალი თვისებები და შესაძლებლობები რომ აღმოაჩინო. ორი ადამიანის სიცოცხ-

ლე გაბარია. ყველანაირ რისკზე წახვალ, ოღონდ ახალ სიცოცხლეს გაუხსნა გზა. ჩემთვის ბედნიერი წუთებია, როცა ღვთის საჩუქარს ხელში ავიტაცებ და მის ტირილს გავიგონებ.

— თქვენ რისკი ახსენეთ, იქნებ კონკრეტული მაგალითები მოიყვანოთ?

— მშობიარესთან დაკავშირებით ექსტრემალური სიტუაცია ძალიან ხშირად ხდება. როცა „სასწრაფოს“ სისხლდენით მოჰყავს პაციენტი, რომელსაც თავისიანი არავინ ახლავს და სისხლის გადასხმა სჭირდება, რას იზამ? დონორის როლშიც აღმოჩნდები. ამ დროს არც ფიქრობ, რომ შეიძლება ამით თავად დაზარალდე. ფაციფუცსა და სირბილში რამდენჯერ დავგორებულვარ კიბეზეც... გათხოვებიდან 3-4 წელი შვილი არ მიჩნდებოდა, არადა, ჩემი ოცნება იყო, სამი შვილი მყოლოდა. და აი, როგორც იქნა, ნანატრი დღეც დამიდგა. მაშინ მე-8 საავადმყოფოში ვმუშაობდი საოპერაციოს მედდად. უკვე ხუთი თვის ფეხმძიმე რომ ვიყავი, საოპერაციოში მუშაობა ექიმისგან აკრძალული მქონდა. „სასწრაფომ“ ორი დაჭრილი ახალგაზრდა მოიყვანა. გადაუღებელი ოპერაციის მზადებისას გაირკვა, რომ ჩემი დახმარება იყო საჭირო. ავდექი, მოვემზადე და ქირურგს გვერდში ამოვუდექი. ორივე დაჭრილი გადარჩა, მაგრამ მე, სამწუხაროდ, ნადრევი მშობიარობა დამეწყო და შვილი დავკარგე.

შემდეგ კი ველირსე შვილს – გოგონა შემეძინა, ახლა იგი 15 წლის არის. სხვათა შორის, მისი გაჩენისას საკეისრო დამჭირდა...

საერთოდ, ყველაზე მძიმე შეგრძნება მაშინ გეუფლება, როდესაც მოჰყავთ მშობიარე, რომელმაც იცის, რომ მკვლარი შვილი უნდა გააჩინოს. ასეთი დედების გაგება არ მიჭირს, რადგან ანალოგიური განცდა და სიტუაცია მე თვითონ მქონდა.

**— ყველამ იცის, რომ ბებიაკალს მახარობლის ფუნქციაც აკისრია. როგორი განცდა გეუფლებათ იმ მომენტისთვის?**

– სასიამოვნო განცდაა, როცა ყველაფერი ექსცესებისა და გართულებების გარეშე მთავრდება. სხვისი ტანჯვის შემყურეს, არ შეიძლება გული არ მოგიკვდეს. ზოგ ქალს ტკივილები ისე უხანგრძლივდება, ღმერთს ვევედრები, ყველაფერი მალე დამთავრდეს. არის შემთხვევები, როცა ქალები თავიანთ ქმრებს ლანძღავენ – ეს რა მიქენი, რა დღეში ჩამაგდო. ბავშვის დაბადების შემდეგ კი ყველაფერს ივიწყებენ და გაიძახიან: სად არის ჩემი თემური?! სად არის ჩემი მერაბი?! გააგებინეთ რომ კარგად ვარ... სიხარულისა და ბედნიერების ამბავს რომ აუწყებ კაცს, ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს?! თუმცა ზოგჯერ ისეთი კურიოზები ხდება – ბავშვის სქესთან დაკავშირებით... ზოგი პირდაპირ მოგახლის – ეგ ჩემი შვილი არ არის, მე ხომ „ეხომ“ ბიჭი მიჩვენა და ალბათ ბავშვი შემიცვალეთო. ამას წინათ ერთი საათი დაგვჭირდა იმისთვის, რომ მამა დაგვერწმუნებინა, ბავშვი მართლაც მისი რომ იყო. ბელად, იმ დღეს მხ-

**პაციენტთან ერთად**



ოლოდ ერთი მშობიარე გვყავდა და ისიც – მისი მეუღლე. ერთხელ, ქალს შეეჩქვს გოგო შეეძინა და ქმარმა საერთოდ არ მოაკითხა. ბოლოს მეზობლებმა მოიყვანეს ძალით, გაწერის დროს.

**— საზღვარგარეთ აპრობირებულმა მეთოდმა, მშობიარობისას მეუღლეს დასწრების უფლებას რომ აძლევს, ჩვენთან რატომ არ მოიკიდა ფეხი?**

– ალბათ ქართველი მამაკაცების მენტალიტეტის გამო. იყო ერთი შემთხვევა, როცა მამამ ისურვა დასწრებოდა თავისი შვილის დაბადებას. უმეტესობა კი სურვილს არ გამოთქვამს. ამ დროს ქალისთვის რაღაც დადებითი ფსიქოლოგიური მუხტის მიძემები მართლაც არის მისი მეუღლე.

**— ისეთ შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდით, როცა უშუალოდ ადამიანთა ბედში ჩარევა მოგიხდათ?**

– იყო ასეთი შემთხვევა, როცა ერთი სოფლელი ქალი, იქნებოდა ასე, 46 წლის, შევლას ითხოვდა. რომ ჩამოიყვანეს, ამბობდა – ფიბრომა მაქვსო. გასინჯვის შემდეგ მშობიარობა დაეწყო და სრულიად ჯანმრთელი ბიჭი შეეძინა. დედამ ეს ტრაგედია აღიქვა: თავი უნდა მოვიკლაო, იძახდა, რადგანაც უკვე 23 წლის ბიჭი და 17 წლის გოგო მყავსო... რას ამბობთ, მოვიდნენ და მე დაველაპარაკები-მეთქი. მოვიდნენ შვილები, დასხდნენ. ვეკითხები: თქვენ ძმა არ გინდათ?... ხმას არ იღებენ. ორივეს თავი აქვს ჩაღუნული. უცებ, თავში გამიელვა და მათაც მივახალე – თქვენ თუ არ გინდათ, მე წავიყვან და მეორე შვილთან ერთად გავზრდი. აბა, რა ვქნათ, დღათქვენი ტირის, თავის მოკვლა უნდა-მეთქი... ბიჭმა შემომხედა და მეუბნება – აბა, დედაჩემი მაჩვენეთო. წავიყვანე. პალატაში შესულმა, თვალები პირდაპირ ბავშვს მიაბჯინა. ცოტა ხანი ვითმინე, მერე ავიყვანე ეს ბავშვი და გავუმეორე: თუ თქვენ ძმა არ გინდათ, მე მთელი სულითა და გულით მიმყავს-მეთქი. უცებ ბიჭი მომიბრუნდა და მტკიცედ მითხრა: არა, ეს ბავშვი ჩვენთან გაიზრდებაო. მეგონა, მხრებიდან დიდი ლოდი ჩამომხსნეს... ის ღამეც ბიჭმა ბავშვის გვერდით გაატარა – მგონი, მართლა ძალიან შევაშინე. ახლა ის ბიჭი 3 წლისაა და, როგორც გავიგეთ, სულ ის და-ძმა უვლისო...

**ინფორმაციულ-მედიცინითი კოლაჟი**

**ეორი ღვალის უბის წიგნაკიდან:**

16. ეთიოპიის მოსახლეობა ჩვენზე უკეთესად მარაგდება ელექტროენერგიით. P.S. ამ ქვეყანაში სულ ახლო წარსულში ასი ათასი ადამიანი დაიღუპა შიმშილით.

17. ცინოსტუდია „კოლაბია ფიქნერის“ ხელმძღვანელ, ჰარი კონს, თავის სტუდიაში ერთ-ერთ სკამზე ელექტროსადენები ჰქონდა მიერთებული. ეს კაცი წლების განმავლობაში იმით ირთობდა თავს, რომ უჩინარ ღილაკზე თითის დაჭერით დენს ურტყამდა სკამზე მჯდარ სტუმარს. P.S. ცნობილმა პროდიუსერმა ბოროტ ხუმრობაზე მხოლოდ მაშინ აიღო ხელი, როდესაც მისი „თავდასხმის“ ერთ-ერთ ობიექტს გულის შეტევა დაემართა.

18. ოპტიკურ მოწყობილობას, რომელითაც წყალქვეშა ნავიდან წყლის ზედაპირს აკვირდებიან, პერისკოპი ჰქვია.

19. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულს ძველ საბერძნეთში ზეთისხილის ტოტს გადასცემდნენ.

20. სეიფების გამტეხებს რუსეთში „მედვეჟატიკებს“ ეძახიან.


21. სასტუმრო „კალიფორნიას“ ანსამბლმა „იგლზმა“ გაუთქვა სახელი.

22. ეკვატორზე განლაგებულ ქვეყნებში დღე-ღამის ხანგრძლივობა მთელი წლის განმავლობაში ერთნაირია.

23. მგზავრები, რომლებიც საბაჟო შემოწმებას არ ექვემდებარებიან, აეროპორტში მწვანე დერეფნით სარგებლობენ.

24. სამხედრო თვითმფრინავების ასაფრენი ხაზიდან ფრინველების დასაფრთხობად ინგლისელები სპეციალურად გაწვრთნილ მიმინობს იყენებენ.

25. დღეს თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით დამახინჯებულ მეტყველებას, რასაც, არცთუ იშვიათად, კურიოზიც ახლავს. ამას წინათ, სიონის ეკლესიაში შესულმა შუახანის ქალბატონმა მესანთლეს მიმართა: „ერთი მკვდრისა და ერთი ცოცხლის პეჩენია მომეცით, თუ შეიძლება!“ P.S. ქალბატონს სეფისკვერი ჰქონდა მხედველობაში.



ბილეთები შევიძინეთ და სპექტაკლის დაწყებამდე, მარჯანიშვილის თეატრის წინ მდებარე კაფეში შევედით. ჩვენი ყურადღება გალაკტიონის ლექსის სტროფებმა მიიქცია. გავიხედეთ და ერთ-ერთ სუფრასთან მსახიობი ამირან ბუაძე დავინახეთ. დრო საკმარისი იყო, დიქტოფონი თან გვქონდა და შემთხვევაც ხელიდან არ გავუშვიტ.



*„ლომში ჯაღის სიუჟეტით ბევრი სისულოღო ზამიღებია“...*

**ნათია თენგიშვილი  
ხათუნა ჯავახიშვილი**

— **ბატონო ამირან, როგორ გუნებაზე ხართ?**

— როგორ გუნებაზე ვარ და მშვენიერზე! გაზაფხული დადგა, ადამიანის სულში სითბო და სილამაზე იღვრება, ჩემს მეგობრებთან ერთად ვზივარ და ვუყურებ ჩემს თეატრს...

— **ეს საუკეთესო სიტუაციაა თქვენთვის?**

— ადამიანი ხანდახან უნდა განიშუბტოს. ჩვენი ცხოვრება ისედაც დაძაბულია და ზოგჯერ ერთი ჭიქა ღვინით ხელში რომ მიუჯდები სუფრას მეგობრებთან ერთად, განმუხტვის შესანიშნავი საშუალებაა.

— **ხშირად მიმართავენ განმუხტვის ამ ფორმას?**

— ხშირად არა, მაგრამ მეგობრებთან ერთად ქეიფი ძალიან მიყვარს.

— **კიდევ რა გიყვართ?**

— ლამაზი ქალი მიყვარს!  
— **გაიხსენეთ პირველი ქალი, რომელიც შეგიყვარდათ.**

— სკოლაში მიყვარდა ერთი კარგი გოგონა. გავიდა წლები და ერთხელ, სპექტაკლიდან რომ გამოვედი, ჭლარათმიანი ქალი დავინახე. თითქოს მეცნო, მაგრამ ვერ გავიხსენე. ამირან, როგორა ხართ? — მკითხა და უცებ მივხვდი, რომ ის იყო. სველიანი გრძნობა დამეფულა, ცუდ გუნებაზე დავდექი: ის გოგო აღარ იყო, ბავშვობაში რომ მომწონდა და გული ჩამწყვდა... უკვე

ბებია ვარო, მითხრა. ჩემი თაობის აღმიანები ბებიები და ბაბუები კი გახდნენ, მაგრამ ქალმა თავს უნდა მოუაროს... მამაკაცს ისე არ ეტყობა ასაკი, როგორც ქალს. ქალი ისეთი ფაქიზია, ლამაზი ყვავილია და არ უნდა დაჭკნეს.

— **მაგრამ ყველა ყვავილი ტკნება!..**

— ერთი ასე წელი მაინც ლამაზი უნდა იყოს! ხანდახან გული მწყდება, ჩემი თაობის ქალებს რომ ვუყურებ და...

— **უკვე ბებიები რომ არიან?**

— არა, ბებია შეიძლება იყო, მაგრამ ლამაზად უნდა გა-მო-ი-ყუ-რე-ბო-დე!

— **რამდენადაც ვიცით, თქვენ ჯერ არა ხართ ბაბუა?..**

— ჯერ არა, მაგრამ მოუთმენლად ველი ამ ამბავს. ჩემი ვაჟი ჯერ უცოლოა და როდის გამახარებს, არ ვიცი.

— **რას საქმიანობს?**

— შოთიკო საბანკო საქმეს სწავლობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ამჟამად ბანკში მუშაობს — მომავალი ბანკირია (იცინის), ხელი მოჰკიდა საქმეს და ვნახოთ, როგორ გაამართლებს. ისე, კარგი ბიჭია.

— **მოგწონთ, სომ?**

— კი, კარგი ბიჭია, სურათს გიჩვენებთ (ბატონმა ამირანმა გულის ჯიბიდან შვილის სურათი ამოიღო).

— **ლამაზი ქალების მოყვარულს, მათ გამო სისულელეც გაქნებათ ჩადენილი...**

— ბევრი სისულელე მაქვს ჩადენილი, ყველას რა გამახსენებს?!.. აი, ერთი: 1972 წელს მოსკოვში ვიყავი გასტროლებზე. ძალიან მომეწონა ერთი რუსის ქალი, რომელიც ლენინგრადში მიდიოდა. ორი დღე სპექტაკლი არ გვქონდა, მეც ავდექი და ლენინგრადში ჩავაკითხე...

— **ცოლი გყავდათ უკვე?**

— არა, მაშინ 22-23 წლის ბიჭი ვიყავი და თავში „მიქროდა“. დღესაც შეიძლება ჩავიდინო სისულელე, მაგრამ დღეს სხვა მოთხოვნებია. ახალგაზრდობა ძალიან კარგია — სისულელესაც აკეთებ და სიჭკვიანესაც, მაგრამ ახალგაზრდობაში მაინც ემოციები სჯაბნის ჭკუა-გონებას.

— **მეუღლე სად და როგორ გაიცანით?**

— ჩვეულებრივად — ახლობლის ოჯახში გავიცანი. მეგობარს მანქანა გამოვართვი და გავასეირნე, მიუხედავად იმისა, რომ ტარება რიგიანად არც ვიცოდი. გავიარ-გამოვიარეთ და მალეც შევეუღლდით.

— **თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?**

— ექიმია — ყბა-სახის ქირურგი, რესპუბლიკურ სავადმყოფოში მუშაობს.

— **ყველას თავისებურად უყვარს: სიყვარულის თქვენეული ახსნა?..**

— სიყვარული არის ძალიან დიდი ტვირთი, დიდი წუხილი. სიყვარული დიდი ნიჭიერებაც არის. როცა გიყვარს, გული ბორგავს. ამიტომ ამ სიყ-

ვარულს სევდაც მოსდევს და დიდი აღმფრენაც. ბედნიერი ხარ, ოლონდ — როცა სიყვარული ორმხრივია. ცალმხრივი სიყვარული არ მწამს. ცალკარში თამაში ცუდია (იციანის).

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ქალისთვის საუკეთესო საჩუქარი?**

— საჩუქარია ერთი ცალი ვარდიც და ახალი ავტომანქანაც — გააჩნია, ის ქალი როგორ გიყურებს. მე ვარდიც მიმიტანია ქალისთვის და...

**— დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქართველმა მამაკაცმა ჯენტლმენობა დაკარგა. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს?**

— ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ უმრავლესობა ასეთია. შეიძლება ცხოვრებამ მოიტანა, შეიძლება აღზრდამ. მაგალითად, საშინელებაა, როდესაც ახალგაზრდა კაცი გოგონასთან ერთად დგას და, უკაცრავად, იფურთხება. ან კიდევ, როგორ შეიძლება, ბიჭმა მძიმე მკლავი გადახვიო გოგოს და ისე იარო?! შეიძლება მე ჩამორჩენილი ვარ, მაგრამ ქალს მაინც სხვანაირი ყურადღება, სხვანაირი მოწიწება სჭირდება, სხვანაირად უნდა ყვავილის მიწოდება. დღეს ერთ ახალგაზრდას შენიშვნა მივეცი: გოგონა არ გაატარა — დაადო თავი და გაიარა. გაატარე გოგონა და მერე გადი, ასე სად გეჩქარება-მეთქი?

**— თქვენი თაობისგან განსხვავებით, დღეს ქალები უფრო აქტიურობენ მამაკაცებთან ურთიერთობისას...**

— ცხოვრებამ მოიტანა ალბათ. დღეს ახალგაზრდას არ აკლია, ასე ვთქვათ, „ნაგლობა“. ჩვენ მოწიწებით ვეპყრობოდით გოგონებს. შეიძლება გოგონები უფრო აქტიურები არიან, ვიდრე ბიჭები.

**— ეს იმიტომ, რომ ბიჭები გახდნენ პასიურები?**

— ვითომ არიან პასიურები? რა ცუდია! მე 50 წელს გადაცილებული კაცი ვარ და არც ვყოფილვარ და არც ახლა ვარ პასიური...

**— თავყანისმცემლებზე რას იტყვით?**

— მაგათ ენაცვალთ ჩემი თავი! მსახიობს ჯამაგირი არა აქვს და ყველაზე დიდი სიმდიდრე თავყანისმცემლები არიან — ამაზე დიდი ბედნიერე-

ბა არ არსებობს.

**— როგორ მოხვდით თეატრალურ ინსტიტუტში?**

— ბავშვობიდან მქონდა ამისკენ მიდრეკილება: სოფელში, კლუბში ვდგამდით ხოლმე პიესებს. დავდიოდით სოფლიდან სოფელში — აკორდეონით, ცეკვა-თამაშით. ჩვენს მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავდიოდით, გოგონებს ვეპრანჭებოდით, სპექტაკლის შემდეგ ვჩხუბობდით... ჩემი თაობა გაიზარდა სპექტაკლებზე — „ხეები ზეზუურად კვდებიან“, „ჭინჭრაქა“. თეატრალურში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მამაჩემმა მითხრა: მსახიობობა კარგია, მაგრამ გაჭირვებულები არიან და სჯობს, სასოფლოში ჩააბარე, მეღვინეობაზეო. ისე, ჩემგან კარგი მეღვინე დადგებოდა... მოკლედ, გადავწყვიტე, სასოფლოში ჩამებარებინა. ერთხელ მე და გია ფერაძე ერთმანეთს კიროვის პარკში შევხვდით. გიამ მითხრა — მე და ნანული სარაჯიშვილი თეატრალურში ვაბარებთო. მეც თქვენთან მოვდივარ, სასოფლოს ღედაც ვატირე-მეთქი და ასე ჩავაბარეთ ყველამ ერთად.

**— მარჯანიშვილის თეატრში როგორ მოხვდით?**

— 1969 წელს თვითონ თეატრმა მიმიწვია. მაშინ სამხატვრო ხელმძღვანელი რეზო მირცხულავა იყო. პირველი როლი მარჯანიშვილის თეატრში „მთვარის მოტაცებაში“ შევასრულე. თეატრში მოხვედრა ჩემთვის დღესასწაული იყო. მითამაშია მთავარი როლებიც და ეპიზოდურებიც. ახლა კაი ხანია, სცენაზე აღარ გამოვსულვარ...

**— დღეს ტელესერიალების ბუშია. მიწვევა არ მიგიღიათ?**

— ტელესერიალებიდან არა. ჟურნალისტ ნანა წითელაშვილის ტელეფონში ვითამაშე გოგლა ლეონიძე. ექვსნაწილიანი ფილმი. შარშან ზაფხულში გამოვიდა და ალბათ გაუშვებენ კიდევ.

**— დღევანდელი თბილისი**

**თუ მოგწონთ?**

— არა, დღეს არ მომწონს თბილისი. მთაწმინდაზე დავიბადე, გავიზარდე. ჩემი ბიჭობა, ჩემი ახალგაზრდობა იქ გავატარე. იმ დროს სხვა ურთიერთობა იყო. ხალხმა უფროს-უმცროსობა იცოდა. იგივე „ბირჟავიკობაც“ სხვანაირი იყო. დღეს ცუდი კაცობაც და კაიკაცობაც ერთი და იგივე გახდა. ჩვენს თაობაში კაცი ცუდს რომ ჩაიდენდა, იმ კაცს ქუჩაც და უბანიც არ გაიკარებდა. ლაჩარი და გარეწარი ვაჟაკის გვერდში ვერ უნდა დადგეს. საუბედუროდ, დღეს ლაჩარი და გარეწარი მეტია ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე ვაჟაკი. ეს ემჩნევა თბილისს. ცოტა ხანში კარგი ბიჭები ალბათ „წითელ წიგნში“ შესატანები გახდებიან.

**— გაიხსენეთ რაიმე საინტერესო თქვენი ცხოვრების, მეგობრების შესახებ.**

— მე და გია ფერაძე „გადაბმული“ ძმაკაცები ვიყავით და მასზე ბევრი მოგონება დამრჩა. გია ფერაძე, ნანული სარაჯიშვილი, ელისო გუდიაშვილი, მანანა მენაბდე — ერთი „სასტავი“ ვიყავით. ერთხელ ძერჟინსკის კლუბში KBH-ი გვქონდა, ГПИ-ის გუნდს ვხვდებოდით. ერთი ჭიათურელი ბიჭი იყო და შემოგვთავაზა — ჭიათურაში კულტურის სახლი იხსნება და ამ პროგრამით წამოდითო. 1967 წელი იყო. მაშინ ისეთი დისციპლინა იყო, კინოგადაღებაზეც არ უშვებდნენ სტუდენტებს — სწავლას არ ჩამორჩენო. გადავწყვიტეთ, საიდუმლოდ წავსულიყავით ჭიათურაში. შევიკრიბეთ ერთი ჭკუის ხალხი და წაკვდით მატარებლით. ჭიათურაში ჩემი ნათესავები ცხოვრობენ. გაიგეს ჩემი ჩასვ-

სპექტაკლში „ხეები ზეზუურად კვდებიან“



ლის ამბავი და პურმარილი გაგვიშალეს. საღამოს კონცერტზე ნასვამები მივედი. ჭიათურის მთელი საზოგადოება შეიკრიბა – ჰალსტუხებით, კოსტიუმებში გამოწყობილები. ქალაქომის მდივანიც გაწკეპილი იჯდა. ჩვენ მეორე კურსის სტუდენტები ვიყავით და ყველაფერი ფეხებზე გვეკიდა. პროგრამის ტექსტების ავტორი ვიყავი, რამე იყო, მუსიკალური გაფორმებაც გვქონდა. ბესიკა ხიდაშელი გიტარაზე უკრავდა, ბიჭი ბაჩაკაშვილი – ფორტეპიანოზე. კონცერტი მანანა მენაბდის სიმღერით იწყებოდა და ჩვენ უნდა ავყოლოდით. ამ დროს „შტეკერი“, რომელიც „უსილიტელში“ უნდა შეაერთო, გაფუჭდა. მანანა ნერვიულობს, მიკროფონს ამოწმებს: ერთი, ორი, სამი... ბაჩაკ, რას შერები, ვიგვიანებთ. ბაჩაკ, რა ხდება? ბაჩაკ, შენი დედა... შენი დედაო და – მიკროფონიც არ ჩაერთო?! მთელმა დარბაზმა გაიგო გინება... ესენი ვინ ჩამოსულან?!... გინებით დავიწყეთ, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი კარგად ჩავატარეთ და ხალხიც კმაყოფილი დარჩა.

სცენა სპექტაკლიდან „ანგონიუსი და კლეოპატრა“




ამ დროს საუბარში, ბატონი ამირანის მეგობრები ჩაერივნენ. ჩვენ რესპონდენტს თბილისის კოლორიტი და ტრუბადური უწოდეს. ინტერვიუს გაგრძელება შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ბატონი ამირანის შეგონებისა – **Когда вы воевали, мы вам мешали?!-ო**, მაინც არ დაშოშმინდნენ... სადღეგრძელო სადღეგრძელოზე ისმებოდა. ჩვენი ბოლო შეკითხვაც სწორედ საყვარელ სადღეგრძელოს შეეხო.

– საყვარელი სადღეგრძელო სამშობლოსია. კაცი ჭიქას რომ აიღებს, ამბობს – **ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი ქვეყანა. სხვა ყველაფერი „ზედნაშენია“** – სიყვარულის, გაზაფხულის, ოჯახიშვილობისა და სხვა სადღეგრძელოები...

დამშვიდობებისას ბატონმა ამირანმა საინტერესო შემთხვევა გვიამბო. ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტი დაინტერესებულა ამირან ბუაძის გვარის გენეალოგიით. ნაბახუსევზე მყოფმა ბატონმა ამირანმა დიდი მონღოლებითა და ფანტაზიით შეთხზა საკუთარი

გვარის წარმომავლობის ამბავი: „ბაბუაჩემი, ნაპოლეონის სარდალი, გვარად დე ბუა იყო. მას ნაპოლეონის და შეუყვარდა. როდესაც ეს იმპერატორმა გაიგო, დე ბუას ვილიოტინა მიუსაჯა. შეშინებული ბაბუაჩემი ცხენს მოახტა. გადმოიარა ხმელთაშუა და შავი ზღვები და აღმოჩნდა კოლხეთში, საიდანაც თავი ამოყო რაჭაში. იმდენად ეშინოდა, აქაც არ ეპოვათ, რომ გვარი გადაიკეთა: „დე“ მოაშორა და გახდა „ბუაძე“.

ბატონი ამირანის თქმით, მისი წარმომავლობით აღფრთოვანებული ჟურნალისტი ვაფაციცებით იწერდა ყოველ სიტყვას. შეშინებული რესპონდენტი – რაჭველები არ მომივარდნენო, ბოლოს გამოუტყდა: ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და გაზეთში არ გამოაქვეყნო...




**თავისი ირას  
თანაირე კანონი  
საზრუნავს  
თავის**

გრავეტიციული ძრავის იდეა – გამოგონება, რომელსაც საქართველოს განათება შეეძლო, სულ მალე ავტორთან ერთად ქვეყანას დატოვებს. ბატონი ტარიელი საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებულია და თავის გამგზავრებას, გაქცევას კი არა – ქვეყნიდან მის გაძევებას უწოდებს: მისი გამოგონება ყველა ოფიციალურმა სტრუქტურამ უყურადღებოდ დატოვა, არადა, თუ დროული დაპატენტება არ მოხდა, პირველობა შეიძლება იაპონელებს დარჩეთ.



**უმძივრესი იტარიელი  
ჩემი იხის საეახიქერს იხებს**

დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში ქვეყნის ძალაუფლება პირველად აიღო ხელში ქვეყნის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა – 64 წლის სილვიო ბერლუსკონიმ, რომლის მედია-იმპერიაში სამი ტელეარხი და ნაციონალური გაზეთი შედის. პირადი სიმდიდრით ბერლუსკონის მსოფლიოში 21-ე ადგილი უკავია.



კარიერა ბერლუსკონიმ ტურისტულ გემებზე სიმღერით დაიწყო. თავის დროზე, მასონური ლოჟის – „პ-2“-ის მაგისტრთან ნაცნობობამ მას საშუალება მისცა, უნივერსალური მაღაზიების მფლობელიდან, ცნობილ მაგნატად და იტალიის ყველაზე წარმატებულ ფინანსისტად ქცეულიყო. 80-იან წლებში მის სახელს უკანონო ფინანსური ოპერაციებით გამოწვეულ სკანდალებს, კორუფციასა და გადასახადებისაგან თავის არიდებასაც უკავშირებდნენ, რის გამოც რამდენიმე თვე ციხეშიც კი იჯდა. წინასწარჩვენო პროგრამაში ის მოსახლეობას გადასახადების შემცირებას, თავისუფალი მეწარმეობის წახალისებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას ჰპირდებოდა.



# ნაშადვილი დედა

## ის არის, ვინც სიყვარული არ მოეპოვო...

**საქართველოში შვილად აყვანა ოდითგანვე ძალზედ დელიკატურ საკითხად ითვლებოდა და ყოველთვის გასაიღწეობად იყო, მთელი სანათესავო საიდუმლოდ ინახავდა ფაქტს, რომ ოჯახს ბავშვი ნაშვილები ან, როგორც სწორად ამბობენ სოლმე, აყვანილი ჰყავდა. თუმცა სწორად საიდუმლო გამჟღავნებულა და დიდი დრამის მიზეზადაც ქცეულა.**



სგან გაუგია, რუსიკო რომ ნაშვილები იყო, ამიტომაც ივარაუდა, რომ ჩვენ შეიძლება, დები ვყოფილიყავით, თანაც ტყუპები, რადგან გაჭრილი ვაშლივით ვგავდით ერთმანეთს.

**— მხოლოდ ნაშულის ეგონეთ რუსიკო, თუ იყო კიდეც ვინმე, ვისაც თქვენთვის ამ მსგავსების შესახებ უთქვამს?**

— რუსიკოს მეზობელიც შემხვდა — რა თქმა უნდა, ისიც შემთხვევით, და მკითხა: რუსიკო, აქ რა გინდა, ბათუმიდან როდის ჩამოხვედი? უკვე თავში მხოლოდ ეს სახელი მიტრიალებდა. ერთი სული მქონდა, ის ქალი მენახა. ინტუიციით რაღაც საოცარს ველოდი... ისე ველავდი და შინაგანად ისე ცუდად ვგრძობდი თავს, იმ ქალს უკვე ყვირილი დაუწყე: არ ვარ რუსიკო! მზია მქვია, აღარ მომეშვებით, რა გინდათ ჩემგან-მეთქი?

**— მერე, სურვილი არ გაგიჩნდათ, გაგეგოთ, ვინ იყო ის ადამიანი, ვისაც ასე გამსგავსებდნენ და მისი მისამართი გამოგერთმიათ?**

— რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოგქცეულიყავი. მაგრამ ბოლო წუთამდე აზრად არ მომსვლია რუსიკოს კოორდინატები დამეღვინა. ძალიან ვნერვიულობდი, მაგაფებდა იმის გაცნობიერება, რომ ის გოგო შეიძლებოდა ჩემი სისხლით ნათესავი ყოფილიყო: ეს ხომ ჩემს წარსულს თავდაყირა დააყენებდა. იმ დღეებში ნევროზი დამემართა. შვილი პატარა მყავდა, ხელში ვეღარ ამყავდა, ჩემი ნათლია უვლიდა. ერთ დღესაც ნაშულის დამირეკა: მზია, სურათები ჩამოვიტანე და მინდა გაჩვენო. მთელმა ეზომ იცოდა ეს ამბავი. „იტალიურ“ ეზოში, მოგესვენებთ, როგორ ახლოს არიან მეზობლები ერთმანეთთან. ნაშულის მომლოდინეს ყველა თანამიგრობდა, მამხნეებდა... მოვიდა და მოიტანა რუსიკოს სურათები. ტირილი დავიწყე. კანკალმა ამიტანა. ასე მეგონა, ჩემს სურათებს ვუყურებდი — იმდენად დიდი მსგავსება იყო. ამ დროს შემოვიდა სირანა ბებო, სირანა წინგუაშვილი. მე ვერ გამიბედა სიმართლის თქმა და ჩემს ნათლიას უთხრა ჩუმაღ: ეს გოგონები

### ლელა ჭანკობაძე

ეს ამბავი ამ სამი ათეული წლის წინ ძალზე ჩვეულებრივად დაიწყო. ახალგაზრდა უშვილო ცოლ-ქმარმა ბავშვი იშვილა. შუახნის ქალმა სირანა წინგუაშვილმა, რომელიც ვაკე-საბურთალოს უღელმთიანე დარჩენილ ბავშვთა სახლში მუშაობდა, მათ პატარა გოგონა მიუყვანა. გახარებულმა ცოლ-ქმარმა ბავშვს მზია დაარქვა. მამის ალბათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რომ ეს უძვეო ჩვილი ტყუპის ცალი იყო, მისი და კი, სულ რამდენიმე დღით ადრე აჭარაში წაუყვანია სხვა უშვილო ოჯახს.

გავიდა დრო, ბავშვები ერთმანეთისგან მოშორებით კი გაიზარდნენ, მაგრამ განგების ძალამ ისინი კვლავ შეახვედრა ერთმანეთს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშვილებულმა ტყუპებმა — მზია მყავანაძემ და რუსიკო რომანაძემ ოცდაცამეტი წლის შემდეგ ერთმანეთი იპოვეს.

**— მზია, რატომ, ან როდის გაგიჩნდა საკუთარ წარსულში გარკვევის სურვილი და იმის შეგრძნება, რომ რაღაცას გიმაღავდნენ?**

— მე-9 კლასში ვიყავი, როცა მეზობლის ქალმა დედაჩემს წამოაძახა: ნაშვილები გყავს ეგ ბავშვიო... ეს რომ

გავიგონე, ავფორიაქდი, მაგრამ ისე მივარდა დედა, რომ ვერ შევძელი მეკითხა, ვინ იყვნენ ჩემი ბიოლოგიური მშობლები. ვგრძობდი, დედას გულს ვატკენდი, ამიტომ არასოდეს მიგრძობინებია მისთვის, რომ რაღაც ვიცოდი... მოგესვენებთ, როგორ განცდებსა და შიშში არიან მშვილებლები და როგორ საგულდაგულოდ ცდილობენ ამ საიდუმლოს შენახვას. ერთხელ უცნაური რამ მოხდა. მამის უკვე გათხოვილი გახლდით. ისინი ბაზრობასთან, ვიღაც უცნობმა ქალმა გამაჩერა და გაბრწყინებული სახით მკითხა: „როდის ჩამოხვედი, რუსიკო, ბათუმიდან?“ ვიღაცაში შეგეშალეთ-მეთქი, მივუგე და გზა განვაგრძე. გავიდა ორი წელი. ის ქალი ისევ შემთხვევით გადამეყარა ქუჩაში, გამაჩერა და მკითხა: რუსიკო, ბათუმიდან როდის ჩამოხვედი, რა ამბებია იქით? გამეცინა: ქალბატონო, ვიღაცაში გეშლებით, რუსიკო არა ვარ-მეთქი. გოცეხული ქალი (შემდგომში გავიგე, რომ ნაშულის ერქვა) აიწურა და რომ იტყვიან, დიმილი სახეზე შეეყინა. ჯერ ყურადღებით შემათვალიერა, შემდეგ კი მითხრა: ჩემს რძალს ჰგავხარ გაჭრილი ვაშლივით, მომეცი მისამართი და მოგაკითხავთ — შეიძლება, თქვენ სისხლით ნათესავები არ აღმოჩნდეთ, მაგრამ ერთმანეთს რომ ნახავთ, უეჭველად დამეგობრდებითო. თურმე ნაშულის რუსიკოს მშობლები-

შენსეფრა



მზია ქმარშვილთან ერთად

ტყუპები არიან, ჩვენი ბავშვთა სახლის ექიმმა გააშვილა: ერთი ბავშვი თავის მამიდაშვილს მისცა, მეორე კი – თავის თანაკურსელსო... სურათები, რა თქმა უნდა, საკმარის საბუთად არ გამოდგება და მე ვთხოვე ნანულის, გაერკვია, როდის იყო რუსიკო დაბადებული. რამდენიმე დღეში დამირეკა ბათუმიდან და მითხრა: დასამალი აღარაფერია, ყველამ იცის, რომ თქვენ ტყუპები ხართ, რუსიკოც 1 მაისს არის დაბადებული, მოიკრიბე ძალა და დაელაპარაკეო, რა თქმა უნდა, ტირილი დავიწყე. და ამ დროს ყურმილში ჩემი დის ხმა გაისმა: ნუ გეშინია, დაიკო, მე მალე ჩამოვალ და ჩვენ შეგხვდებით ერთმანეთსო... 33 წლის შემდეგ პირველად გავიგონე ჩემი დის ხმა, მანამდე ალბათ სამშობიარო სახლში ერთმანეთის ტირილი გვესმოდა...

— რამდენადაც ვიცი, ეს შესვენება ისეთი ამალეღვებელი იყო, რომ დღემდე მნახველები ცრემლებს ვერ იკაფებენ იმ წუთების გახსენებისას...

– ნამდვილად ასე იყო. წინა დღეს დამირეკეს და გამაფრთხილეს – ხვალ დილით ჩამოვალთო. 6 მაისი იყო, გიორგობის დღე. დავიტანჯე მოლოდინით. რომ მოსალამოვდა, უკვე ხელი ჩავიქნიე – აღარ მოვლენ-მეთქი. უცბად ჩემი ნათლიის ხმა მომესმა, ვიდაცას გადაულაპარაკა: მზია როგორ მოდის – მზია სახლშია და წვესო... აღარ მახსოვს, როგორ დავეშვი კიბეზე, მეზობლები უკვე გამოფენილიყვნენ და გაცოცხლები მისჩერებოდნენ სწრაფი ნაბიჯით მომავალ ქალს. შეგხვდე – ნამდვილად ჩემი „ორეული“ იყო... ჩემს დანახვაზე ისიც გამოიქცა, გადავეხვიეთ ერთმანეთს და ტირილი აგვივარდა. ყველანი გვკოცნიდ-

თმაც ერთ ფერად გვექონდა შეღებილი და ერთნაირად შეჭრილი...

გვიან ღამით, სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ და ძირითადად შინაურები დაფრჩით, ჩემმა სიძემ ჰკითხა ჩემს მეუღლეს, თემურს: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დაწოლას რომ დავაპირებთ, ცოლები როგორ გავარჩიოთ?! თემურმა ამაყად მიუგო: ჩემს ცოლს გვერდითი კბილი აქვს ამოღებულიო. პირს დავაღებინებ ორივე დას და მივხვდებით. ამის გაგონებაზე რუსიკოს სიცილი აუვარდა: მასაც იგივე კბილი აკლდა, რომელიც მე...

— თქვენი მშობლები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?

– ბათუმში რომ ჩავედით, რუსიკოს დედამ გვკითხა: რომელს ჩაგვხუტოთ, რომელი ხართ ჩემი შვილიო?!.. ძალიან კარგად მიმილო... მერე მან დაწერა წიგნი „ცხოვრება 33 წლის შემდეგ“. სამწუხაროდ, ეს წიგნი მხოლოდ ბათუმში გავრცელდა: იქ წერია ყველაფერი რუსიკოს ბავშვობის შესახებ... რაც შეეხება დედაჩემს, ვერ შევძელი მისთვის ეს ამბავი პირადად მეთქვა – წერილი მივწერე და თემურის ხელით გავუგზავნი... ავუსხსენი, როგორ მიყვარდა, რომ ამით ის, როგორც დედა, არ დამიკარგავს, უბრალოდ, და ვიპოვე. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ჩემი ბიოლოგიური დედა. მთავარია, ვინ გამზარდა, ვინ

რუსიკო მეუღლითურთ

მითია ღამეები, როცა ავად ვიყავი, ვინ შემომყურებდა შიშით – რაიმე არ მტკენოდა, თითი არ გამეკაწრა, ვინ ცდილობდა ჩემს თვალებში ბედნიერების სხივების აკიფებებს. ნამდვილი დედა ისაა, ვინც თავისი სიყვარული არ მომაკლო, და არა ის, ვინც თავიდან მომიშორა...

— და მაინც, მზია, ვინ არიან თქვენი ნამდვილი მშობლები? არ გიცდიათ მათი მონახვა?

– დედაჩვენი ბალტიისპირელი ქალი ყოფილა, მამა კი კახელი, ვინმე გიორგი კოჩინაშვილი. ჩვენ ტელეგადაცემების საშუალებით მიემართეთ მას, ვეძებთ გაზეთების მეშვეობითაც, მაგრამ ჯერ არავინ გამოგვხმაურებია. მიუხედავად იმისა, რომ არც მე და არც რუსიკოს მშობლების სითბო და სიყვარული არ გვაკლია, მაინც გვიინდა ჩვენი მშობლები ვიპოვოთ, რადგან დედა საქართველოში არ ცხოვრობს, მხოლოდ მამას ვეძებთ.

— იქნებ მან არც კი იცის თქვენი არსებობის შესახებ. კითხულობს გაზეთში, რომ ვიდაც ტყუპები მამას ეძებენ, მაგრამ ვერც წარმოუდგენია, თუ ისინი შეიძლება მისი შვილები იყვნენ?

– მე და რუსიკო ვიყავით ე.წ. „ლექს-ომბინაში“, ეს ის საავადმყოფოა, საიდანაც ჩვენ გადაუყვანივართ ბავშვთა სახლში. ვნახეთ ის ექიმი, რომელმაც ჩვენი დედა ამშობიარა. რომ დაგვინახა, მაშინვე გვიცნო, გაჭრილი ვაშლებივით ჰგავხართ დედათქვენსო, – გვითხრა და აი, ასეთი რამ გაიხსენა: ოცდაცამეტი წლის წინ მისი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილა ტყუპი ვოგონა, რომლის დედაც ზუსტად ისეთი იყო გარეგნობით,





მზია ვაჟიშვილთან ერთად

როგორებიც ახლა მე და რუსიკო ვართ. ბიჭის მშობლებს სხვა ეროვნების ქალი რძლად არ მოუსურვებიათ და გიორგის ბავშვებისთვის გვარი მოუცია, მაგრამ მათი შემდგომი ბედით, ალბათ აღარ დაინტერესებულა... სასოწარკვეთილ გოგონას კი ბავშვების გაშვილება გადაუწყვეტია. საწოლის თავთან იდგა თურმე და შეჰყურებდა, როგორ მიჰყავდათ მისი შვილები... ჩვენი დაბადების მოწმობების

ნახვაც შევმელით. მე ვყოფილვარ ნინო კოჩინაშვილი, ჩემი და კი – მაია კოჩინაშვილი. ცხადია, ახალმა მშობლებმა სახელებიც გამოგვიცვალეს... სამწუხაროდ, ჩვენს დედასა და მამას აღარ უცდიათ იმ ბავშვების მოძებნა, რომლებიც ასე მოიკვეთეს...

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენს ტყუპის ცალს, რუსიკოს, ძმაც ჰყავს. როგორ შეგხვდა ის, როგორ მიგიღოთ?

– რუსიკოს უმცროსი ძმა ჰყავს. ის ოცდასამი წლისაა. როცა გაიგო, თავისი და ნაშვილები იყო, წარბიც არ შეუწრია, ისე თქვა: განა არ ვიცოდი, მე და რუსიკო და-ძმანი რომ არ ვიყავით?! თვალე-ბი ხომ მაქვს – ყოველთვის ვხედავდი, რამხელა განსხვავება იყო ჩვენ შორისო. მე რომ მნახა, გადამხვია: აქამდე ერთი და მყავდა, დღეიდან ორი მეყოლებო. ძალიან ბედნიერი ვარ. მართალია, ჩვენ ის სიყვარული არ გვაკავშირებს ერთმანეთთან, რაც ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ გაზრდილ ბავშვებს აქვთ ხოლმე, მაგრამ საუკეთესო მეგობრები ნამდვილად ვართ. ეს კი ცოტა როდია... ■

# „საუკუნის მამისთვის“ მეგობრულ ტიხეში ჯეროვა სურს



ლევენდარული ინგლისელი მძარცველი რონი ბიგზი, რომელიც 1965 წელს გაიპარა ლონდონის ციხიდან და ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა სამშობლოში, მისთვის გამოტანილი სასჯელის – 30 წლით თავისუფლების აღკვეთის გაპროტესტებას აპირებს. ბიგზი იყო 1963 წელს მომხდარი, მატარებლის ე.წ. „საუკუნის მარცვის“ ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. თავის დროზე მან ციხეში მხოლოდ 15 თვე გაატარა, გაქცევის შემდეგ კი, ყალბი საბუთებით ჩავიდა ავსტრალიაში, იქიდან გაემგზავრა ბრაზილიაში (რა თქმა უნდა, გატაცებულ თანხასთან ერთად), სადაც 35 წლის მანძილზე წარმატებით ემალებოდა ბრიტანულ მართლმსაჯულებას. 1974 წელს მას შვილი შეეძინა ბრაზილიელი ქალისგან, ამიტომ ბრაზილიური კანონების მიხედვით, ექსტრადიციას აღარ ექვემდებარებოდა. ახლახან მან განაცხადა, რომ მზად არის, დაბრუნდეს სამშობლოში და ხელისუფლებას ჩაბარდეს. თავისი ესტრავაგანტური გადაწყვეტილება ბიგზმა მშობლიურ მიწაზე სიკვდილის სურვილით ახსნა. ლონდონში ჩასვლისთანავე, მძარცველი სკოტ-ლენდ-იარდის თანამშრომლებმა დააკავეს. 71 წლის ბიგზის აღვოკატები აცხადებენ, რომ სასამართლოს მიმართავენ თხოვნით – გადაწყვიტოს, ეკუთვნის თუ არა მათ კლიენტს დარჩენილი 28 წლის პატიმრობის მოხდა. აღსანიშნავია, რომ რონალდ ბიგზს ინგლისში ბევრი თაყვანისცემელი ჰყავს, რომელიც იმედოვნებს, ბრიტანული თემიდა შეიწყალებს მსცოვან მძარცველს. თუმცა, ბრიტანეთი საქართველო არაა: კანონის წინაშე ყველა თანასწორია...

## კალიფორნია



# «გაქცეული» მატარებელი

საგანგებო სიტუაციის მომსწრენი გახდნენ ამერიკელი ტელემაყურებლები, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ მატარებლის მოძრაობას, რომელსაც... არავინ არ მართავდა. სახიფათო ქიმიკატებით დატვირთულმა 47 ვაგონიანმა მატარებელმა, მემანქანის გარეშე 100 კილომეტრის მანძილი გაიარა. არავის უნახავს ამ საოცარი „მოგზაურობის“ დასაწყისი, თუმცა შემდეგ, ტელეკომპანიები პირდაპირ შევეულმფრენებიდან გადაღებულ კადრებს უჩვენებდნენ მთელ ქვეყანას.

მატარებლის მოძრაობა ოჰაიოს შტატის ერთ-ერთი სადგურიდან დაიწყო და რამდენიმე ქალაქსა და დასახლებულ პუნქტზე გადიოდა. თავდაპირველად, შტატის ხელისუფლება შემადგენლობის სათადარიგო ლიანდაგზე გადაყვანას აპირებდა, მაგრამ შემდეგ მისი გაჩერება სხვა ლოკომოტივის მეშვეობით გადაწყვიტეს. ის წამოეწია „გაქცეულ“ მატარებელს და, როგორც კინობოევიკებში ხდება ხოლმე, მემანქანე მატარებელზე გადაძვრა.

ამჟამად მომხდარის გამომწვევი მიზეზების დადგენა მიმდინარეობს. თავდაპირველად, ყველას ეგონა, რომ მემანქანე გახდა ცულად, მაგრამ ყველას გასოცრად, ლოკომოტივში არავინ აღმოჩნდა...

**პროკურორმა 25 წლის ზვიად ყოჩიშვილისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სახელმწიფო ბრალმძებლის განცხადებით, მსჯავრდებულმა სასჯელი მკაცრი რეჟიმის სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში, აქედან ხუთი წელიწადი კი — საპრობილემო უნდა მოიხადოს (დანაშაულის არსსა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე „გზის“ №38 და №41-ში მოგითხრობდით). საბრალდებო დასკვნა ყოჩიშვილს ანგარების გამო ჩადენილ 40 წლის გუგული ღვინიაშვილის მკვლელობაში ადანაშაულებს.**



# განსასჯელე პრობისი პროკურორის ბინებით გაგონება

მეზი სანავა

თავად ყოჩიშვილი, მისი ახლობლები და ადვოკატები ირწმუნებიან, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია. ისინი ბრალდების მიერ წაყენებულ მუხლებს უსამართლოდ მიიჩნევენ და აღნიშნული საქმის გამოძიებლებს, სიღნაღის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებს ტენდენციურობასა და არაობიექტურობაში ადანაშაულებენ.

„სიღნაღის რაიონის პროკურორი უზენაეს სასამართლოში დასაკითხად დაიბარეს. როცა გამოცხადდა, მე ფოიეში ვიდექი. იგი ჩემთან მოვიდა და მითხრა — შვილს ვფიცავ, შენს შვილს ციხიდან არავის გამოვაშვებინებო“ — აცხადებს ყოჩიშვილის დედა. მან ამ სიტყვების ციტირება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის — ლადო ჭანტურიასთვის მიწერილ წერილშიც მოახდინა და მას შვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაზე პირადი ზედამხედველობა სთხოვა:

„იძულებული ვაგხდი, ჭანტურიასთვის ასეთი განცხადებით მიმემართა და მისთვის რეალური სიტუაცია აღმეწერა, რადგან იმის მოთქმენა, რაც პროცესებზე ხდებოდა, ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ჩემი შვილი სრულიად უდანაშაულოა, პროკურატურამ იგი გაწირა, სასამართლო გამოძიების პერიოდში კი დაზარალებულის მხარე



საქმე ისე ჩააწყო, რომ ჩვენს სიმართლეს აქაც არავინ უგლებს ყურს“...

დაზარალებული — მოკლული ღვინიაშვილის და, საპირისპიროს აცხადებს. განსასჯელის დედის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისადმი წერილის მიწერის ფაქტმა მასში ბევრი ეჭვი დაბადა. ჟურნალისტებთან საუბრისას იგი აცხადებდა — ყველა ყოჩიშვილის გამართლებას ცდილობს, რადგან ეს საქმე გაყიდულია, თვით ჭანტურიაც კი საქმის კურსშიაო...

ასე აბრალევენ მხარეები ერთმანეთს სამართალდამცავთა მოსყიდვას. სასამართლოში გამოცხადებულმა სიღნაღის რაიონის პროკურატურის წარმომადგენლებმა მათი მხრიდან დაზარალებულისა ან განსასჯელისადმი მიკერძოება კატეგორიულად უარყვეს. სახ-

ელმწიფო ბრალმძებელიც მის მიერ შესწავლილი და შეფასებული საქმის არც ერთ ნაწილს ეჭვის თვალთ არ უყურებს.

პროკურატურის მასალების მიხედვით, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში გუგული ღვინიაშვილის მკვლელობა ყოჩიშვილთან ერთად გუშმათ ალიევმაც ჩაიდინა. ეს მოხდა 1994 წელს, როცა ალიევი 23 წლის, ყოჩიშვილი კი მხოლოდ 18 წლის გახლდათ. როგორც საქმის მასალებშია წარმოდგენილი, ღვინიაშვილის დაყაჩაღების იდეა პირველად სწორედ ყოჩიშვილს გაუჩნდა. ამის შესახებ მან მეგობარს — ალიევს უთხრა და დაითანხმა კიდევ, ეს საქმე ერთად განეხორციელებინათ. გზაზე მათ ორი ბოთლი შამპანური ნისიად შეიძინეს და ღვინიაშვილს სახლში მიაკითხეს. შინ ამ უკანასკნელის ბებია და მისი მომვლელი ქალიც იმყოფებოდნენ, თუმცა ისინი სხვა ოთახში იყვნენ და ალიევსა და ყოჩიშვილს ბოლო მომენტამდე არ უნახავთ. გაშლილ სუფრასთან ისხდნენ, როცა ალიევმა ღვინიაშვილს თავში გაუხსნელი შამპანურის ბოთლი ჩაარტყა, თუმცა ამით მან მისი წაქცევა ვერ შეძლო. მაშინ ყოჩიშვილმა მას მაგიდიდან აღებული დანა კისერში გამოუსვა. ღვინიაშვილი სასიკვდილოდ არ დაჭრილა და თავდამსხმელთათვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. ამ დროს ყოჩიშვილმა ალიევს უთხრა

– ეზოდან ჯოხი ან კეტი შემოიტანო. ალიევმა მანქანის ნაწილი – რკინის ღერძი იპოვა და ოთახში შეიტანა. ყოჩიშვილმა იგი ღვინიაშვილს თავში ჩაარტყა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მაშინვე გარდაიცვალა. ხმაურზე მეზობელი ოთახიდან მომვლელი ქალი – თინა თანდაშვილი გამოვიდა, თუმცა მას ხელი ჰკრეს და ისევ იმ ოთახში შეაგდეს, კარის სახელურები კი თოკით შეკრეს, რომ ვეღარ გაეღო.

ყოჩიშვილმა და ალიევმა სახლში ფულისა და ძვირად ღირებული ნივთების ძებნა დაიწყეს, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი იპოვეს და მხოლოდ რამდენიმე იაფფასიანი ნივთი წამოიღეს, მერე კი ყველაფერი გზაში გადაყარეს. პროკურატურის ინფორმაციით, მთელი სახლი არეული იყო, გადმოყრილ ტანსაცმელსა და ფარდებს სისხლიანი ხელების კვალი ეტყობოდა...

გუმბათ ალიევი 1997 წელს მზესუმშირის ქურდობისთვის დააკავეს. პოლიციელებმა იგი ღვინიაშვილის მკვლელობაშიც გამოტყვეს. რაც შეეხება ყოჩიშვილს, ის იმ ხანებში რუსეთში, როგორც თვითონ ამბობს, სამუშაოდ გახლდათ წასული. ალიევმა პროკურატურისთვის მიცემულ თავის ჩვენებაში ზემოთ მოყვანილი ვერსია სავსებით დაადასტურა. მან სამართალდამცავებს ანალოგიური ჩვენება ოთხჯერ მისცა, მერე კი ყოჩიშვილი სიღნაღის რაიონის სასამართლოშიც ამხილა. ჩადენილი დანაშაულისთვის ალიევს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ალიევმა ყოჩიშვილის დაკავების შემდეგ მოწყობილი დაპირისპირების დროსაც განაცხადა მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ. თუმცა, უზენაეს სასამართლოში, როცა გუგული ღვინიაშვილის მკვლელობაში ზვიად ყოჩიშვილის ბრალეულობის საკითხს განიხილავდნენ, მან ყველა ადრინდელი ჩვენება უარყო და განსასჯელის უდანაშაულობა დაადასტურა.

ყოჩიშვილის მტკიცებით, იგი ღვინიაშვილთან ალიევმა მიიყვანა, ბოროტი განზრახვის შესახებ კი მან არაფერი იცოდა. როცა სუფრასთან ისხდნენ, ალიევმა და ღვინიაშვილმა აზერბაიჯანულ ენაზე დაიწყეს საუბარი, რომლის შინაარსიც მას არ ესმოდა. იგი გარეთ, საპირფარეოში გავიდა, ხოლო როცა

დაბრუნდა, ღვინიაშვილი მოკლული დახვდა. ალიევი დაემუქრა – რაც დაინახე, არავის უთხრა, თორემ მოგკლავო. მკვლელობის მომენტში ყოჩიშვილს ხმაური არ გაუგონია. ამის მიზეზი, მისი თქმით, ალბათ წვიმა იყო...

**დავით კოჭლამაზაშვილი**, სახელმწიფო ბრალმდებელი:

„ზვიად ყოჩიშვილის ჩვენებას არ ვიზიარებთ, რადგან ვთვლით, რომ მან ყველაფერი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოიგონა. ვერც ალიევის სასამართლო გამოძიების დროს შეცვლილ სიტყვებს მივცემთ რაიმე მნიშვნელობას, რადგან მისი ადრინდელი ჩვენებები დამაჯერებელი და თანმიმდევრული ვახლდათ. ეს იყო მისი მხრიდან ყოჩიშვილის დახმარების მცდელობა – ესხნა იგი სასჯელისგან. ეს ალბათ გამოწვეული ვახლდათ იმით, რომ თავად ალიევი ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელმისჯილია, მკვლელობის თავის თავზე ალებაც ამიტომ გადაწყვიტა. თანაც, ალიევისა და ყოჩიშვილის ბოლო ჩვენებებში წინააღმდეგობა – მიუხედავად იმისა, რომ, ვფიქრობ, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ – მაინც დაფიქსირდა. ზვიად ყოჩიშვილმა განაცხადა, რომ შამპანური სუფრასთან ღვინიაშვილმა მიიღწა. ალიევმა კი აღნიშნა – შამპანური გზაში ვიყიდე და ყოჩიშვილს ამის შესახებ ვუთხარი კიდევცო.

საგულისხმოა თინა თანდაშვილის (მომვლელი ქალი) ჩვენებებიც. სასამართლოში მან გარკვევით განაცხადა, რომ 1994 წლის 22 ოქტომბერს, საღამოს მართლაც მივიდნენ მათთან ვიღაც უცნობი ბიჭები. ცოტა ხანში გაიგონა ღვინიაშვილის ხმა – ვაიმე, მიშველეთ, რა დავაშავე ისეთი, რომ მკლავთო. ის გასვლას ეცადა, მაგრამ უცნობმა დაარტყა და ისევ უკან შეაგდო. უზენაეს სასამართლოში თანდაშვილი ორჯერ დაიკითხა, ორჯერვე ერთნაირი ჩვენება მისცა და თქვა, რომ მომხდარის შესახებ მან მეზობელს – მარუშაშვილს აცნობა. დაკითხვისას მარუშაშვილმა ამბავი ზუსტად ისე გადმოსცა, როგორც თანდაშვილმა...“

ზვიად ყოჩიშვილის ადვოკატებმა მოსამართლის წინაშე შუამდგომლობა დააყენეს. მათი თქმით, თინა თანდაშვილის შეურაცხადობის საკითხი ეჭვქვეშ იდგა, რის ნიშნადაც თანდაშვილის ნათესავების ხელმოწერილი ცნობა წარ-

მოადგინეს. ცნობაში ეწერა, რომ მან ბავშვობაში მენინგიტი გადაიტანა, ავადმყოფობამ მას მენსიერება საგრძნობლად დაუქვეითა. ასაკის მატებასთან ერთად, მისი ფსიქიკა უარესდებოდა და იგი ადვილად ექცეოდა ნებისმიერი ადამიანის ზეგავლენის ქვეშ. მოსამართლემ ადვოკატების აზრი არ გაიზიარა და შუამდგომლობა, უსაფუძვლოდ გამო, არ დააკმაყოფილა.

**დავით კოჭლამაზაშვილი:**

„წინააღმდეგობებია განსასჯელის დედის ჩვენებებშიც. ჩვენებისას მან ჯერ აღნიშნა, რომ მისი შვილი რუსეთში მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად იყო წასული, მერე კი თქვა, რომ მას ალიევი ემუქრებოდა მოკვლით.

საქმის სასამართლო განხილვისას წარმოჩენილ წინააღმდეგობათა საფუძველზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიჩნევთ, რომ ზვიად ყოჩიშვილმა ანგარებით – დაყარალების მიზნით, დამამძიმებელ გარემოებებში, უმწურო მდგომარეობაში მყოფი მთვრალი ადამიანის – გუგული ღვინიაშვილის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს 152 (2), 104 (13,15) მუხლებით და მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 5 წელი მოიხალოს საპრობილეში.“

ასეთი დასკვნის შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელისგან დედის გინებაც კი მიიღო, რის შემდეგაც ყოჩიშვილი ბადრაგს ხელიდან გაუსხლტა და სასამართლო დარბაზიდან გავარდა. დაცვამ მისი შეჩერება ფოიეში შეძლო, თუმცა განსასჯელი სხდომაზე აღარ დაუბრუნებიათ. მოსამართლემ ოქმში დააფიქსირა, რომ ყოჩიშვილმა სასამართლო დარბაზი თვითნებურად დატოვა.

განსასჯელის ადვოკატებმა დაცვით სიტყვაში განაცხადეს, რომ ყოჩიშვილი უდანაშაულოა და მისი გამართლება და ციხიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს. ასეთი განცხადების საფუძველად ისინი საქმის მასალებში რეალური მტკიცებულებების არარსებობას ასახელებენ. თუმცა, თუ რა გავლენას მოახდენს სასამართლო კოლეგიაზე ადვოკატთა გამოსვლები და განსასჯელის პროტესტი, მომავალ კვირას შეეიტყობთ. საბოლოო განაჩენს მოსამართლე რამდენიმე დღეში გამოაცხადებს.

**არატრადიციული სექსუ-  
ალური ორიენტაცია კანონით  
აღარ იდევნება, მაგრამ  
პომოსექსუალისტები კვლავაც  
ცხოვრების კონსპირაციულ  
წესს ამჯობინებენ. ამაში  
არაფერია გასაკვირი: შეიცვა-  
ლა მხოლოდ ოფიციალური  
კანონმდებლობის პოზიცია,  
მაგრამ იგივე დარჩა საზოგა-  
დოებრივი მსოფლმხედველობა  
და პომოსექსუალიზმის ყოფი-  
თი შეფასება. „ფრთოსანი“  
ეპითეტისთვის — „შე ზი-  
დარასტო!“ (ლექსიკური დამ-  
ახინჯება დაცულია — ავტ.),  
კაცი შეიძლება სასიკვდილო-  
დაც გაიმეტონ. სწორედ  
ამიტომ, შენიღბვა პომოსექსუ-  
ალისტისთვის ერთგვარი თავ-  
დაცვითი ტაქტიკაა.**

**მიუხედავად ამისა, საერთო  
ნაცნობის რეკომენდაციამ  
მაინც გაჭრა და ინტერვიუ  
შედგა, თუმცა რესპონდენტმა  
ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.  
ის 35 წლის მამაკაცია,  
პუმანიტარული განათლება  
აქვს, ძველი თბილისის ერთ-  
ერთ კოლორიტულ უბანში  
ცხოვრობს. ამჟამად არ  
მუშაობს, თავს წვრილი  
ვაჭრობით ირჩენს და, ბევრი  
სხვა პომოსექსუალისტისაგან  
განსხვავებით, არც ცდილობს  
თავისი ორიენტაციის ქორ-  
წინებით შენიღბვას.**

# პომოსექსუალისტნი ჩემში 16 წლისაა ზღმტყუარნი

— მიჭირს იმის ზუსტად დაფიქსირე-  
ბა, თუ, კერძოდ, როდის გამიჩნდა ინტერ-  
ესი მამაკაცების მიმართ. როგორც ჩანს,  
ბავშვობის დროინდელმა შთაბეჭდილებებ-  
მაც იმოქმედა. ბუნებით ყოველთვის ძალზე  
რბილი, შეიძლება ითქვას, ნაზიც კი ვიყავი  
და ეს ჩემდამი ასაკით უფროსი ბიჭების  
ყურადღებას იქცევდა. იყო შემთხვევები,  
როდესაც სრულებით პატარა — რაღაც  
ოთხიოდე წლის, ეროტიკულ თამაშებში  
ამიყოლიეს. ცხადია, მაშინ ვერც მივხვდი,  
რა ამბავი იყო ჩემს თავს, მაგრამ ქვეცნო-  
ბიერად ვიგრძენი, რომ ეს არ ჰგავდა იმას,  
რასაც ჩვეულებრივი ბავშვური გართობა  
ჰქვია. ძალიან შემეშინდა... მასსოვს, ერთმა

ბიჭმა, გასეირნების საბაბით, პატარა ტყ-  
ისკენ გამიტყუა და, როგორც უკვე  
მოზრდილობაში მივხვდი, ონანისტური  
აქტი ჩამატარებინა. იმდენად დავფრთხი,  
რომ შემდეგ სულ ვემალებოდი.

— როდის გააცნობიერე,  
საბოლოოდ, შენი ორიენტაცია?  
— 16 წლის ასაკში: მაშინ მქონდა  
პირველი სრულფასოვანი კონტაქტი  
თანაკლასელთან. იქამდე მხოლოდ  
უუთვალთვალეზი ყმაწვილებს. მასსოვს,  
საბავშვო ბანაკში, მდინარეზე ბანაობისას,  
თვალი ერთთავად ჩვენი ხელმძღვანელ-  
ისკენ გამიბრუნდა, მაგრამ მაშინაც კი  
ბოლომდე ვერ ვხვდებოდი, ჩემში შფოთ-

ვას რა იწვევდა. პირველმა კონტაქტმა  
ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და  
შიშებიც გამიქრა.

— **მშობლები ვერაფერს  
ხვდებოდნენ?**

— საბედნიეროდ, კერა. ეს მათთვის  
დიდი ღარტყმა იქნებოდა. ადრე დამელუპ-  
ნენ: ოცდაათი წლისას არც ერთი აღარ  
მყავდა.

— **მშვენიერი სქესის მი-  
მართ ყოველთვის გულგრილი  
იყავი?**

— ეროტიკული ვაგებით, კი. თუმცა,  
ლაბალ კლასებში, ერთი გოგონა მომწონ-  
და. ეს იყო ძალზე სუფთა და ბავშვური  
გრძნობა. მის ცოლად მოყვანაზეც კი  
ვოცნებობდი. საერთოდ, ქალებს პატივს  
ვცემ, მსიამოვნებს მათ მიმართ ჯენტლ-  
მენური ყურადღების გამოჩენა: გზას ვუთ-  
მობ, სკამს ვთავაზობ, ქათინაურს ვეუბნე-  
ბი... წარმოიდგინე, ათასჯერ ყოფილა ისეთი  
შემთხვევა, როდესაც სუფრასთან  
მანდილოსნებს, ძირითადად, მე ვემსახურე-  
ბოდი, თუმცა იქ ტრადიციული ორიენტ-  
აციის მამაკაცებიც იხსნდნენ. სანამ ქვეყ-  
ანა აირეოდა, ერთ დაწესებულებაში  
ვმუშაობდი: რვა მარტი არ გამომიტოვე-  
ბია, რომ თანამშრომელი ქალებისთვის  
ყვავილები არ მიმერთმია. ზედ კიდევ  
ღია ბარათს ვურთავდი და ლექსებს ვუ-  
წერდი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პატივის-  
ცემა და კეთილგანწყობა: მათ უხაროდათ  
— მეც მსიამოვნებდა. ესაა და ეს...

— **ამ დროს, პომოსექსუალ-  
ისტები, მეტოქეობის განცდის  
გამო, სშირად ქალებს რბილად  
რომ ვთქვამთ, არ წყალობენ...**

— სხვებზე ვერაფერს გეტყვი და ჩემს  
შემთხვევაში, ასე არ არის.

— **დღესდღეობით არსებობს  
სქესის შეცვლის საშუალება.  
ფული რომ გქონდეს, გარისკ-  
ავდი?**

— არავითარ შემთხვევაში!

— **რატომ? უფრო თავისუ-  
ფლად არ იცხოვრებდი? აი,  
თუნდაც, ისრაელელი მომღერა-  
ლი — დანა: ისეთი ქალი დადგა,  
ავ თვალს არ ენახებოდა...**

— დანა ყოველთვის ქალი იყო —  
მაშინაც კი, როდესაც ჯერ კიდევ კაცის  
სხეული ჰქონდა. მე კი თავს ქალად არ  
ვეგრძნობ და არც არასოდეს მიგრძნობია.  
მე კაცი ვარ, მაგრამ ისეთი კაცი, რომელ-  
საც სხვა კაცები იზიდავს, — ეს კი სულ  
სხვა რამეა.



**— ე.ა. შენს შემთხვევაში, ტრანსსექსუალიზმი არაფერ შუაშია?**

— რა თქმა უნდა! მე ჰომოსექსუალისტი ვარ. ხანდახან კი წარმოვიდგენ ხოლმე — აი, ქალად რომ გავჩენილიყავი, ნეტავი რა იქნებოდა-მეთქი? — მაგრამ მხოლოდ წამიერად. ასე, შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა წარმოიდგინოს. არა, ეს იდეა ნამდვილად არ მიზიდავს — სრულ თანხმობაში ვარ საკუთარ სხეულთან. მთავარია, რომ გარემომ არ მაგნოს რამე, მომცეს საშუალება, ისე ვიცხოვრო, როგორც საჭიროდ მიმაჩნია...

**— გარემოსთან ურთიერთობა შენთვის ყოველთვის მტკივნეული იქნებოდა...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ დიდი ხანია, ასეთი პრინციპი შევიმუშავე: როდესაც ახალ ადამიანს გავიცნობ და ჩვენი დაახლოების შანსი ჩნდება (მაინცდამაინც სექსს არ ვეულისხმობ — შეიძლება უბრალოდ, მეგობრობა იყოს ან კეთილი ნაცნობობა), ყოველთვის თავად ვეუბნები, რომ ჰომოსექსუალისტი ვარ. ნამდვილად მიჩვენია, ჩემგან გაიგოს, ვიდრე სხვებმა „ჩააწვეთონ“, თანაც ათასი ბინძური კული გამოაბან. ადამიანმა უნდა იცოდეს, ვის უმეგობრდება.

**— ე.ა. შენს ახლობლობაში ყველამ იცის?**

— ყველამ, ვისთანაც ნამდვილად ახლო, მეგობრული ურთიერთობა მაქვს და ზოგიერთი მათგანი, სხვათა შორის, ჰეტეროსექსუალია. ახლა ადამიანები უფრო ინფორმირებულები არიან და ბევრ რამეს სწორად აღიქვამენ.

**— ყოფილა შემთხვევა, გულწრფელობას ცუდი სამსახური გაეწიოს შენთვის?**

— რამდენიც ვინდა! ზოგი ქედმაღლურად გიწვევს ცქერას და ცდილობს, თავში წამოგართყას, შეგან რაღაც სარგებლობა ნახოს. ან ისე გექცევა, თითქოს თავისი ახლობლობით დიდად გწყალობდეს. ასეთებთან ვცდილობ ურთიერთობა არ გავამწვავო და მშვიდობიანად ჩამოვშორდე. ამას კიდევ რა უჭირს — უარესი ის არის, როდესაც შენივე ორიენტაციის ადამიანი თავს ლაფს გასხამს — მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავი გაიმართლოს: მქონია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს ვხვდებოდით როგორც პარტნიორები, შემდეგ წასულან და ისე უჭორავიათ, თითქოს თავად არაფერ შუაში იყვნენ. ინფორმაციამ ჩემზე სწორედ

ასეთი ხალხისგან გაჟონა, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ, ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინ, 15-16 წლის ლაწირაკები ღამით ჩემს კარს მოადგებოდნენ უწმაწური გინებითა და წინადადებებით. არ გავუღებდი და კარ-ფანჯარას ქვებს უშენდნენ. ერთმა ე.წ. „მეგობარმა“ ქურდები მომიგზავნა და გამძარცვეს, თანაც მცემეს. რისი პატრონი ვარ, თავადაც ხედავ! მშობლებსგან დარჩენილი ორი-სამი უბრალო ოქროს ნივთი მქონდა — ისიც წაიღეს. მთელი სახლი გადააქოთეს... ნეტავი რას ეძებდნენ?

**— შენს ოთახში ხატებს ვხედავ. ალბათ მეტ-ნაკლებად, ბიბლიასაც იცნობ. როგორ ათანხმებ არატრადიციულ ორიენტაციას რელიგიის მოთხოვნებთან?**

— სახლში ბიბლიაც მაქვს, მაგრამ ვერ მოგატყუებ — არასოდეს წამიკითხავს. ისე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ეკლესია ჰომოსექსუალიზმს სასტიკად გმობს.

**— არა მარტო ეკლესია — თავად ქრისტიანული იდეოლოგიაც, რაც ძველ აღთქმაში ძალზე არაერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი.**

— შესაძლოა, მაგრამ მინდა დავიჯერო, რომ ღმერთი ბევრ რამეს გაითვალისწინებს. თუნდაც იმას, რომ ვასრულებ ქრისტიანობის ძირითად მოთხოვნას — მიყვარს ადამიანი. ჩემთვის არ არის პრობლემა გაჭირვებულისთვის უკანასკნელი ლუკმის განაწილება, გვერდში ამოდგომა, ხოლო უმადურობას სიძულვილით არასოდეს ვპასუხობ. ჩემი სახლიდან ნაწყენი ჯერ არავინ წასულა. რაც შეეხება მღვდელმსახურებს, უმჯობესია, თავიანთ სულებში ჩაიხედონ — საკუთარი ცოდვებიც ეყოფათ.

**— თუ გქონია ცხოვრებაში**

**დიდი სიყვარული?**

— სამწუხაროდ, არასოდეს. გატაცებები უფრო მქონდა. ასეთ დროს ყოველთვის ვცდილობ, პარტნიორს მაქსიმალური სითბო ვავრძნობინო, მაგრამ მაინც მიდიან... ხშირად იმიტომ, რომ ცოლი მოჰყავთ. მაგრამ ბუნებას ხომ ვერ მოატყუებ: ერთი დაოჯახდა, მაგრამ ცოლა ხანში უნივერსალის ტუალეტში დაიჭირეს — ალბათ ასხნა არც გჭირდება, რატომ... უნდოდა, ტრადიციულად ეცხოვრა, მაგრამ უარეს დღეში ჩავარდა... იცი, როდესაც ვიდაც ჩემგან მიდის, არასოდეს ვაკავებ — მისი ნებაა, მაგრამ ამით მე კი არა, ის უფრო ღალატობს თავს და ყველაფერი ბუმერანგივით უბრუნდება. მქონია ხანმოკლე შეხვედრებიც, მაგრამ ვცდილობ, არ გავიხსენო — ეს ჩემთვის მტკივნეული წერტილია: ზოგი ისეთი იყო, მერჩვენა არც მქონოდა, მაგრამ მარტოობაც უსასტიკესი გამოცდაა, მე ხომ რკინის არ ვარ... ასეთ დროს ვფიქრობ ხოლმე: ღმერთო, ნეტავი ჩვენი ურთიერთობა მალე დამთავრდეს და თავი დამანებოს-მეთქი...

**— ახლა თუ ხვდები ვინმეს?**

— კი, მაგრამ ესეც ტკივილწარვეი შეხვედრებია. წარმოიდგინე, ახლაც ზუსტად იმდენი ვიცი მასზე, რამდენიც სამიოდე წლის წინ. ახლოს არ მიშვებს — „მემალება“: არ მეუბნება, ვინ არის, სად ცხოვრობს, ღამით არასოდეს რჩება. ადრე თითქმის ორი წელიწადი ვხვდებოდით, შემდეგ ერთი წლით დაიკარგა — დაოჯახდა. ხმა არ ამომიღია, არც მიძებნია, თითქოს გადავხარე, დავწყნარდი და ამ დროს, ისევ გამოჩნდა — ცოლს გაჰყვია. ამით უსიტყვოდ აღიარა, რომ „ტრადიციული ოჯახის“ შექმნის მცდელობა, მხოლოდ ილუზია იყო. წარმოიდგინე, ჩემთან თითქოს ცოცხლდება, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის, მაგრამ მაინც ახლოს არ მიშვებს. საიდანღაც მოდის და



# ტესტი ერუდიციისაზე

1. რომელ წელს მოკლეს ილია ჭავჭავაძე?



- ა) 1905;
- ბ) 1906;
- გ) 1907.

2. რომელ საკრავზე უკრავდა „ორნამი“ გუბა კიკაბიძე?



- ა) საქსოფონზე;
- ბ) დასარტყამ ინსტრუმენტებზე;
- გ) ბას-გიტარაზე.

3. სილვესტერ სტალონე წარმოშობით არის:



- ა) ესპანელი;
- ბ) იტალიელი;
- გ) ფრანგი.

4. სად დაიბადა ნონა ბაფრინდაშვილი?



- ა) ზუგდიდში;
- ბ) ოზურგეთში;
- გ) თბილისში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ისევ მიღის. მეც არაფერს ვეკითხები – არ მინდა შევაწუხო.

— ალბათ მისმა ახლობლებმა არაფერი იციან და მაინც ტრადიციული „ფასადის“ შენარჩუნებას ცდილობს.

— ასეც იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ „დამემალეოდა“?

— არასოდეს გიფიქრობ, შენც ცოლი მოგეყვანა და ფარულად პარტნიორი გაგეჩინა? სხვათა შორის, ეს ზოგიერთი ცნობილი პიროვნების ცხოვრების სტილია...

— არა, არ მინდა. ჯერ ერთი, ქალი შემებრალება – რა ღამიშავა, რატომ უნდა მოვატყუო?! მეორეც – ორმაგ თამაშს თავადაც ვერ გავუძლებ. დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის – ეს ჩემი ცხოვრებაა. რადგან ეს გზა ავირჩიე, ბოლომდე უნდა გავიარო!..

ფაქტია – ჩვენი რესპონდენტი არ ტყუის და არც თამაშობს. ბუნებრივია, იბადება კითხვა – თავად ხომ არ არის „მოტყუებული“? და როცა ამბობს – ეს გზა ავირჩიეო, შეგნებული, გონებითა და არა ბუნების ძახილით გაკეთებულ არჩევანს ხომ არ ვულისხმობს? კომენტარისთვის სექსოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარეს ანდრო კანდელაკს მივმართეთ:

— ეს არის ე.წ. „ჭეშმარიტი ჰომოსექსუალიზმის“ ტიპური ნიმუში. მიაქციეთ ყურადღება – იგი თავს არასოდეს გრძნობდა ქალად, სქესის კორექცია მასში უკურეაქციას იწვევს და არც სურს ცხოვრების წესის შეცვლა. ერთადერთი პრობლემა, გარემოსთან ურთიერთობის მოწესრიგებაა. ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს შესაფერისი ნიადაგი დაზვდა. ეს რომ არა, თანდაყოლილი მიდრეკილება სხვა სიტუაციაში მაინც გამოვლინდებოდა. შესაძლოა, უფრო გვიან, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფსიქოკორექციით ჭეშმარიტ ჰომოსექსუალისტებში მხოლოდ დროებით შედეგს შეიძლება ველოდოთ, რადგან ამ დროს ხდება მათთვის ბუნებრივი (ანუ თანდაყოლილი) მიდრეკილების არა მოსპობა, არამედ ჩახშობა და შესაფერის სიტუაციაში მივიღებთ „ზამბარის ვევეტს“ – დათრგუნვილი თვისება თავს გაორმაგებული ძალით გამოაჩენს.

პრაქტიკაში მქონდა ასეთი შემთხვევა: მიღებაზე მოვიდა ცხრამეტიოდე წლის საუცხოო გარეგნობის ჭკაბუკი. უაღრესად ზრდილი, განათლებული, მშვენიერი ოჯახისშვილი. საუბრიდან გაირკვა, რომ აწუხებდა ჰომოსექსუალური მიდრეკილება და სურდა ამის დაძლევა. ცხადია, მთელი გულმოდგინებით ვიმუშავე, არაფერი დავაკელი – ფსიქოთერაპია, ჰიპნოზის ელემენტები. ჯერ თითქოს ჩაწყნარდა, მაგრამ ამერიკაში სტაჟირებისას, მიდრეკილებამ მასში ახალი ძალით იფეთქა. როდესაც დაბრუნდა, ჩემთან ძალზე არეული მოვიდა. მაშინ მივხვდი, რომ ორიენტაციის შეცვლა ზღაპარი აღმოჩნდა და შევეცადე, თავისი მდგომარეობისთვის შემეგუებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნევროზი ან იქნებ ფსიქოზიც დამართოდა. ახლა კარგ ადვილზე მუშაობს. მისი პირადი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ, როგორც ჩანს, დაარეულია.

— გამოდის, რომ ჭეშმარიტი ჰომოსექსუალისტი, რაღაც გაგებით, „მესამე სქესის“ წარმომადგენელია?

— თუ ჭეშმარიტ ჰომოსექსუალისტზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, ასეა. შეტენილი და წაბაძვითი ფორმები მხედველობაში არ მაქვს – ასეთ დროს ფსიქოთერაპია შევლის. ის, რაც თანდაყოლილია, გარდაუვალია. ჭეშმარიტი ჰომოსექსუალიზმის განმსაზღვრელი ანატომიურ-ფიზიოლოგიური მექანიზმი დღემდე არ არის დადგენილი, ამდენად, მკურნალობა არაპერსპექტიულია. ტრანსსექსუალიზმი ბევრად უფრო მარტივი მოვლენაა. ეს არის კაცი ქალის სხეულში, ან პირიქით. სწორედ ამიტომ, პრობლემაც ძალზე მარტივად – სქესის კორექციით წყდება. ■






# საქართველოში მუსიკისა და პედაგოგიისთვის

საბჭოთა ხარისხიდან ვახტანგ ჯობაძემ სამშობლოში დაბრუნებას 24 წელიწადი მოანდომა. ომის ქარცეცხლს გამოვლილ, ტყვედ ჩავარდნილ ახალგაზრდას, მშობლიური ეკრისიყენ ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა: ან გერმანული ბანაჟი საბჭოურში უნდა გაეცვალა, ან ჟიდევ, დასავლეთში გადახვენილიყო.

1942 წელს ჯობაძეების ოჯახმა ვახტანგის უგზო-უკვლოდ დაჟარგვის ცნობა მიიღო. „უგზო-უკვლოდ დაჟარგული“ ტყვედ ჩავარდნილა და გერმანულთა საკონცენტრაციო ბანაჟში მოხვედრილა.



# მუსიკის მემკვიდრეობის მემკვიდრე

## მარინა ბაბუნაშვილი

ტანჯვა-წამებით გამოვლილი წლები 1944-ში დასრულდა: ჩვენს ტყვეებს მხსნელებად ქართველი ემიგრანტები მოეკვლინენ, რომლებმაც საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადეს და თანამემამულენი უკვე აგონიაში მყოფი რაიხის ტყვეობიდან გაათავისუფლეს. ტყვედყოფილებს თავისუფლება ეღირსათ, დიდ საბჭოეთში დაბრუნებაც კი შეეძლოთ, მაგრამ ისიც იცოდნენ, თუ რა ბედი ელოდათ ქვეყანაში, რომლისთვისაც სამხედრო ტყვე სამშობლოს მოღალატეს ნიშნავდა. ვახტანგ ჯობაძემ კვლავ პატიმრობასა და ბორკილებს, უცხო ცის ქვეშ დარჩენა ამჯობინა...

აჟ, თბილისში, სკოლის დამთავრებისას მშობლები მას ექიმობისკენ უბიძგებდნენ, მაგრამ თავად ხელოვნებისკენ მიუწვევდა გული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს სწავლა არ დასცალდა და აი, ახლა, ტყვეობიდან გაათავისუფლებულს, საყვარელი საქმისაკენ მიბრუნების შესაძლებლობა უჩნდებოდა.

გერმანიაც თანდათან უბრუნდებოდა მშვიდობიან ცხოვრებას და ვახტანგ ჯობაძემ იქაური უნივერსიტეტის კლასიკური არქეოლოგიისა და ადრეჟისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. ბევრი გაჭირვება გამოიარა, პურის ფულის საშოვნელად სამხერხაოში მუშაობდა...

რამდენიმე წელიწადში სრული კურსი გაიარა და დისერტაციაც დაიცვა.

სწორედ იმ პერიოდში გაიცნო ახალგაზრდა მეცნიერმა ირენ ბიებერი – ლამაზი და განათლებული გოგონა. მის შემღებულ მშობლებს თვალში არ მოსდიოდათ „ჯიბეგაფხეკილი იმიგრანტი“, ამიტომაც ქალიშვილს მასთან შეხვედრაც აუკრძალეს. სწორედ, ამ დროს ესპანეთის უმაღლესი საკვლევადიებო საბჭოდან ბარათი მიუვიდა: ვახტანგ ჯობაძეს რამდენიმე წლით სამუშაოდ ესპანეთში იწვევდნენ. ირენის მშობლების დამოკიდებულებით გულდაწყვეტილმა, უყოყმანოდ გადაწყვიტა გერმანიის დატოვება. თუმცა, შეყვარებული ვერ შეეღია და ცოტა ხანში, მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ, ვახტანგს ესპანეთში ჩააკითხა. მალე დაქორწინდნენ კიდევ და პირველი შვილის შექმნით მოგვრილი სიხარულიც ესპანეთში განიცადეს: ჯერ ქალიშვილი – ეთერი შექმინათ, მერე კი ვაჟი, რომელსაც ასევე ქართული სახელი – ოთარი დაარქვეს. ვახტანგმა სიყრმის შვილი მადრიდში მცხოვრებ ბაგრატიონთა შთამომავალს – ესპანეთში დიდ მთავრად წოდებულ ირაკლი ბაგრატიონს, ესპანეთის მეფის, ალფონსო მეცამეტის სიმეს მოანათვლინა.

... 1953 წელს მიხაკო წერეთლის რჩევით, ვახტანგ ჯობაძე საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადის, ოჯახთან ერთად, პატარა

ქალაქ სოლტლეიქსიტში მკვიდრდება, სამეცნიერო მოღვაწეობას კი იუტის უნივერსიტეტში განაგრძობს. როდესაც ცნობილმა მკვლევარმა, მეცნიერმა შნაიდერმა ბიზანტილოგიის ინსტიტუტის შექმნა გადაწყვიტა, უმაღლესი თავის ნამოწაფარს შეეხმინა და ანტიოქიაში არსებული ქართული მათემატიკური კულტურის ძეგლთა რუკის შედგენა დაავალა. იშვიათია, მეცნიერის მისწრაფება ასე ზუსტად დაემთხვეს რეალობას...

იმ ხანებში საქართველოს, როგორც ქვეყანას, არავინ იცნობდა (მით უმეტეს ამერიკაში), ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ აშშ-ის მთავრობამ ექსპედიციის დასაფინანსებლად ძლივს გაიღო მცირე თანხა, რომელიც ამ საქმეს არანაირად არ ეყოფოდა. სწორედ ამ დროს მეცნიერს გვერდში ამოუდგა მისი მეუღლე, რომელმაც საოცარი ნაბიჯი გადადგა: ირენ ბიებერი მთელი თავისი მემკვიდრეობა ქმრის საკვლევადიებო საქმიანობისთვის გაიღო. ასე დაიწყო პროფესორ ვახტანგ ჯობაძის მრავალწლიანი არქეოლოგიური ოდისეა ანტიოქიასა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში.

ანტიოქიაში პროფესორმა 13 ქართული მონასტერი მოიძია. მისმა მუშაობამ გამოამჟღეურა X-XI საუკუნეებში იქ გაშლილი ქართული სამონასტრო ცხოვრება და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობის დონე და მასშტაბები. არქეოლოგმა დიდი სამუშაო ჩაატარა სამ ქართულ მონასტერში, მათგან ორი – წმინდა სვიმონ საკვირველმოქმედის სახანე და

ლალი ჯავახიშვილთან ერთად, თბილისის უნივერსიტეტში



რეაქციონარული უაზრობა



ახლა ქვეყანა თუ ირყევა, მიზეზი ჩვენ ვართ.

**დანტე ალიგიერი**

ერთ საუკუნეში გმირული სიკვდილი აღამიანს ასაჩუქრებს სიცოცხლით ყველა მომდევნო საუკუნეში.

**ჯორდანო ბრუნო**

მოკლე საბნის ქვეშ ვინც ფართოდ წვება,

იმას ფეხები შიშველი რჩება.

**იოჰან ვოლფგანგ გოეთე**

ფრთხილად, ძვირფასო, მოერიდე შემთხვევებს, როცა აღამიანებს დაკარგავ.

**მინაილ კუტუზოვი**

ცოტაზე რომ ცოტას დავდებთ, გვიგროვდება ნამატი.

წვეთი წვეთს რომ ემატება, იბადება ნაკადი.

**საადი**

ბილწი, ბორბი მსახური თუ არ განდევნა პატრონმა,

მისი ბინძური ცოდვები გამოისყიდოს მარტო მან.

**პანჩატანტრა**

ენისა დანაკოდარი ხრმლისაგან უარესია:

ვერა მკურნალი ვერ არგებს, რაგინდ მჯობისა ზესია.

**სულხან-საბა ორბელიანი**

ჭეშმარიტების კრიტიკერიუმი ცდა.

**ტომაზო კამპანელა**

წმინდა ბარლაამის მონასტერი ადრე-ქრისტიანული ხანისაა, უფრო გვიანდელი პერიოდის კი, შავი მთის უნიკალური ქართული ტაძარი – „ძელი ცხოვრებისა“, იგივე ჯვრის მონასტერი გახლავთ. ჯობაძემ ნათელყო, რომ ქართველ ოსტატთა ხელობის კვალი სხვა მონასტრებსაც ჭარბად ატყვია. მან თავისი არქეოლოგიური კვლევები შედეგები ფუნდამენტურ ნაშრომში გააერთიანა, რომელიც „ფრანც შტაინერის გამოძევებობა“ წიგნად გამოუშვა.

თითქმის მეოთხედი საუკუნე შეალია ბატონმა ვახტანგმა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა გამოვლენასა და შესწავლას. ამ მიზნით ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებით არაერთხელ გახლდათ თურქეთში, არაერთგზის მოიარა არტანუჯი, ენრაბატის (მისი ფიქრით, შატბერდის) ეკლესია, ქართული დასახლებანი – ბორჩხისა, იმერხევისა. ჯობაძის თავდაუზოგავმა შრომამ ცხადყო, რომ ტაო-კლარჯეთში 300-მდე ქართული ძეგლია შემორჩენილი, თუმცა უმეტესი ნაწილი დანგრევის პირას მისულა, ბევრი კი მეჩეთად გადაკეთებულა...

ცხადია, ერთი მეცნიერისა და მისი მცირერიცხოვანი ჯგუფის ძალისხმევა ყველაფერს ვერ გასწვდებოდა, მაგრამ დღეს 84 წელს მიღწეული ღვაწლმოსილი მეცნიერი იმით არის კმაყოფილი, რომ მასაც მიუძღვის წვლილი მსოფლიო არქეოლოგიისთვის ქართული კულტურის კერების გაცნობის საქმეში. თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ბედნიერ დღედ კი, 1995 წელს, თბილისის სახელმწიფო


ჯობაძეების ოჯახი



უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევის დღე მიაჩნია...

ვახტანგ ჯობაძის და – ქალბატონი თინა დღესაც მღელვარებით იხსენებს დაკარგულ ძმასთან მრავალი წლის შემდგომ პირველ შეხვედრას:

– ვახტანგისგან შეტყობინება 1959 წელს მივიღეთ. მამჩემი ცოცხალი აღარ იყო... შეტყობინებიდან შეხვედრამდე რამდენიმე წელმა კიდევ განვლო. ბოლოს და ბოლოს, 1966 წელს ამერიკიდან მოწვევა გამომიგზავნა. ხომ იცით, რა დრო იყო? იმდენი „მოთვალთვალე“ გვყავდა დადარაჯებული, კინალამ ჭკუიდან შემშალეს. როგორც იქნა, ძმასთან ჩავედი. ორივე ძალიან ველავდით, მაგრამ ვახტანგის განცდები მაინც სხვა იყო: მე ხომ მისთვის მთელი საქართველოს, სანათესავოსა და მეგობრების ერთადერთი წარმომადგენელი ვიყავი... ძალიან მომეწონა ვახტანგის შვილები. ეთერი უფრო ქართველობს, ემოციური, მგრძობიარე და საოცრად მოსიყვარულეა ყველა ქართველისა და ყოველივე ქართულის მიმართ. ერთხელ, როცა „სუხიშვილების ანსამბლი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ამერიკაში, ერთ-ერთი ცეკვის მერე, გულაჩუყებული ეთერი სცენაზე აჭრილა და ჩვენს მოცეკვავეებს ატირებული გადაჰხვევია... ვახტანგიც და ირენიც მუდამ გაფაციცებულნი არიან, რომ საქართველოდან ჩასული არც ერთი შემოქმედებითი ჯგუფი ყურადღების მიღმა არ დარჩეთ. საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს ჩემმა ძმამ ქართული ხალხური სიმღერების უამრავი აუდიოჩანაწერი გაიყილა. ეს არის მისთვის ყველაზე კარგი „საგზალი“...




# შაამონგაით თქვენი ყურადღების ინტენსივობა შაამონგაით თქვენი ყურადღების ინტენსივობა შაამონგაით თქვენი ყურადღების ინტენსივობა შაამონგაით თქვენი ყურადღების ინტენსივობა

თქვენი ყურადღების ინტენსივობა ქვემოთ მოყვანილი თამაშის მეშვეობით შეგიძლიათ შეამოწმოთ. სურათზე გამოსახული 36 ფიგურებიდან იპოვეთ ორი აბსოლუტურად ერთნაირი. დაინიშნეთ დრო! სამ-

უშაოს შესრულებისას, გადამწყვეტ როლს არა მარტო თქვენი ყურადღება, არამედ მეხსიერებაც (ამ შემთხვევაში – მხედველობითი) ასრულებს. რაც მეტი ნიშან-თვისების დამახსოვრებასა და გადამოწ-

მებას შეძლებთ, მით მალე შეასრულებთ ამოცანას. გაითვალისწინეთ, რომ ფიგურები უნდა იყოს აბსოლუტურად იდენტური და ერთნაირად ორიენტირებული. **აუცილებლად დაინიშნეთ დრო!**



ქმნილია ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-

ქმნილია ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-

ქმნილია ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-  
-ნესედიდან ორი ერთნაირი ფიგურა. დაინიშნეთ დრო! სამ-



1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, ქართველი ერის მძლავრი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. საქართველოს სხვადასხვა კუთხე აჯანყების კერებით დაიფარა. დამოუკიდებლობის აღდგენის დროშა პირველად თავისუფლებისმოყვარე სვანებმა ააფრიალეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სწორედ აქედან დაიწყო.

# პირველი რესპუბლიკის

ქახა მაისურაძე

# მხარე გამოცდილება

## 1921-22 წლების სვანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება

### პროლოგი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ანტიდამპყრობლურ მოძრაობას სვანეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაელო სათავე. საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან სვანეთი რუსეთის იმპერიამ ყველაზე გვიან – 1858 წელს დაიპყრო. ნიშანდობლივი იყო თვით სვანეთის დაპყრობის პროცესიც: იმხანად სამთავროს ტახტს ერთმანეთს ეცილებოდა დადეშქელიანთა ორი შტოს წარმომადგენელი – კონსტანტინე და თენგიზი. კონსტანტინეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა ერევანში გადასახლება გადაუწყვიტა. 1857 წლის 24 ოქტომბერს გაგარინსა და კონსტანტინე დადეშქელიანს შორის ქუთაისში გაიმართა მოლაპარაკება. გაგარინი წინ აღუდგა კონსტანტინეს თხოვნას, საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად დროებით სვანეთში წასვლის შესახებ და ბრძანა, მისთვის იარაღი აეყარათ. ზვიადმა მთავარმა ეს შეურაცხყოფად მიიღო და ხანჯლით სასიკვდილოდ დაჭრა გაგარინი, დახოცა მისი მოხელენი და გაიქცა. ის მალე შეიპყრეს და დახვრიტეს, ხოლო მისი მამულები ხაზინას გადასცეს. 1858 წელს სამთავრო უფლებებზე უარი თქვა დადეშქელიანთა მეორე შტოს წარმომადგენელმა – თენგიზმაც. სვანეთის სამთავრო ავტომატურად გაუქმდა. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ დამოუკიდებელი სვანეთი რუსე-

თის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით, საბოქაულოდ აქცია. მიუხედავად ამისა, სვანები „რუსულ ჩექმას“ არასოდეს შეჰკუებთან. 1875-76 წლებში მთელი სვანეთი მძლავრმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა აჯანყებამ მოიცვა. 1876 წლის აგვისტოში მეფის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა სოფელ ხალდესთან. უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება დამპყრობლებს დარჩათ. 21 აგვისტოს რუსულმა არმიამ იერიშით აიღო და მიწასთან გაასწორა სოფელი ხალდე. მტერმა მთელ სვანეთში გადამწვარი მიწების მეტი არაფერი დატოვა.

ქუთაისში აჯანყების მოთავეთა სასამართლო პროცესი გაიმართა. სვანთა დასაცავად თვით აკაკი წერეთელი გამოვიდა. მაგრამ საქმეს ვერაფერმა უშველა: ამბოხების 33 აქტიური მონაწილე რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლეს, სამ მეთაურს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რაც შემდგომ მუდმივი კატორღით შეუცვალეს. ამრიგად, სვანთა პირველი ცდა დამპყრობელთა უღლის გადასაგდებად, მარცხით დასრულდა. XIX საუკუნეში დამოუკიდებლობის დაკარგვის მწარე ხვედრი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, სვანეთმაც გაიზიარა.

### 1921-22 წლების აჯანყება

რუსული სამხედრო კორპუსის განადგურება

1921-22 წლების აჯანყების საფუძვლად ანტიდამპყრობლური მოძრაობა

იქცა. ოღონდ ამჯერად დამპყრობელი მეფის რუსეთი კი არა, უკვე საბჭოთა რუსეთი იყო. ამ ქვეყნის ჯარების მიერ 1921 წელს ფეხქვეშ გათელილი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა დამპყრობლების მსხვერპლად იქცა.

მიუხედავად ამისა, ბრძოლები დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად არასდროს შეწყვეტილა. ჯერ კიდევ ქვეყნის ტერიტორიის სრულ ოკუპაციამდე, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, განზრახული ჰქონდა, მთელი საქართველო პარტიზანული ბრძოლების კერად ექცია. ამ პრიზმაში აჭარასა და განსაკუთრებით სვანეთს, გამორჩეული როლი ეკისრებოდა. „ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილი, სვანეთი რუსებთან წინააღმდეგ ომში ერთ-ერთ მძლავრ საომარ ბაზად გვექცია“ – იგონებდა ნოე ჟორდანიას, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს ვერ განხორციელდა. მთელი ძალაუფლება კრემლის მარიონეტებით დაკომპლექტებული ადგილობრივი ძალების – რევკომების ხელში გადავიდა. სვანეთშიც, მართალია, შედარებით გვიან, მაგრამ ოკუპანტებმა მოახერხეს ადგილობრივი რევკომის ჩამოყალიბება. მაგრამ თავდაპირველად, რუსთა ბატონობამ ამ მხარეში ყველაზე მცირე ხანს – სულ 4 თვეს გასტანა. დამოუკიდებლობის აღდგენის დროშა მთელ საქართველოში, პირველად თავისუფლებისმოყვარე სვანებმა ააფრიალეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ მოსესტრო დადეშქელიანი, ნესტორ

გარდაფხაძე და ბიძინა პირველი.

ნესტორ გარდაფხაძე 1918-21 წლებ-ის დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახლდათ. აქტიურად მონაწილეობდა 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებლობის დასაცავად თბილისის კარიბჭესთან გამართულ ბრძოლებში. ჟორდანიას მთავრობა და მთავარსარდალი კვინიტაძე, პარტიზანული ბრძოლების შემთხვევაში, მთავარ იმედს წორედ მასზე და ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ამყარებდნენ. ხოლო როდესაც აღნიშნული გეგმა ჩაიშალა, ნესტორ გარდაფხაძის უშუალო ინიციატივით პარტიზანული რაზმების ჩოყალიბების პროცესი სვანეთში იქნა გადატანილი.

აჯანყების მეორე ლიდერი — ბიძინა პირველი, იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო, ჯერ კიდევ ქუთაისის I გიმნაზიის სტუდენტი გახლდათ. იმავე წელს დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და მშობლიური კუთხის განვითარების აქტიური მონაწილე გახდა — კერძოდ, მისი ინიციატივით იმ პერიოდის სვანეთში დაარსდა თეატრი და კულტურის სხვა კერები. მაგრამ დამპყრობთა თარეშმა მალე იძულებული გახდა, აქტიურად ჩაბმულიყო აჯანყებაში. მღელვარების პირველი ნიშნები 1921 წლის მაისში გამოვლინდა, ივნისი-ივლისიდან კი მდგომარეობა უმართავი გახდა. აჯანყებულებმა დაამხეს ადგილობრივი რეგოკომები, განაიარაღეს მილიციის პუნქტები, შეკრეს და გადაკეტეს სვანეთისაკენ მიმავალი გზები და ბილიკები. სვანეთიდან ჯანყის ცეცხლი რაჭა-ლეჩხუმს გადაედო და გავრცელდა. მიმდინარეობდა მოსახლეობის შეიარაღება და მზადება ქუთაისზე გასალაშქრებლად. მოსალოდნელი იყო დასავლეთ საქართველოს ერთიანი ამბოხიც. მაგრამ საოკუპაციო რეჟიმის სათანადო კონტრზომებს მიმართავდა: სექტემბერში ქუთაისიდან სვანეთისაკენ 15 ათასიანი რუსული საარმიო შენაერთი დაძრეს, მაგრამ სვანეთის მისადგომებთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლები მტრისთვის სრული კატასტროფით დასრულდა: სვანებმა ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს რუსული არმიის მთელი სამხედრო კორპუსი. მარტო ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვი 500 კაცს აღემატებოდა.

ამავე დროს, აჯანყებულთა ხელმძღვანელებმა დელეგაცია გააგზავნეს თბილისში. მან საქართველოს მარიონეტულ

რეგოკომს (მთავრობას) მკაცრი მოთხოვნები წაუყენა: რუსული ჯარების გაყვანა საქართველოდან და ახალი ხელისუფლების ასარჩევად თავისუფალი არჩევნების გამოცხადება. რეგოკომმა კრემლის კარნახით ეს მოთხოვნა კატეგორიულად უარყო. თუმცა აჯანყებულთა ყურადღების მოსაღწებლად, 1921 წლის ოქტომბერში უბრძანა სვანეთის საზღვართან განლაგებულ „სანაპირო რაზმის“ მეთაურს — ფოლორაიას, დაეშალა რაზმი და ანგარიშები წარედგინა რეგოკომისთვის.

1921-22 წლების ზამთარში საოკუპაციო რეჟიმმა სვანეთში ხელმეორედ ლაშქრობა ველარ გაბედა. 1922 წლის აღრიან გაზაფხულზე კი, ისევ დაძრა სვანეთისაკენ „წითელი პოლკები“. ისევ დაუხვდნენ მტერს სვანები. ლენტეხისაკენ მიმავალ გზაზე კვლავ სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს. ტყვედ აყვანილთა რიცხვი 270 კაცს აღწევდა. თუმცა ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა. მტრის რაზმები დღითი დღე იზრდებოდა, მაშინ, როცა აჯანყებულთა რიცხვი, სისხლისმღვრელი შეტაკებების შედეგად, სულ უფრო კლებულობდა. ყოველივე გაართულა იმანაც, რომ მტერმა სვანეთზე იერიში მალე 4 მიმართულებით წამოიწყო: ორ-ორი მიმართულებით — ჩრდილოეთიდან (რუსეთის მხრიდან) და სამხრეთიდან (ქუთაისის მხრიდან). 1922 წლის მარტ-აპრილში აჯანყებულებმა უკანასკნელად სცადეს მშვიდობიანი გზით დამპყრობლებთან ურთიერთობის მოგვარება. პარლამენტიორების პირით განაახლეს მოთხოვნები საქართველოს ოკუპაციის მოხსნის შესახებ. ამავე დროს, წარმართავდნენ მოლაპარაკებას ტყვეების გაცვლის შესახებ და ამ საკითხში სერიოზულ დათმობაზეც მიდიოდნენ: მზად იყვნენ, თითოეულ თავის მეომარში სამი რუსი ჯარისკაცი გაეცვალათ. მაგრამ რუსული ჯარების მზარდი წარმატების ფონზე, მალე აშკარა გახდა, რომ მტერი კომპრომისზე არ წავ-

ილოდა. ოთხი მიმართულებიდან განხორციელებულმა შეტევამ თავისი გაიტანა — პატარა სვანეთი ალყაში მოექცა. აჯანყებულები იძულებულნი იყვნენ, მტრის მზარდი ზეწოლის შედეგად, თანდათან დაეთმოთ დაკავებული პოზიციები. ამას დამატა შინაგანხეთქილებაც, რაც მეამბოხეთა რიგებში წარუმატებლობის ფონზე გაჩნდა. აპრილის მიწურულისთვის სვანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება რუსულმა ჯარმა საბოლოოდ ჩაახშო. მაისში, აჯანყებულთა ტყვედ გაჭრილი ნარჩენები იძულებულნი გახდნენ, ოკუპანტებისათვის იარაღი ჩაებარებინათ.

### სვანეთის საკითხი გენუის 1922 წლის კონფერენციაზე

„ქართველებო, თქვენთვის დამოუკიდებლობის კარი დაკეტილია“

გენუის კონფერენცია 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე მიმდინარეობდა. მასზე ძირითადად საერთაშორისო მნიშვნელობის ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს განიხილავდნენ. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა რუსეთის საკითხი: ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მთავარ მოთხოვნას, საბჭოთა რუსეთის მიერ მეფის დროინდელი ვალების აღიარება წარმოადგენდა. რუსეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი) გიორგი ჩიჩერინი, ხოლო ევროპის ქვეყნების ინტერესებს აქტიურად იცავდნენ ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი, საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჟან ლუი ბარტიუ და სხვები.

კონფერენციაზე საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ოფიციალურად დაშვებული არ იქნა. ევროპაში ემიგრირებულ ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენლებს, უშუალო მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განუცხადეს. თუმცა, მაინც მოისმინეს ქართული დელეგაციის საჩივარი — საქართველოში, კერ-



ბიძინა პირველი



1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, ქართველი ერის მძლავრი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. საქართველოს სხვადასხვა კუთხე აჯანყების კერებით დაიფარა. დამოუკიდებლობის აღდგენის დროს პირველად თავისუფლებისმოყვარე სვანებმა ააფრიალეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სწორედ აქედან დაიწყო.

# პირველი რესპუბლიკის

ქახა მაისურაძე

# მხარი გაემოცდილება

1921-22 წლების სვანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება

## პროლოგი

### ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ანტიდამპყრობლურ მოძრაობას სვანეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაელო სათავე. საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან სვანეთი რუსეთის იმპერიამ ყველაზე გვიან – 1858 წელს დაიპყრო. ნიშანდობლივი იყო თვით სვანეთის დაპყრობის პროცესიც: იმხანად სამთავროს ტახტს ერთმანეთს ეცილებოდა დაღეშქელიანთა ორი შტოს წარმომადგენელი – კონსტანტინე და თენგიზი. კონსტანტინეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა ერევანში გადასახლება გადაუწყვიტა. 1857 წლის 24 ოქტომბერს გაგარინსა და კონსტანტინე დაღეშქელიანს შორის ქუთაისში გაიმართა მოლაპარაკება. გაგარინი წინ აღუდგა კონსტანტინეს თხოვნას, საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად დროებით სვანეთში წასვლის შესახებ და ბრძანა, მისთვის იარაღი აეყარათ. ზვიადმა მთავარმა ეს შეურაცხყოფად მიიღო და ხანჯლით სასიკვდილოდ დაჭრა გაგარინი, დახოცა მისი მოხელენი და გაიქცა. ის მალე შეიპყრეს და დახვრიტეს, ხოლო მისი მამულები ხაზინას გადასცეს. 1858 წელს სამთავრო უფლებებზე უარი თქვა დაღეშქელიანთა მეორე შტოს წარმომადგენელმა – თენგიზმაც. სვანეთის სამთავრო ავტომატურად გაუქმდა. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ დამოუკიდებელი სვანეთი რუსე-

თის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით, საბოქაულოდ აქცია. მიუხედავად ამისა, სვანები „რუსულ ჩექმას“ არასოდეს შეპყდებიან. 1875-76 წლებში მთელი სვანეთი მძლავრმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა აჯანყებამ მოიცვა. 1876 წლის აგვისტოში მეფის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა სოფელ ხალდესთან. უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება დამპყრობლებს დარჩათ. 21 აგვისტოს რუსულმა არმიამ იერიშით აიღო და მიწასთან გაასწორა სოფელი ხალდე. მტერმა მთელ სვანეთში გადამწვარი მიწების მეტი არაფერი დატოვა.

ქუთაისში აჯანყების მოთავეთა სასამართლო პროცესი გაიმართა. სვანთა დასაცავად თვით აკაკი წერეთელი გამოვიდა. მაგრამ საქმეს ვერაფერმა უშველა: ამბოხების 33 აქტიური მონაწილე რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლეს, სამ მეთაურს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რაც შემდგომ მუდმივი კატორღით შეუცვალეს. ამრიგად, სვანთა პირველი ცდა დამპყრობელთა უღლის გადასაგდებად, მარცხით დასრულდა. XIX საუკუნეში დამოუკიდებლობის დაკარგვის მწარე ზვედრი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, სვანეთმაც გაიზიარა.

## 1921-22 წლების აჯანყება

### რუსული სამხედრო კორპუსის განადგურება

1921-22 წლების აჯანყების საფუძვლად ანტიდამპყრობლური მოძრაობა

იქცა. ოღონდ ამჯერად დამპყრობელი მეფის რუსეთი კი არა, უკვე საბჭოთა რუსეთი იყო. ამ ქვეყნის ჯარების მიერ 1921 წელს ფეხქვეშ გათელილი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა დამპყრობლების მსხვერპლად იქცა.

მიუხედავად ამისა, ბრძოლები დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად არასდროს შეწყვეტილა. ჯერ კიდევ ქვეყნის ტერიტორიის სრულ ოკუპაციამდე, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, განზრახული ჰქონდა, მთელი საქართველო პარტიზანული ბრძოლების კერად ექცია. ამ პრიზმაში აჭარასა და განსაკუთრებით სვანეთს, გამორჩეული როლი ეკისრებოდა. „ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილი, სვანეთი რუსებთან წინააღმდეგ ომში ერთ-ერთ მძლავრ საომარ ბაზად გვექცია“ – იგონებდა ნოე ჟორდანიას, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს ვერ განხორციელდა. მთელი ძალაუფლება კრემლის მარიონეტებით დაკომპლექტებული ადგილობრივი ძალების – რევეკომების ხელში გადავიდა. სვანეთშიც, მართალია, შედარებით გვიან, მაგრამ ოკუპანტებმა მოახერხეს ადგილობრივი რევეკომის ჩამოყალიბება. მაგრამ თავდაპირველად, რუსთა ბატონობამ ამ მხარეში ყველაზე მცირე ხანს – სულ 4 თვეს გასტანა. დამოუკიდებლობის აღდგენის დროს მთელ საქართველოში, პირველად თავისუფლებისმოყვარე სვანებმა ააფრიალეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ მოსესტრო დაღეშქელიანი, ნესტორ

გარდაფხაძე და ბიძინა პირველი.

ნესტორ გარდაფხაძე 1918-21 წლებ-ის დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახლდათ. აქტიურად მონაწილეობდა 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებლობის დასაცავად თბილისის კარიბჭესთან გამართულ ბრძოლებში. ჟორდანიას მთავრობა და მთავარსარდალი კვინიტაძე, პარტიზანული ბრძოლების შემთხვევაში, მთავარ იმედს სწორედ მასზე და ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ამყარებდნენ. ხოლო როდესაც აღნიშნული გეგმა ჩაიშალა, ნესტორ გარდაფხაძის უშუალო ინიციატივით პარტიზანული რაზმების ჩაოყალიბების პროცესი სვანეთში იქნა გადატანილი.

აჯანყების მეორე ლიდერი – ბიძინა პირველი, იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო, ჯერ კიდევ ქუთაისის I გიმნაზიის სტუდენტი გახლდათ. იმავე წელს დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და მშობლიური კუთხის განვითარების აქტიური მონაწილე გახდა – კერძოდ, მისი ინიციატივით იმ პერიოდის სვანეთში დაარსდა თეატრი და კულტურის სხვა კერები. მაგრამ დამპყრობთა თარეშმა მალე იძულებული გახადა, აქტიურად ჩაბმულიყო აჯანყებაში. მღელვარების პირველი ნიშნები 1921 წლის მაისში გამოვლინდა, ივნის-ივლისიდან კი მდგომარეობა უმართავი გახდა. აჯანყებულებმა დაამხეს ადგილობრივი რეგოპები, განაიარაღეს მილიციის პუნქტები, შეკრეს და გადაკეტეს სვანეთისაკენ მიმავალი გზები და ბილიკები. სვანეთიდან ჯანყის ცეცხლი რაჭა-ლეჩხუმს გადაედო და გავრცელდა. მიმდინარეობდა მოსახლეობის შეიარაღება და მზადება ქუთაისზე გასალაშქრებლად. მოსალოდნელი იყო დასავლეთ საქართველოს ერთიანი ამბოხიც. მაგრამ საოკუპაციო რეჟიმიც სათანადო კონტრზომებს მიმართავდა: სექტემბერში ქუთაისიდან სვანეთისაკენ 15 ათასიანი რუსული საარმიო შენაერთი დაძრეს, მაგრამ სვანეთის მისადგომებთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლები მტრისთვის სრული კატასტროფით დასრულდა: სვანებმა ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს რუსული არმიის მთელი სამხედრო კორპუსი. მარტო ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვი 500 კაცს აღემატებოდა.

ამავე დროს, აჯანყებულთა ხელმძღვანელებმა დელეგაცია გააგზავნეს თბილისში. მან საქართველოს მარიონეტულ

რეგოპს (მთავრობას) მკაცრი მოთხოვნები წაუყენა: რუსული ჯარების გაყვანა საქართველოდან და ახალი ხელისუფლების ასარჩევად თავისუფალი არჩევნების გამოცხადება. რეგოპმა კრემლის კარნახით ეს მოთხოვნა კატეგორიულად უარყო. თუმცა აჯანყებულთა ყურადღების მოსაღწებლად, 1921 წლის ოქტომბერში უბრძანა სვანეთის საზღვართან განლაგებულ „სანაპირო რაზმის“ მეთაურს – ფოლორიაას, დაეშალა რაზმი და ანგარიშები წარედგინა რეგოპისთვის.

1921-22 წლების ზამთარში საოკუპაციო რეჟიმი სვანეთში ხელმეორედ ლაშქრობა ვეღარ გაბედა. 1922 წლის ადრიან გაზაფხულზე კი, ისევ დამრა სვანეთისაკენ „წითელი პოლკები“. ისევ დაუხვდნენ მტერს სვანები. ლენტეხისაკენ მიმავალ გზაზე კვლავ სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს. ტყვედ აყვანილთა რიცხვი 270 კაცს აღწევდა. თუმცა ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა. მტრის რაზმები დღითი დღე იზრდებოდა, მაშინ, როცა აჯანყებულთა რიცხვი, სისხლისმღვრელი შეტაკებების შედეგად, სულ უფრო კლებულობდა. ყოველივე გაართულა იმანაც, რომ მტერმა სვანეთზე იერიში მალე 4 მიმართულებით წამოიწყო: ორ-ორი მიმართულებით – ჩრდილოეთიდან (რუსეთის მხრიდან) და სამხრეთიდან (ქუთაისის მხრიდან). 1922 წლის მარტ-აპრილში აჯანყებულებმა უკანასკნელად სცადეს მშვიდობიანი გზით დამპყრობლებთან ურთიერთობის მოგვარება. პარლამენტორების პირით განაახლეს მოთხოვნები საქართველოს ოკუპაციის მოხსნის შესახებ. ამავე დროს, წარმართავდნენ მოლაპარაკებას ტყვეების გაცვლის შესახებ და ამ საკითხში სერიოზულ დათმობაზეც მიდიოდნენ: მზად იყვნენ, თითოეულ თავის მეომარში სამი რუსი ჯარისკაცი გაეცვალათ. მაგრამ რუსული ჯარების მზარდი წარმატების ფონზე, მალე აშკარა გახდა, რომ მტერი კომპრომისზე არ წავ-

ილოდა. ოთხი მიმართულებიდან განხორციელებულმა შეტევამ თავისი გაიტანა – პატარა სვანეთი ალყაში მოექცა. აჯანყებულები იძულებულნი იყვნენ, მტრის მზარდი ზეწოლის შედეგად, თანდათან დაეთმოთ დაკავებული პოზიციები. ამას დაემატა შინაგანხეთქილებაც, რაც მეამბოხეთა რიგებში წარუმატებლობის ფონზე გაჩნდა. აპრილის მიწურულისთვის სვანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება რუსულმა ჯარმა საბოლოოდ ჩაახშო. მაისში, აჯანყებულთა ტყვედ გაჭირვლი ნარჩენები იძულებულნი გახდნენ, ოკუპანტებისათვის იარაღი ჩაებარებინათ.

### სვანეთის საკითხი გენუის 1922 წლის კონფერენციაზე

#### „ქართველებო, თქვენთვის დამოუკიდებლობის კარი დაკეტლია“

გენუის კონფერენცია 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე მიმდინარეობდა. მასზე ძირითადად საერთაშორისო მნიშვნელობის ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს განიხილავდნენ. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა რუსეთის საკითხი: ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მთავარ მოთხოვნას, საბჭოთა რუსეთის მიერ მეფის დროინდელი ვალების აღიარება წარმოადგენდა. რუსეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი) გიორგი ჩიჩერინი, ხოლო ევროპის ქვეყნების ინტერესებს აქტიურად იცავდნენ ინგლისის პრემიერი ლორდ ჯორჯი, საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჟან ლუი ბარტიუ და სხვები.

კონფერენციაზე საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ოფიციალურად დაშვებული არ იქნა. ევროპაში ემიგრირებულ ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენლებს, უშუალო მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განუცხადეს. თუმცა, მაინც მოისმინეს ქართული დელეგაციის საჩივარი – საქართველოში, კერ-



ბიძინა პირველი

# ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მასხოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. რას ეპაზინან ფორმულა- 1-ის პილოტები გაცვითილ საპურავებს?



- ა) მკვლარ რეზინს;
- ბ) დახეულ ფეხსაცმელებს;
- გ) ბებერ ფეხებს.

## 2. სად არის დასაფლავებული ლი ითიბი-გურჯი?



- ა) დილუბის პანთეონში;
- ბ) მთაწმინდის პანთეონში;
- გ) კუკიის სასაფლაოზე.

## 3. ვის მოუვიდა თავი პირველად აზრი, რომ თუ წელიწადში ორჯერ გადავს- ნავთ საათის ისრებს, განათი- გაზე დახარჯული თანხები დაიზოგება?



- ა) ბენჯამინ ფრანკლინს;
- ბ) ლენინს;
- გ) ნიუტონს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ძოდ, სვანეთის რეგიონში განვითარებული მოვლენების შესახებ. სვანეთის საკითხი რუსეთის საქმეთა შემსწავლელი კომისიის განსახილველ საკითხთა ნუსხაში შეიტანეს. ოფიციალურად, თითქმის ყველამ დაგმო რუსეთის კომუნისტური რეჟიმის დამპყრობლური აქციები საქართველოს მიმართ. შვედეთის მთავრობის თავმჯდომარემ, ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა ბრაიტინგმა და შვეიცარიის საბჭოს თავმჯდომარემ პირდაპირ მოითხოვეს სვანეთის მიმართ რუსული ჯარების ლაშქრობათა აღკვეთა. ამ წინადადებას უმაღლეს ხარისხზე დაუჭირა საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა ბარტიუმ და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა. სვანეთის წინააღმდეგ ავანტიურული სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა კატეგორიულად მოითხოვა იტალიამაც. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის შანცერის წინადადებით, სვანეთის საკითხი კონფერენციაზე განსახილველად მიღებული იქნა ერთხმად და იქვე, მასვე მიანდვეს, ეს პოზიცია „მეგობრული ფორმით“ წარედგინა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის – ჩიჩერინისათვის.

მაგრამ შედეგებმა ქართველებს იმედი გაუცრუა. ჩიჩერინმა ჩვეული რუსული ფესტით – ე.ი. უტიფრად, კატეგორიულად უარყო საქართველოში მიმდინარე რეალური მოვლენები და ამტკიცებდა, თითქოს არც სვანეთში და არც სხვაგან საქართველოში არავითარი სამხედრო შეტაკება არ მომხდარა. არ დაღვრილა სისხლის არც ერთი წვეთი, არ ზღვება არავითარი ძალმომრეობა, არის მხოლოდ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და სხვა ამგვარი.

კონფერენცია უძლური აღმოჩნდა, ჩიჩერინის ამ განცხადებების საწინააღმდეგოდ რაიმე კონკრეტული მოქმედებები. რუსეთმა სვანეთის საკითხის გამო საქართველოს საქმეებში ევროპის სახელმწიფოების ჩარევა ყოვლად უსაფუძვლოდ ცნო და ეს ფაქტი რეგიონში მათ „იმპერიალისტურ მისწრაფებებს“ დაუკავშირა.



ნესტორ გარდაფხაძე


საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დელეგაცია, სვანეთში მიმდინარე რუსული ძალადობის შესაწყვეტად ბრძოლას მინც განაგრძობდა. ნოე ჟორდანიამ პარიზიდან სპეციალური წერილი გაუგზავნა მეორე ინტერნაციონალის და ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა მდივნებს – ადლერსა და მაკლონალდს, სადაც მოითხოვდა: მიეღოთ სასწრაფო ზომები სვანეთის სისხლის ღვრის შესაწყვეტად, მოეწოდებინათ მოსკოვისათვის, დაუყოვნებლივ შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები, ჩამოეგლო დროებითი ზავი,

მიეღო სამივე სოციალისტური ინტერნაციონალის შუამავლობა კონფლიქტის სალიკვიდაციოდ და სხვა. მართლაც, თავდაპირველად ნოე ჟორდანიას ამ მიმართვას სათანადო გამოხმაურება მოჰყვა. „მეორე ინტერნაციონალის კომიტეტმა მოსკოვს დეპეშით გადასცა კატეგორიული მოთხოვნა, შეწყვეტილიყო შეტევები ქართველ ინსურგენტებზე (აჯანყებულებზე – ავტ.) – მანამ, სანამ საქართველო-რუსეთს შორის ამტყდარ ამ ამბებზე თავის სიტყვას არ იტყოდა სამივე ინტერნაციონალის კომისია – 9 კაცის შემადგენლობით“.

მიუხედავად ამისა, მიმდინარე პროცესზე ყველა ამ ნაბიჯს არავითარი გავლენა არ მოუხდენია. კრემლის ემისრებმა, როგორც გენუის კონფერენციის, ისე ევროპის სოციალისტური ინტერნაციონალის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს. სვანეთის პირველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება საქართველოში სისხლში იქნა ჩახშობილი. მოგვიანებით, აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი – ბიძინა პირველი სასამართლო პროცესზე აცხადებდა: „მე მზად ვარ ჩემი მოქმედებისათვის პასუხი ვაგო. აი, ჩემი გული სამტყვიას გააცვივებს მინც. აი, ჩემი სხეული, გინდათ ჩამაგდეთ ბნელ სარდაფში, მაწამეთ, ამკუწეთ, დამგლიჯეთ. მაგრამ მინც ვიტყვი: მე მამოდრავებდა გულწრფელი სურვილი, გადაემჩინა ჩემი ერი. მე ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას, ჩემს სამშობლოს“.



ევროპულ ფეხბურთში ფუტბის მოცულობა, ყოველ შემთხვევაში, ხუთ უმსხვილეს ლიგაში მაინც, არნახული ტემპებით იზრდება. ინგლისის ჩემპიონატმა კი საერთოდ რეკორდიც კი დაამყარა: კომპანია DELOITTE & TOUCHE-ის მონაცემებით, პრემიერ-ლიგაში შემავალი 20 კლუბის ბრუნვა მაისისთვის 772 მლნ გირვანქა სტერლინგი (1.11 მლრდ დოლარი) იქნება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ფინანსური თვალსაზრისით, ფეხბურთში ყველაფერი რიგზეა: მომგებიანი მხოლოდ ერთი, ყველაზე „იაფი“ – საფრანგეთის ჩემპიონატია.



„ლივერპული“ პირნათელია გულშემატკივრების წინაშე: ეროვნულ ჩემპიონატშიც კარგად ასპარეზობს და ევროთასებზეც. მაგრამ მისი აქციონერები უდიდეს დოლ დარჩნენ...

# საფეხბურთო ბიზნესი

ინგლისური ფენომენი DELOITTE & TOUCHE-ის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იმ ბოლო რვა წლის განმავლობაში, რაც პრემიერ-ლიგა ჩამოყალიბდა, როგორც კლუბების თავისებური კომერციული გაერთიანება, მისი ბრუნვა ხუთჯერ გაიზარდა (გასული სეზონის განმავლობაში – 15%-ით) და ფეხბურთის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, 1 მლრდ დოლარის ნიშნულს მიაღწია. აქამდე ამხელა ციფრებს მხოლოდ ამერიკის უძლიერესი პროფესიული ლიგები თუ დაიკვეხნიდნენ. საბედნიეროდ, ინგლისური კლუბების ბიუჯეტები აბსოლუტურად გამჭვირვალეა და რეგულარულად ექვემდებარება აუდიტორულ შემოწმებებს. ამიტომაც გაირკვა, თუ რისი წყალობით მოხდა ზრდა: აღმოჩნდა, რომ, თუმცა სხვადასხვა ტემპით, მაგრამ მაინც, ხარჯებთან ერთად, შემოსავლებიც იზრდებოდა. დავიწყით შემოსავლებით, რომლის ლომის წილი – 260 მლნ დოლარი – ინგლისში უწინდებურად ე.წ. MATCH-DAY-INCOME-ზე მოდის. აღნიშნული ცნება კლუბების ბიუ-

ჯეტებში თამაშების დღეებში შემოსული სახსრების ყველა სახეობას მოიცავს: ბილეთების რეალიზაციით დაწყებული, სტადიონზე სუვენირებისა და გამაგრებელი სასმელების გაყიდვით დამთავრებული. ევროპის ქვეყნების დანარჩენ გუნდებს ისღა დარჩენიათ, შურის თვალთ უმზირონ პრემიერ-ლიგას, რადგან წელს თითოეულ თამაშზე მოსულ გულშემატკივართა რაოდენობა საშუალოდ, 30000 კაცს აჭარბებს. მეორე ადგილზე შემოსავლები კლუბების კომერციული საქმიანობებიდან, რადგან მათი უმეტესობა ბოლო წლებში გადაიქცა მსხვილ საწარმოებად, რომელთა ინტერესები მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლება: ეს ციფრი 90 მლნ გირვანქას უდრის. ამ მხრივ გამოირჩევა „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომლის ფირმა-ფილიალები ყველა კონტინენტზე მოქმედებს და რომელმაც ამას წინათ NIKE-სა და კლუბ NEW YORK YANRESS-თან (ბეისბოლი) თანამშრომლობის, სპორტული სამყაროსთვის უმსხვილესი

კონტრაქტები გააფორმა. მესამე ადგილზე – ტელეკორპორაციებისგან მიღებული შემოსავლები: პრემიერ-ლიგის მატჩების ტრანსლირების უფლებისთვის ბრიტანულმა კომპანიებმა BSKYB და ITV და საზღვარგარეთის ზოგიერთმა ტელეარხმა, საერთო ჯამში, 46 მლნ გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. ეს შემოსავლების ყველაზე მზარდი წყაროა, რადგან ტელეკომპანიებს ტრანსლაციის უფლება შარშან 24%-ით ნაკლები დაუჯდათ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ DELOITTE & TOUCHE-ის ანალიტიკოსის, ჯერი ბუნის აზრით, პრემიერ-ლიგის ფინანსური სტაბილურობის საწინდარია სწორედ ინგლისური ჩემპიონატისადმი ტელეკომპანიების მზარდი დაინტერესება. რაც შეეხება ხარჯებს, მათი დიდი ნაწილი – 255,5 მლნ გირვანქა სტერლინგი – ინგლისურმა კლუბებმა გასულ წელს ფეხბურთელების შექნასა და ზელფასებში გადაიხადეს. DELOITTE & TOUCHE-ის ექსპერტებმა დაინგარიშეს, რომ ეს 20%-ით მეტია



**მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის – „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფინანსური კეთილდღეობა მსაჯობა გუნება-განწყობაზე დამოკიდებული არ არის...**

წინა სეზონთან შედარებით. თუ ხარჯების ამ მუხლში ასეთი ტემპი შენარჩუნდა, ექსპერტების აზრით, რამდენიმე წელიწადში ყველაზე წარმატებული კლუბებიც კი, რომლებიც ფეხბურთელებს წელიწადში საშუალოდ 400.000 გირვანქა სტერლინგს უხდიან, შეიძლება გაკოტრდნენ კიდევ.

შემოსავლებიდან მორჩენილი 141 მლნ გირვანქა სტერლინგი პრემიერ-ლიგის მონაწილეებმა ახალი სტადიონების მშენებლობებსა და ძველების რეკონსტრუქციაში ჩადეს.

ხარჯებისა და შემოსავლების შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ პირველი მეორეს სჭარბობს: საერთო ჯამში ინგლისურმა კლუბებმა 38 მლნ გირვანქა სტერლინგით მეტი დახარჯეს, ვიდრე გამოიმუშავეს. მოგება მხოლოდ შეიძლება კლუბმა ნახა (მათ შორის რეკორდსმენია „მანჩესტერ იუნაიტედი“ 29,1 მლნ გირვანქა სტერლინგის მოგებით, ხოლო მეორე ადგილზეა „არსენალი“ – 21,2 მლნ გირვანქა სტერლინგით), ხოლო იმ ცხრა კლუბიდან, რომელთა აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე ბრუნავს, მხოლოდ ექვსმა შეძლო აქციონერთათვის დივიდენდების (საერთო ჯამში – 10,8 მლნ გირვანქა სტერლინგი) გაცემა. „დაზარალებ-

ბულებს“ შორის ლიდერობენ: „ნიუკასლი“ (18,9 მლნ ზარალი), „მიდლსბრო“ (17,4 მლნ). „ევერტონი“ (11,2 მლნ), „კოვენტრი“ (6,5 მლნ) და, რაც ყველაზე უცნაურია, ეროვნულ ჩემპიონატსა და ევროთასებზე წარმატებით მოასპარეზე „ლივერპული“ (7,8 მლნ).

თუმცა, გამოკვლევების ავტორები „წაგებას“ და „დანაკარგს“ არ უწოდებენ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არსებულ სხვაობას. როგორც ბუნი ამბობს, მთლიანობაში ინგლისურ ფეხბურთში კარგი მდგომარეობაა: „არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ პრემიერ-ლიგა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ეფექტური სასპორტო წარმოებაა“. თუმცა ციფრები თითქოს

ამის საპირისპიროდ მეტყველებს. რას ეყრდნობა DELOITTE & TOUCHE-ს თანამშრომლების ოპტიმიზმი? არგუმენტი რამდენიმეა. უპირველეს ყოვლისა, ანალიტიკოსები საფეხბურთო ინფრასტრუქტურაში ჩადებულ უზარმაზარ თანხებს ასახელებენ. მომავალში ინვესტიციები გაცილებით მოკრძალებული იქნება (თითქმის ყველაფერი, რისი აშენებაც შეიძლებოდა, უკვე აშენდა) და, რაც ყველაზე მთავარია, დახარჯული თანხები ძალეკე ანაზღაურდება. „სტადიონები – ეს მომავალი მოგების საფუძველთა საფუძველია“ – ამბობს ბუნი. მეორე: ანალიტიკოსთა პროგნოზით, უახლოესი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში კომპანიებისა და ტელესტუდიების პრემიერ-ლიგის თამაშებით დაინტერესება კიდევ უფრო გაიზრდება. ამას ისიც მოწმობს, რომ უცხოურ კორპორაციებთან კონტრაქტების გაფორმებაში მანჩესტერელთა მაგალითის სხვა კლუბებმაც მიბაძეს: პირველები „ლიდსი“ და „ტოტენჰემი“ აღმოჩნდნენ. მესამეც – ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კლუბებს შესწევთ იმის უნარი, რომ დაამუხრუჭონ ფეხბურთელთა ხელფასების ზრდა (რასაც ბიუჯეტის 50% მიაქვს): ისინი ხომ დღესაც ბევრ ფულს იღებენ.

**კონტინენტური გულუხვობა**

ევროპის დანარჩენი ოთხი წამყვანი საფეხბურთო ლიგის ფინანსური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა გაცილებით რთული აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ იტალიური, ესპანური, გერმანული და ფრანგული კლუბების ბიუჯეტები, ბრიტანულებისგან განსხვავებით, გამჭვირვალე არ აღმოჩნდა. მათ დამოუკიდებელ კომერციულ სტრუქტურებსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან ისინი მსხვილი სტრუქტურების თანმდევ ელემენტებს წარმოადგენენ (მაგალითად, ისეთს, როგორიც არის „იუვენტუსი“ FIAT-ისთვის. ან ლევერკუზენის „ბაიერი“ მოსახელე ფარმაკოლოგიური კონცერნისთვის). ეს კლუბები ხშირად მეპატრონეთა საყვარელ სათამაშოს წარმოადგენს, რომელსაც პოლიტიკასა და ბიზნესში თავისი რეპუტაციის გასამყარებლად იყენებენ, ფინანსური მოგება კი მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებშიც იგივე ტენდენციები შეინიშნება, რაც ინგლისში.

კონტინენტური კლუბების შემოსავლები არანაკლები ტემპით იზრდება: გერმანიაში წელიწადში 15%-ით, საფრანგეთში – 22% (ისევე, როგორც პრემიერ-ლიგაში), იტალიაში – 24%-ით, ესპანეთში – 28%-ით. ბუნებრივია, ამასთან ბრუნვაც იზრდება: იტალიის A სერიაში მან 850 მლნ დოლარს მიადწია, ესპანეთის ჩემპიონატში – 700 მლნ დოლარს, თუმცა ეს ციფრები ჩემპიონატების ფინანსურ მდგომარეობის სრულ სურათს მაინც ვერ გადმოსცემს: შემოსავლების ზრდასთან ერთად, ხომ ხარჯებიც არანაკლები სისწრაფით იზრდება.

გამოკვლევების შედეგად მოგება მხოლოდ ფრანგულ ლიგაში დაფიქსირდა, რომელსაც ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლები ბრუნვა აქვს. ეს „ღარიბი“ ჩემპიონატებისთვის დამახასიათებელია კლუბების სტრატეგიამ განაპირობა: მოთამაშეებს ძირითადად, ყიდვან და არ ყიდულობენ, იტალიაში, ესპანეთსა და გერმანიაში კი კლუბების დიდმა უმეტესობამ გასული სეზონი ზარალით დაასრულა: სახსრების 80% მოთამაშეების შექმნაში დაიხარჯა, რაც მომგებიან საინვესტიციო სფეროდ ნამდვილად არ ითვლება.

უფრო სამაგალითო სიტუაცია შეიქმნა ესპანურ კლუბებში, რომლებსაც მსოფლიოში ყველაზე „ხარჯიანე-

ბად“ თვლიან: მადრიდის „რეალის“ ვალეზმა წელს 100 მლნ დოლარს გადააჭარბა და, როგორც ამბობენ, ახალი ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებული ეკონომიის პოლიტიკა, საქმეს ვერ გამოასწორებს. ისევე, როგორც კერაფერს უშველის „ბარსელონას“ – რომლის ვალმა 80 მლნ დოლარს მიაღწია – ისეთი სუპერვარსკვლავის ტრანსფერი, როგორიცაა ბრაზილიელი რივალდო (ამ შეთანხმების შესახებ ჭორებმა ამჟამად პირინეები მოიცვა).

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, DELOITTE & TOUCHE-ის ექსპერტების დასკვნები იტალიური და ესპანური ფეხბურთის შესახებაც დამაიმედებელია. ყოველ შემთხვევაში, ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ კონტინენტურ ლიგებს გაკოტრება არ ემუქრებათ, თუ რა თქმა უნდა, ადამიანებმა, რომლებიც ამ ბიზნესით არიან დაკავებულნი, არ შეიცვალეს დამოკიდებულება ფეხბურთის მიმართ, ინგლისელების მსგავსად, რომლებიც ფეხბურთისგან წმინდა საფინანსო სარგებელს ელიან და არა გავლენისა და რეპუტაციის განმტკიცების საშუალებას.

**ევროპული მომავალი**

ექსპერტთა გაანგარიშებით, მალე კლუბების ხარჯები შემცირდება. ეს მაშინ მოხდება, როცა ძალაში შევა ევროკავშირსა და საფეხბურთო ფედერაციებს შორის მარტში ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ფაქტობრივად აუქმებს ფეხბურთელებზე სა-



**ფრანგული კლუბები მოთამაშეებს უმეგესად ყიდიან, ამიგომაც არ ბრწყინავენ ევროტურნირებში. სამაგიეროდ, ეროვნული ნაკრები როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ჩემპიონია**

ტრანსფერო გადასახადებს. ტრანსფერები კი „დიდი ხუთეულის“ ქვეყნების საფეხბურთო კლუბების ბიუჯეტების მეოთხედს შეადგენს. ამასთან, ანალიტიკოსები იმაშიც დარწმუნებულნი არიან, რომ მას შემდეგ, რაც ფეხბურთელები ნამდვილად თავისუფალ მუშახელად იქცევიან (რასაც მოითხოვდა ევროკავშირი), ხელფასების მომატებასაც მოითხოვენ: მათ ზომ რეალური არჩევანის საშუალება გაუჩნდებათ. კლუბების მეპატრონეებს დათმობებზე წასვლა და ჰონორარების გაზრდაც მოუწევთ.

მაგრამ თუ საშუალო დონის ფეხბურთელებზე ვილაპარაკებთ (ვარსკვლავები ყოველთვის ძვირი ეღირება – აცხადებს

DELOITTE & TOUCHE), მათი ხელფასების ზრდა დიდხანს არ გაგრძელდება და მაქსიმუმ 20-25%-ს მიაღწევს, რაც კატასტროფას არ ნიშნავს. როცა საფეხბურთო ბაზარი ჩამოყალიბდება, ხელფასებიც დარეგულირდება.

და მაინც, ყველაფერი არც ისე კარგად არის. ტრანსფერების გაუქმება მდიდარ კლუბებს აძლევს ხელს, ხოლო საშუალო და მწირი ბიუჯეტების მქონე გუნდებს ის სერიოზულ დარტყმას მიაყენებს: ჩვეულებრივ, მათ სასპონსორო სახსრების მოზიდვის საშუალება არა აქვთ და მოთამაშეთა გაყიდვით ირჩენენ თავს. და კიდევ ერთი გარემოება: ევროპული ფეხბურთის შესახებ გაკეთებული პროგნოზები შედარებით ხანმოკლე პერიოდს მოიცავს. უფრო შორეულ მომავალზე – თუნდაც თხუთმეტი წლის შემდგომ ფეხბურთზე საუბარს ანალიტიკოსები ერიდებიან, რადგან გაურკვეველია, პერსპექტივაში რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ტრანსფერების სისტემის გაუქმებამ. ზოგიერთი სპეკტიკოსი სრულ ქაოსს ვარაუდობს. ამ შემთხვევაში, ზომ არანაირი, თუნდაც ძირფესვიანი გამოკვლევები უბრალოდ საჭირო აღარ იქნება.



**ლორენსო სანსმა (მარჯვნივ) თავის მემკვიდრეს „რეალის“ პრეზიდენტის პოსტზე ფლორენტი-ნო პერესს 100 მლნ დოლარიანი ვალი დაუტოვა...**

უნივერსალში ჩემი უნივერსიტეტი საქმიანობის პერიოდში (ამის შესახებ „გზის“ №18-ში მოგიხსენებთ), „საავტომობილო ბიზნესსაც“ მოვიტყუე ხელი: ზოგჯერ ჩემი ინიციატივით, ზოგჯერ შეკვეთითაც, ჩამომყავდა ხოლმე მანქანები გერმანიიდან. ვერ გეტყვი, რომ ამით დიდი მოგება ვნახე, მაგრამ გერმანიიდან საქართველომდე 5-6 ქვეყანა უნდა გამოვევლო, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. სხვა თუ ამ გზას ერთ უკირაში გადიოდა, მე 3-4 უკირას ვანდომებდი: ვცდილობდი, ხელიდან არ გამეშვა ამა თუ იმ ქვეყნის დათვალიერების მანსი და ვახერხებდი უკიდვ... გერმანიიდან საქართველომდე წამოსასვლელად ორი მარშრუტი არსებობს: ერთი – ავსტრიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის გავლით. მეორე – იტალიიდან, ქალაქ ვენეციიდან, ბორნით საბერძნეთამდე და იქიდან, თურქეთის გავლით, საქართველოში. რა თქმა უნდა, ყველა აქ ჩამოთვლილი ქვეყანა, თავისებური ინტერესის აღმძვრელია, მაგრამ იტალია მათ შორის მაინც გამორჩეულია. ვენეციაში ჩასულმა გადავწყვიტე, უკიდვ 1000 უკიდომეტრი გამეველო ქვეყნის სამხრეთით და რომიც დამეთვალიერებინა...



# ქაქუცას სახელს იმ დღესაც დიდ პატივს სსუბენ

## აკაკი გეგენაძე

### რომი

რომი – ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც მარადიული ქალაქის „საპატიო წოდებას“ ატარებს. ეს საპატიო სახელი მას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში უწოდეს.

რომაელთა საყვარელი გამონათქვამი კი ასე უღერს: როდესაც მსოფლიო იღუპება, რომი დგას, მაგრამ როდესაც რომი ეცემა, მაშინ მთელი სამყარო იღუპებაო...

როგორც ანტიკური დროიდან არის ცნობილი, რომი ჩვ.წალ-მდე 753 წელს დაარსდა. 21 აპრილი ქალაქის დაბადების დღედ ითვლება, თუმცა რომაელებმა ოდითგანვე იცოდნენ, რომ ეს პირობითი თარიღია. არქეოლოგიური კვლევებიდან გამომდინარე, აქ ცხოვრება 130000 წლის წინათაც ყოფილა. რომის დაარსებას ძველ რომულსა და რემს უკავშირებენ. რომული და რემი ერთ-ერთი მეფის შვილები ყოფილან. სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის წინაშე მყოფმა მეფემ, შვილები რომ გადაერჩინა, ჯერ კიდევ

პატარა რომული და რემი მდინარე ტიბრს გააყოლა იმ იმედით, რომ მათ ვინმე უშველიდა. მართლაც, ბიჭები მწყემსმა ფაუსტულმა მაშინ იპოვა, როდესაც ისინი ძუ მგლის ბუძუს სწოვდნენ. მან წაიყვანა ბავშვები და გაზარდა. გავიდა დრო და ძმებმა დამპყრობლურ ომებს მიჰყვეს ხელი და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. შემდეგ, პალატინის მთაგორაზე ციხესიმაგრე ააშენეს და მის გარშემო ქალაქის მშენებლობა წამოიწიეს. ძმებს შორის შუღლი ჩამოვარდა, საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა, რომლის დროსაც რომული დაიღუპა. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ დროს დაერქვა ქალაქს რომი. არ ვიცი, რამდენად შეეფერება ჩემ მიერ მოყოლილი ამბავი ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ ყველა გიდი რომის დაარსებას ამ ამბით იწყებს...



რომში, სენიორ დინოს რესტორანში. „ფოიეს კედლიდან ჩოხაში გამოწყობილი ორი გოლიათი გადმოწყურებდა...“

სხვათა შორის, რომში პირველად ჩასვლისას ყველას ვურჩევ, ქალაქის დათვალიერებისას არ ისარგებლოს ავტომობილით: რომის ქუჩები საკმაოდ ვიწროა და ქუჩებში მუდამ „საცობები“ა. თუ აქ ავტომობილით მოხვდით, სჯობს, ის სასტუმროსთან გააჩეროთ (მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი ტურისტებით არის სავსე, რომში სასტუმ-

რო, ლონდონთან და პარიზთან შედარებით, გაცილებით იაფია) და უახლოეს ტურისტულ სააგენტოს მიაკითხოთ. დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩებით...

### პიცერიის მეპატრონე ჯოვანი

იტალიაში ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. მკვიდრი მოსახლეობისგან გარეგნობით დიდად არ გამოვიჩნეოდი და არავის ყურადღებას არ ვიპყრობდი. სადაც არ უნდა მივსულიყავი, ყველას იტალიელი ვეგონე და, ცხადია, თავიანთ ენაზე, ენერგიულად მომმართავდნენ ხოლმე. როგორც კი შეამჩნევდნენ, რომ უცხოელი ვიყავი, ეს ენერგიულობა უმალ ქრებოდა და ჩემდამი ინდიფერენტულობას ვგრძნობდი. შევამჩნიე, რომ იტალიელებს დიდად არ ეპიტნავენათ უცხო ენაზე ლაპარაკი და არც ამა თუ იმ ენის დაუფლების სურვილი ტანჯავთ, ამიტომ, რა კარგადაც არ უნდა ფლობდე ინგლისურსა თუ ფრანგულს, აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სამაგიეროდ, საკმარისია თითო-ოროლა იტალიური სიტყვა იცოდე, რომ მაშინვე მიიპყრობ ადგილობრივთა ყურადღებას და პატივისცემასაც დაიმსახურებ.

იმ სასტუმროს გვერდით, სადაც ვცხოვრობდი, პატარა პიცერია იყო. დილაობით, ხანამ ქალაქში გავიდი, იქ ვსაუზმობდი. სამი დღე, ხანში შესული, ჩასუქებული მამაკაცი საკმაოდ ზრდილობიანად, მაგრამ სრულიად უემოციოდ მემსახურებოდა. ხან ხურდას ვუტოვებდი, ხან გამოლაპარაკება ვცადე – ყველაფერზე „გრაციას“ მპასუხობდა და თავის საქმეს განაგრძობდა. ერთ დღეს, მისალმებისას, რამდენიმე სიტყვა იტალიურად ვუთხარი. თავიდან თითქოს შეკრთა – არ მოელოდა ჩემგან იტალიურის ცოდნას, მერე სრულიად შეიცვალა: გამოცოცხლდა და პირი ყურებად აეხა...

რადაც კიდევ ვიცოდელიე და პასუხად, მთელი მონოლოგი მივიღე, რომელიც, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ვერ გავიგე, თუმცა, იმას კი მივხვდი, რომ ჩვენს დამეგობრებას აღარაფერი შეუშლიდა ხელს. დარჩენილ დღეებში სინიორ ჯოვანი პიცის კეთებას მასწავლიდა, მე კი მას საჭაპურის შესახებ მოვეუთხრობდი.

ბოლოს შევთანხმდით, რომ მე სახაჭაპურეს გავხსნიდი რომში, ის კი, პიცერიას თბილისში... თუმცა ბიზნესი ვერ წამოვიწყეთ, მაგრამ ტელეფონით დღემდე ვუკავშირდებით ხოლმე ერთმანეთს...

### მცირე ისტორიული ექსკურსი

რომის ისტორიული თავისებურება იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ ქალაქში თავის დროზე საცხოვრებლად ყველა მსურველს უშვებდნენ. მოსახლეობა გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე იტალიის ნებისმიერ სხვა ქალაქში. რომი ყველა ჯურის ადამიანებით აივსო, რამაც განუკითხაობასა და აღვირახსნილობას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია ისიც, რომ იმხანად რომში თითქმის არ იყვნენ ქალები. მეზობელი ტომებიც არ აპირებდნენ თავიანთი ქალიშვილების უზნეო რომაელებზე გათხოვებას, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. სენატმა გადაწყვიტა დიდი დღესასწაული ჩატარებინა და მასზე მეზობელი ტომებიც მოეწვია. სტუმრები თავიანთ მეუღლეებთან და ქალიშვილებთან ერთად ჩამოვიდნენ. ზეიმის მიმდინარეობისას რომაელებმა ქალები მოიტაცეს, კაცები კი, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, დახოცეს, ხოლო დანარჩენები ქალაქიდან გააძევეს...

ყველაზე გრანდიოზული მშენებლობები რომში ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში დაიწყო, მაშინ, როდესაც რომმა ფართომასშტაბიან დამპყრობლურ ომებს მიჰყო ხელი. მარადიული ქალაქისკენ წამოვიდა აურაცხელი სიმდიდრე. ყველა მხედართმთავარი, რომელიც ომებში გამარჯვებას

მიღწევდა, აუცილებლობად თვლიდა, თავის სახელზე შთამომავლობისთვის დაეტოვებინა რაიმე ნაგებობა. მათ შორის უდიდესი ნაგებობა – ცირკი, რომს სერვიო ტულიომ აჩუქა. ფაქტობრივად, ეს იყო დიდი იპოდრომი, სადაც ათასგვარი შეჯიბრება იმართებოდა – დოღებით დაწყებული, გლადიატორების ბრძოლებით დამთავრებული. ისტორიკოსების ცნობით, ცირკი 400 000 ადამიანს იტევდა. თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ცირკმა რამდენჯერმე განიცადა რეკონსტრუქცია.

როცა რომი მჭიდროდ დასახლებული ქალაქი გახდა და ბევრი წყალი დასჭირდა, ქალაქში არხების გაყვანა დაიწყო. ყველაზე გრძელი და გამტარუნარიანი არხი მარცია რექს-მა ააშენა. არხის სიგრძე 90 კილომეტრს, სიგანე – 5 მეტრს, სიღრმე კი – 10 მეტრამდე აღწევდა...

IV საუკუნეში რომის იმპერიამ ოფიციალურად აღიარა ქრისტიანობა და ორ ნაწილად გაიყო. 404 წელს აკრძალეს გლადიატორთა ბრძოლები,



ხოლო 523 წელს კოლიზეუმის თამაშები (სადაც ემომრები ლომებსა და ვეფხვებს ებრძოდნენ).

იმპერატორ კონსტანტინეს დროს დაიწყო ქრისტიანული სალოცავებისა და ეკლესიების მშენებლობა. პირველი ეკლესია 143 წელს აშენდა. იმპერატორ კონსტანტინესავე ბრძანებით, 324 წელს დაიწყო წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობა. შენობა იმ ადგილას აიგო, სადაც მოციქული პეტრე სიკვდილით დასაჯეს. რომის გარეუბანში, კონსტანტინემ ააგებინა აგრეთვე წმინდა პავლეს ტაძარი. დღევანდელ რომში 3000-მდე ეკლესია-ტაძარია... ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველა აქაური არქიტექტურული შედეგისა და საერთოდ, რომის დასათვალისწინებლად, ადამიანს მთელი ცხოვრებაც არ ეყოფა.

### რომაელ „რეკეტიორებთან“ ქაქუცას შერკინების ამბავი

სასტუმროებს რომში რა გამოლევს?! მაგრამ ყველაზე საინტერესო ის სასტუმროებია, რომელშიც ანტიკური რომის ინტერიერია შენარჩუნებული, მომსახურე პერსონალსაც ზუსტად ისე აცვია, როგორც მრავალი საუკუნის წინ ეცვათ რომაელებს, სტუმრებს კი, იმით კვებავენ, რითაც ძველი რომაელები იკვებებოდნენ. თუ სურვილი გაგიჩნდათ, ძველი რომის სული შეიგრძნოთ, სწორედ ასეთ სასტუმროში უნდა დაბინავდეთ...

მაგრამ ახლა იმ ადგილზე მოგახსენებთ, სადაც, ჩემდა გასაოცრად და სრულიად მოულოდნელად, ქართული სული შევიგრძენი.

ჯოვანიმ რომ გაიგო, რომელი ქვეყნიდან ვიყავი, ემოციურად შეჰყვირა: რომაელები კარგად იცნობენ ქართველებს, ზოგიერთ აქაურ რესტორანში თქვენებურთა სურათებსაც ნახავო...

ჯოვანის მიერ „დაკვალიანებული“, ქალაქის ცენტრალურ უბანში, ბერგომის ქუჩის 23-ე ნომერში მდებარე პატარა რესტორანში წავედი. შესვლისთანავე, მოულოდნელობისგან პირი დავადე: ფოიეს კედლიდან ჩოხაში გამოწყობილი ორი გოლიათი გადმოყურებდა... გაურკვევლობიდან მამაკაცის ხმამ გამომიყვანა:

– ქართველი ხარ, ბიჭო? – „დამტვრეული“ ქართულით მომმართა ხანში შესულმა იტალიელმა.

– ჰმ... დიას... – გავეუღიე...

– შემოდი, ჩვენ ყოველთვის გვახარებს თქვენი მოსვლა, – ეს სიტყვები უკვე ინგლისურად მითხრა, ხელი ჩამომართვა და დარბაზში შემიყვანა.

ხანში შესული მამაკაცი – სენიორ დინო, რესტორნის მეპატრონე აღმოჩნდა. მან ასეთი ამბავი მომიყვა: დინოს მამა წყნარი, პატიოსანი მშრომელი კაცი ყოფილა. 20-იან წლებში იტალიაში ანარქია მძვინვარებდა. დინოს მამას პატარა რესტორანი ჰქონდა და, ასე თუ ისე, არჩენდა ოჯახს. იმავე კვარტალში რამდენიმე ქართველს ბინა ჰქონია დაქირავებული. მათ შორის ყოფილა საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი: ის საფრანგეთიდან მოწვევას ელოდა და რომში რამდენიმე თვე მოუწია ცხოვრება. ხშირად საუზმობდა ამ რესტორანში. ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველი სტუმრები დინოს მამას უფულოდაც დადგომიან თავზე და ნისიაც უქეიფიად, რაზედაც არასოდეს უთქვამს მათთვის უარი. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

ერთ დღეს ქაქუცას შეუშინევია, რომ რესტორნის მეპატრონე ძალიან უგუნებოდ იყო. კითხვას – რა გჭირსო, თავიდან დინოს მამა არ პასუხობდა, მაგრამ ქაქუცა არ მოეშვა და ბოლოს

მანაც ათქმევინა: თურმე „რეკეტიორი“ დინოს მამას ყოველთვის უმატებდა „ბეგარას“, ბოლო ვიზიტისას კი დამუქრებია კიდევ – თუ მოთხოვნილ თანხას არ გადაიხდი, რესტორანს დაგიწვავო... ქაქუცას უთქვამს, ეგ საქმე მე მომანდევო და დანიშნულ დღეს, თავის მეგობრებთან ერთად დაუწვია ქეიფი.

„...რეკეტიორი“ თავის შეიარაღებულ დაცვასთან ერთად, რესტორანში შემოვიდა. გამოჩნდა თუ არა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ამ დროს, ქაქუცა თავის მეგობრებთან ერთად, ქეიფობდა. გამოძალაველი პირდაპირ ქართველების მაგიდასთან მიიჭრა.

– თქვენ რა, არ იცით, მე ვინა ვარ? – ჩახლენილი ხმით იკითხა. ქაქუცა ღვინის ჭიქით ხელში, ფეხზე წამოდგა და იტალიელს გაუწოდა:

– აი, ჯერ ეს დამიღიე და მერე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ...

იტალიელმა ჭიქა გააგდებინა ხელიდან და თავისიანებს ქაქუცას დასჯა უბრძანა, მაგრამ ვინ აცალა?! ქართველებმა სასწაული დაატრიალეს და რამდენიმე წუთში გაკოჭილი „რეკეტიორები“ იატაკზე ეყარნენ...

ამ ამბის შემდეგ არა მარტო დინოს მამამ, არამედ მთელმა უბანმა ამოისუნთქა... ქართველი ვაჟკაცების ფოტოსურათებმა კი ბევრი რესტორნისა თუ მაღაზიის კედლები დაამშვენა...





აღდგომას ლიზ ჰერლი განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდა: ოჯახის წევრებთან ერთად ლონდონის გარეუბანში აპირებდა დღესასწაულის გატარებას, თანაც, როგორც იქნა, მიეცა საშუალება, ოჯახისთვის ახალი მეგობარი — გაილუტანი წარედგინა.

# ბელნიარაზით კაყოფილი ქალის როლი

იმხანად ლიზი ლოს-ანჯელესში იმყოფებოდა და მეორე დღეს ინგლისში აპირებდა გაფრენას, მაგრამ გვიან საღამოს, მის სახლში ტელეფონის ზარი გაისმა, რომელმაც მიიღო მისი გვემები თავდაყირა დააყენა. ჰიუ გრანტი ურეკავდა. ლიზი მას ერთი წელია, რაც დაშორდა. ჰიუ ემუდარებოდა ქალს, ერთი საათი მაინც დაეთმო „ძალიან მნიშვნელოვანი“ საუბრისთვის. ნაცნობი ხმის გაგონებისას ლიზს ცნობისმოყვარეობის, სინანულისა და იღუმალი იმედის გრძნობა გაეღვიძა. ქალმა ჰიუს 13 წელი მიუძღვნა, ის კი ძალიან უმაღური აღმოჩნდა. ყველა ზედმეტად თავდაჯერებული მამაკაცის მსგავსად, ჰიუს ეგონა, რომ ლიზი მის გარდა არავის სჭირდებოდა, თუმცა სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. გრანტთან განშორების შემდეგ, ლიზი ახალ-ახალ სასიყვარულო თავგადასავალში ებმებოდა და იმედოვნებდა, რომ ყოფილი სატრფო მის შესახებ ცნობებს გაზუთებდა და შეიტყობდა. ელიზაბეტ ჰერლის — მსახიობსა და ფირმა „ესტი ლაუდერის“ სახეს, ადვილად შეეძლო ყველა მოწონებული მამაკაცის მოხიბვლა. და ისიც ენთუზიანზით შეუდგა „კოლექციის“ შეკვებას: მსახიობი ტომ საიზმორი, უილ-სტრეიტის საქმოსანი ტელი ფორსტმანი, კლაუდია შიფერის ყოფილი მეგობარი ტიმ ჯეფერისი... მაგრამ ლიზისთვის ბევრად მნიშვნელოვანი იყო, თავად ჰყვარებოდა. კარგა ხნის მანძილზე ის თავს ირწმუნებდა, რომ გაილუტანი უყვარდა, თუმცა, უცებ აღმოაჩინა, რომ ლუტანში ყველაზე მეტად, ჰიუ გრანტის თვალების მსგავსი მეოცნებე ლურჯი თვალები ხიბლავდა.

რამდენიმე თვის უნახავ ჰიუ გრანტს ლიზი რომანტიკულ ადგილას, პალმბითა და მარადმწვანე ხეებით მდიდარ პარკში, სასტუმრო FOUR SEASONS-ის რესტორანში შეხვდა. მათ თბილად ისაუბრეს და ერთ დროს ორივესთვის საყვარელ ღია აუზს მიაშურეს. მზის სხივების ქვეშ მონებებრე გრანტმა, როგორც იქნა, ამოღებდა: „ლიზ, ვეთაყვა, მაპატიე! ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, მინდა ისევ ერთად ვიყოთ...“ ამ სიტყვებს ქალი ელოდა.

ლიზ ჰერლი ჰიუ გრანტს პირველად 1987 წელს გადასაღებ მოედანზე შეხვდა. გოგონა 21 წლის იყო, მაგრამ საკმაოდ კარგად იცნობდა შოუბიზნესის სამყაროს. ლონდონის გარეუბანში სკოლის დამთავრების შემდეგ, მან მაშინვე ჰოლივუდს მიაშურა, მაგრამ თავიდან მხოლოდ ეპიზოდური როლების მიღება შეძლო, შემდეგ ესპანურ ფილმში გადასაღებად მიიწვიეს და ლიზმა მილიონური პროდიუსერის ჯონ კერვულის მოხიბვლა გადაწყვიტა — ფიქრობდა, რომ ეს მის კარიერას წაადგებოდა. გრანტს კი ყურადღება მხოლოდ გადაღებების დასრულებისას მიაქცია, უფრო სწორად, ის ჰიუს ლურჯმა თვალებმა მოხიბლა, ასეთი თვალები არასოდეს ენახა...

პირველი შეხვედრა ალბათ ორივეს გაახსენდა, რადგან ჰიუ შეზღონგზე გაიჭიმა და ურთიერთობების გაწყვეტაში ლიზის დადანაშაულებაც სცადა.

ლიზ ჰერლიმ მშვენივრად იცოდა, რომ ჰიუ საუცხოო მსახიობი იყო, თავად კი... თუმცა, ფილმების — „სამსონი და დელილა“ და „ოსტინ პაუერსი“ შემდეგ, პრესა ჰერლის ნიჭიერ და დიდი მოპოვლის მქონე მსახიობად მოიხსენიებდა, თვით ლიზიმ

გადაწყვიტა, მსახიობის კარიერით არ შემოფარგულიყო.

ესპანური გადაღებებიდან დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ, ლიზმა და ჰიუმ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. ლიზი გამუდმებით უმტკიცებდა, რომ ის გენიალური მსახიობი იყო, თუმცა გრანტი იმ დროს სულ 26 წლის ლამაზი მამაკაცი გახლდათ, საშინლად ამბიციური, დამოუკიდებლობის გრძნობას მოკლებული და განებივრებული.

ლიზი შეჰპირდა ჰიუს, რომ თავისი „კავშირების“ მეშვეობით გამოჩენილ მსახიობად ჩამოყალიბებაში ხელს შეუწყობდა, ნებაყოფლობით იტვირთა მისი აგენტის მოვალეობა და პროდიუსერებთან აქტიური ურთიერთობა გააბა ჰიუსთვის როლების მოსაპოვებლად. ლიზი ჰიუს მანერების დახვეწას შეუდგა და პროდიუსერ-რეჟისორებთან გასაუბრებისთვისაც კი ამეცადინებდა...

ქალი აუხში გადაეშვა და თან ფიქრობდა, თუ რა უმაღური არსებები არიან მამაკაცები. სწორედ ლიზმა მოუპოვა გრანტს როლი ფილმში — „ოთხი ქორწილი და გასვენება“, როცა ჰიუ სცენარს იწუნებდა და ბუზღუნებდა. ფილმში მონაწილეობის შემდეგ კი ლიზი გრანტს ვეღარ ცნობდა: ის ქედმაღალი და მედიდური გახდა...

ლიზი აუხიდან ამოვიდა, შეზღონგებს მიუახლოვდა. „რამდენიც უნდა იწუნონო, სწორედ „ოთხი ქორწილი და ერთი გასვენება“ გახდა შენთვის წარმატების მომტანი. განა, ასე არ არის?“ — შეახსენა მან გრანტს.

— ასეა, — დაეთანხმა გრანტი, — თუმცა, ამით შენც გაიკეთე რეკლამა...

ამ ფილმმა მართლაც არნახული წარმატება მოუტანა ჰიუ გრანტს. ევროპამ და ამერიკამ ის მაშინვე გაიცნო და მამაკაცი ნამდვილი ვარსკვლავი გახდა, თუმცა ფორტუნამ ლიზსაც გაუღიმა და მოთმინების უნარის გამოვლენისთვის დააჯილდოვა.

1994 წლის მაისში ლონდონში გამართულ პრემიერაზე ლიზი და ჰიუ ხელიხელჩაკიდებულნი გამოცხადდნენ, პუბლიკა ალტაცებით შეეგება მათ. თვითკმაყოფილი ჰიუ იღიმებოდა და თავს უქნევდა ხალხს, სანამ არ მიხვდა, რომ მასზე მეტ ყურადღებას, მისი თანმხლები ლიზი იპყრობდა. ჰიუმ ახლავდა შეათვალიერა ჰერლის სამოსი და გაოგნდა: ლიზს მეტისმეტად მოშიშვლებული, მოტკეცილი კაბა ემოსა, რომლის უქეტეს ნაწილს ქინძისთავეები შეადგენდა. ჰიუ გვერდზე გადაა და მიხვდა, რომ მისი ტრიუმფის დღე, ლიზმა გამომწვევი სამოსითა და გარეგნობით დაჩრდილა.

პრემიერის საღამომ გრანტს დიდი ხნით გაუფუჭა გუნება. როცა ლიზის გარეგნობა ხალხმა ცოტა ხნით მიივიწყა და ვახშამს შეუდგა, მათ ხანში შესული წყვილი – ეველინ და ლეონარდ ლაუდერები მიუახლოვდნენ და ლიზს შესთავაზეს, წარმოედგინა „ესტი ლაუდერის“ სახე. ეს კი რამდენიმე მილიონი დოლარის

ლიზ პარლის სახლი ჩელსიში



ლოს-ანჯელესის პოლიციის განყოფილებაში გადაღებული „სამახსოვრო ფოტო“

ღირებულების კონტრაქტს გულისხმობდა. აი, ასეთი შემთხვევის წყალობით გახდა არცთუ ისე წარმატებული მსახიობი ლიზ ჰერლი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ფირმის სუპერმოდელი...

ამ ამბების გახსენებამ ჰიუ მეტისმეტად ააღელვა და წყვილმა ისეთი ხმაურიანი კამათი წამოიწყო, რომ უცებ მოიყარა თავი ხალხმა ღია აუზის გარშემო. ლიზმა გრანტის საყვედურები ვერ მოითმინა და ის ამბავი გაახსენა, რომელიც ერთ დროს თავად დიდსულოვნად „აპატია“: ჰიუმ მძიმედ გადაიტანა ლიზის წარმატება სამოდლო საქმიანობაში, მას ერჩივნა, გვედით არცთუ ისე ცნობილი მსახიობი ჰყოლოდა. ისინი ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ – იმ დროს, როცა ჰიუ ლონდონში იმყოფებოდა, ჰერლი ლეფილზე იყო შოტლანდიაში; როცა გრანტი გადაღებებზე ამერიკაში მიემგზავრებოდა, ლიზს საქმე პარიზში ჰქონდა. დიდი ხნით განშორებამ მათ ურთიერთობაში სექსუალური პრობლემებიც წარმოშვა. ჰიუს შეეძლო, ნაზი და მოსიყვარულე ყოფილიყო, მაგრამ ჭირვეულობა და სიჯიუტე ყოველთვის სჯაბნინდა მის კარგ თვისებებს.

ლიზის ერთადერთი მანუგეშებელი და მრჩეველი მისი ძველი მეგობარი, ამერიკელი მილიონერი ჰენრი დენტ-ბროკლჰერსტი იყო, რომლის ლოს-ანჯელესურ აპარტამენტებში ლიზი თავს დიასახლისად თვლიდა. ყოველი სტუმრობისას სახლის მისთვის განკუთვნილ ნაწილში საჩუქრებს პოულობდა: ძვირფას თეთრეულს, საოცრად მდიდრულ და

ძვირად ღირებულ სამოსს. ჰენრის კარგი გემოვნება ჰქონდა, ლიზს უზარმაზარ თანხებს ასარჯავდა და ვინ დაიჯერებდა, რომ ისინი საყვარლები არ იყვნენ?! მათ ერთმანეთთან სექსი არ აინტერესებდათ, ერთად დაჯდომა, საუბარი, დაღევა და დროის გატარება ხიბლავდათ. ზოგჯერ ლიზი ფიქრობდა, რომ არ იქცეოდა სწორად, როცა ჰენრის მისი და გრანტის ინტიმურ ურთიერთობაში ახედებდა, მაგრამ ვინმესთვის ხომ უნდა გაენდო!

სწორედ ჰენრიმ ჩააგონა აზრი, შეემოწმებინა – ხომ არ სარგებლობდა გრანტი მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მომსახურებით. ლიზს ამის დაჯერება არ შეეძლო, ერჩია ეფიქრა, რომ ჰიუს უბრალოდ, სხვა ქალი ჰყავდა. ჰენრი არ შემცდარა: დროდადრო ჰიუ მართლაც სტუმრობდა საროსკიპოებს. ეს აღმოჩენა ლიზმა ჰიუს არ გაანდო, მაგრამ 1995 წლის 27 ივნისს მის ჰერლის პოლიციელმა აცნობა, რომ მისი მეგობარი ლოს-ანჯელესის სანსეტ-ბულვარზე „საზოგადოებრივ ადგილას ჩადენილი ამორალური ქცევისთვის“ დააკავეს. მანქანამ, რომელშიც გრანტი და შაკანიაანი მძავი დივანი ბრაუნის ერთობოდნენ, პოლიციელთა ყურადღება შეგნიდან გამოსული ხმებით მიიპყრო. მეორე დღეს ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, ყველა გახეთი „დაამშვენა“.

ორიოდე დღის შემდეგ შემინებელი, დათრგუნვილი და უბედური ჰიუ გაათავისუფლეს და ის ლიზის წინ მათ ვესტმინსტერულ სახლში წარდგა. სინამდვილეში ლიზს ჰიუ ეცოდებოდა, ქალმა ყველაფრის მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა და მეორე დღეს პარიზში გაფრინდა. ჟურნალისტები ჰერლის ყველგან დასდევდნენ, ის კი კომენტარისგან თავს იკავებდა. გარკვეული დროის შემდეგ ლიზმა



პარიზიდან ჰიუს დაურეკა და აცნობა, რომ შექმნილი მომხდარი დაევიწყებინა. ჰიუმ მადლობა გადაუხადა აკანკალეული ხმით და იდეალური ქალი უწოდა...

ახლად მიხვდა ლიზი, რომ „დიდსულოვანი პატიება“ მამაკაცებს არ ესაჭიროებათ. წვეილი კვლავ ჩხუბობდა, მათ ირგვლივ ცნობისმოყვარეთა ბრბო იზრდებოდა.

— მადლობა უნდა მითხრა, რომ არ მიგატოვებ, როცა გავიგე, რომ უნაყოფო იყავი! — მიახალა გრანტმა.

— ნამდვილი ნადირალა ხარ! — ეინალამ ტირილი დაიწყო აღფრთოვანებულმა და განაწყენებულმა ლიზმა: ეს მართლაც აკრძალული ილეთი იყო.

... იმის შემდეგ, რაც დევიან ბრაუნმა, 150 ათას დოლარად, კინოვარსკვლავთან სექსის წვრილმანები მსოფლიოს გაუშვილა, ჰიუს შელახული იმიჯის აღდგენა დასჭირდა. მან და ლიზმა პრესას გაანდგეს, რომ შვილების ყოლა გადაწყვიტეს. ორი წლის განმავლობაში ლიზს ჟურნალისტები არ ასვენებდნენ. ქალმა ლონდონის საუკეთესო კლინიკაში გაიარა გამოკვლევა და სამწუხარო პასუხი მიიღო: მას ბავშვის გაჩენა არ შეუძლია. ამ ამბავმა ჰიუს შეაძრწუნა და საყვარელ ქალს ყველანაირად გვერდში დაუდგა: დაამშვიდა, დასასვენებლად კანარის კუნძულებზე წაიყვანა, ბეწვის მანტო და ბრილიანტებით მორჭვილი ყელსაბამი უსასხოვრა...

კამათი კი გრძელდებოდა, გრანტი ლიზის შეურაცხყოფას არ წყვეტდა, ქალი თავს ძლივს იკავებდა, რომ მუშტებით არ დასხმობდა თავს...

ორიოდე წლის წინ, ლიზის წინადადებით, წყვილმა ერთობლივად შექმნა პროდუქსიული ფირმა „სიმიენ ფილმი“. ფილმმა — „ციხფერთვალა მიკი“, წარმატება მოიპოვა და ჰიუსზე კვლავ ალაპარაკდნენ. ეს ისევე ლიზის დამსახურება იყო, ჰიუს კი ჭირვეულობდა, გადაღებებზე ივანიანდა. მათი ინტიმური ცხოვრება საერთოდ მოიშალა და ერთხელ, შინ ადრე დაბრუნებულ ლიზს, ბინაში გრანტთან ერთად ჟურნალის რედაქტორი ზოუ მანცი დახვდა. მართალია, ისინი ჩაცმულები იყვნენ და არავითარი „კრიმინალის“ ნიშანი არ ეტყობოდათ, მაგრამ ლიზი ყველაფერს მიხვდა. მან ჭეშმარიტი ინგლისური თავაზიანობით შესთავაზა სტუმარს ჩაი და სახლიდან გააცილა, შემდეგ მიბრუნდა და ცივად განუცხადა ჰიუსს, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა...

ლიზმა ჰიუს შეპასუხება ვეღარ აიტანა და ცემა დაუწყო. ირგვლივ სტვენა, შემა-

ხილები და აპლოდისმენტები გაისმა. ხალხმა პოლიციის მოყვანაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ლიზი დროულად მოეგო გონს, თავისი ნივთები მოკრიბა და იქაურობას გაეცალა.

ლიზი ჩუმად სლუკუნებდა და საჭესთან მჯდომი, ლოს-ანჯელესის ქუჩებს ნელი სვლით მიუყვებოდა. ის შეურაცხყოფილი იყო, მაგრამ ამავე დროს რაღაც სიმსუბუქესაც გრძნობდა: 13 წლის მანძილზე ჰიუმ პირველად შეძლო ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა. სანამ ერთად იყვნენ, კაცი ღუძდა და ისე იქცეოდა, თითქოს მათ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ლიზი გაილუტანთან ერთად თავის საყვარელ რესტორანში იჯდა და გაის კომპლიმენტებს ისმენდა. მას ოფიცინტი მიუახლოვდა და უთხრა, რომ ვიღაც ახალგაზრდა კაცი კითხულობდა. ეს ჰიუს გრანტი აღმოჩნდა. მან ლიზს პატიება სთხოვა და შესთავაზა, ქორწილის დღე დაენიშნათ.

ლიზი გაოცებული შესცქეროდა მას: ერთად გატარებული ხანგრძლივი დროის მანძილზე, მას პირველად დასცდა სიტყვა ქორწინებაზე. მაგრამ ლიზი მიხვდა, რომ ჰიუს ეს ისევე სახელის მოსახვეჭად, წარმატების მისაღწევად სჭირდებოდა.

— უმჯობესია, ურთიერთობა ქალბატონ ბრაუნთან გააფორმო, — მშვიდად ურჩია ლიზმა და რესტორანში დაბრუნდა.

გრანტის ვიზიტმა ლიზი მაინც ააფორიაქა. მას ენატრებოდა ჰიუს, მაინც სჯეროდა, რომ ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელიც სჭირდებოდა.

... ლიზი საქმიანად მიაბიჯებდა ლონ-

დონის ცენტრში და ჰიუსთვის საჩუქარს არჩევდა, ისინი მაინც შერიგდნენ და საღამოს სტუმრები ჰყავდათ — შერიგებისა და ხელახალი ნიშნობის აღსანიშნავად. ყველაფერი მარტივად მოხდა: ლიზმა ჰიუს დაურეკა და თანხმობა მისცა, ყველაფერი თავიდან დაეწყო. ქალმა საჩუქარი სექსუალური სათამაშოების მაღაზიაში შეარჩია, კმაყოფილი გამოვიდა, წიგნების მაღაზიიდან ცნობილი პროფესორის, კროულის „შეყვარებული და დაქორწინებული წყვილებისთვის განკუთვნილი ფსიქოლოგიური ტესტები“ შეარჩია და სახლისკენ გაემართა.

სტუმრების მოსვლამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი. გრანტი უკვე შინ იყო. ლიზმა მას საჩუქარი მიართვა, თავის მხრივ, ჰიუმ საყვარელ ქალს ათასფურცლიანი კულინარიული წიგნი უსახსოვრა.

აბაზანაში ნებეზრობისას ლიზი ტესტების წიგნს ათვალიერებდა და, მოულოდნელად ამოკითხა: სექსუალური საჩუქრები იმის მანიშნებელია, რომ ქალს მამაკაცი მეტად უყვარს, ვიდრე მამაკაცს — ქალი, ხოლო კულინარიული წიგნის ჩუქება მამაკაცის პროზაულობასა და პრაქტიკულობაზე მეტყველებს. ურთიერთობის შესაძლო განვითარების პერსპექტივამაც ლიზი არცთუ ისე მოხიბლა: ტესტის მიხედვით, მათი ურთიერთობა 2001 წლის იქით აღარ გაგრძელდება...

გუნება საბოლოოდ წაუხდა. ინანა, ეს სულელური წიგნი რომ შეიძინა. მერე ამოიოხრა და აბაზანიდან ამოვიდა: ჩაცმისა და სტუმრებთან გასვლის დრო იყო — მას ახლად მოპოვებული ბედნიერებით კმაყოფილი ქალის როლი უნდა ეთამაშა...

**პარტნიორი ლიზიმაც გამოიცვალა, გაილუტანთან ერთად უიმბლდონის საჩოტბურთო ტურნირზე**





შუქობამ და უფულობამ საკუთარ ბინებში ჩაკეტა მეზობლები.

მაღალ კორპუსებში ხომ სულ გამოიკეტეს კარები.

ჩვენთან, „კომუნალკაში“ ცოტა უკეთესადაა საქმე. ეზოში ონკანი გაფუჭებულია, მაგრამ მაინც ხვდებიან ერთმანეთს მობინადრეები – კიბეზე, საერთო აივნებზე. მზიან ამინდში ძელსკამზე სხედან მოხუცები.

ჩვენ და პელო დეიდას ლამაზრიკულებიანი მოაჯირით შემოკავებული ზიარი შუშაბანდი გვაქვს, საერთო გაზქურა, ონკანი და ზოგჯერ ბიუჯეტიც. ირგვლივ ყველა მობინადრე მორიგდა და დათითოვდა –

ან თვითონ გავიდა სახლიდან, ან სხვაგან უყიდა ბინა კედლის მოზიარეს. დედაჩემი კი ლამის შეეზარდა კარის მეზობელს, თითქოს გარეგნულადაც დაემსგავსნენ ერთმანეთს. მეც ნამდვილ დეიდად ვთვლი პელო დეიდას.

დედაჩემივით, ისიც ადრე დაქვრივდა, ოღონდ ქმარი ბანდიტებმა მოუკლეს. საქმე გაუნსნელი დარჩა და ამას უშვილობაზე ნაკლებად არ განიცდიდა. მარტოდ დარჩენილს, წუწუნ არ უყვარდა. დედა ამბობდა, მეუღლის სურათთან სანთელს აანთებს და საათობით ტირისო. მკვლელის ოჯახი არასდროს დაუწყევლია. ასე იტყოდა, იმათი რა ბრალაია, პატრონმა თუ სული წაიწყმიდაო. დისშვილს ახსენებდა ხშირად, იმან უნდა მიპატრონოს და დამმარხოსო.

დილაა. ისევ მეჩქარება, დღეს სარედაქციო მივლინებაში მივდივარ. გაზქურასთან უცხო ყმაწვილი შევამჩნიე. სწრაფად ჩავიცვი.

– პელოს ძმისშვილია, – დამამშვიდა დეიდამ, – ბაბუამისი ორმოცდაოთხში თარაქამების გასახლებას გადააყოლეს. მეზობელ

სოფელში ოჯახის მეგობარი დაცვა, ამ პატიოსან კაცს არავინ აუწიოკებიაო. რომ არ დაიშალა, ვაგონთან მიახვრიტეს. მეზობლებიდან ბევრმა თანაუგრძნო, ბევრმაც გაამტყუნა ცხონებული. შვილსაც ცერად



ლევან თოფურია

# პიერო

უყურებდნენ, ამ ბიჭის ჯავრი კი აღარავისა აქვს.

– მე პიერო მქვია, პელო დეიდასთან ჩამოვედი. – აშიშინებული ჩაიღინის უკან დადგა და ხელი გამომიწოდა.

– გამარჯობა, – შევათვალაიერე. ცივა, იმას კი მკერდი გაუღელავს. საშუალო სიმაღლისაა, შავგვრემანი, ულვაშიანი. დაკუნთულ მკერდსა და მკლავებზე ეტყობა, სოფელში მუშაობა არ დაჰკლებია. იქნებ სპორტსმენიც იყო.

– თქვენ უკვე გიცნობთ, ჟურნალისტი ხართ, არა? დაფასებული სპეციალობაა. გუშინ სადამოს გელოდით. ლორი ჩამოვიტანე ადიგენიდან, ყველი, კარაქი... ჩაი ხომ არ დაგველია?

– გმადლობთ, სადამოს იყოს, ახლა მაგვიანდება... ხომ იცით სამსახურის ამბავი.

გვიან ღამით დავბრუნდი რაიონიდან. პიერო აივანზე იჯდა და პატიოსნად მიცდიდა. სწრაფად გამოიტანა მაგიდა. ლორი და ყველი

ყველამ გავსინჯეთ. არაყიც მივაყოლეთ. სასმელმა პიერო აალაპარაკა. ჯვარის ამბები მოჰყვა, სპორტის ოსტატი გამხდარა სამბოში, მაგრამ სოფელს ეს მაინცდამაინც არ აღელვებს – გართობისათვის არც სცალიათ და არც არის საშუალება. ბინდის შემდეგ კვდება სოფელი. ჭრაქით აგნებენ ერთმანეთს. ერთ-ორ ხელ ჯოკერს ითამაშებენ და დანომრილ სადღეგრძელოებს ამბობენ. პიეროც თავის ადიგენს ადღეგრძელებს და ჰყვება:

– ზედ საზღვართან, მაღალ გორაკზე რკინის ვეებერთელა ჩარჩოში სტალინის თავია ჩახატული. ადრე დენი სულ იყო და ღამდამობით ნახატზე იმდენი „ლამპოჩკა“ ინთებოდა, გადამით თურქების სოფლებშიც კარ-

გად ჩანდა. არ ვიცი, იმათ სიამოვნებათ თუ არა, ჩვენ კი ყოველ დღესასწაულზე იმ გორაზე ავდიოდით და

კაცები ღვინოს სვამდნენ. თბილისის „დინამო“ ვეროპის თასი რომ აიღო, მთელი სოფელი გაგიჟდა, სუყველა ბლაოდა და ერთმანეთს კოცნიდა. მერე დიდიან-პატარიანად აღმართს შევეუდექით და გაჩახჩახებული სტალინის სურათთან ვიქეიფეთ. ყველა ფეხბურთელი ვადღეგრძელებო, ბოლოს ჩვენი ბელადის მოსაგონარი შევსვით. ეჰ, კარგი დრო იყო... ახლა იმდენი ანთებული „ლამპოჩკა“ რომ მოგვცა, ფოცხოვს აქეთ ვიყოფინებდით. მეც „სვარკაზე“ ვიმუშავებდი და ორ კაპიკს გავაკეთებდი... – შეჭიკჭიკებული პიერო, პელო დეიდამ თავის ოთახში მოასვენა, თვითონ კი წინკარში დაწვა.

საერთოდ კი, პიერო არ სვამდა და ცოტას ლაპარაკობდა.

კარგა ხანს ეძებეს სამუშაო. პელო დეიდას გავლენიანი ნათესავი ჰყავდა, იმასთან იყვნენ რამდენჯერმე. გავიდა კიდეც ცოტა ხანი და პოლიციელის ფორმაში გამოწყობილმა „თანამშრომელმა“ სხარტად

ამორბინა კიბე, აივანზე ბაკუნით გაიარ-გამოიარა — აშკარა იყო, ჩვენს შეფასებას ელოდა.

— მშვიდობით გეგლოს, შვილო, ამ ხულიგნებით სავსე ქვეყანაში, — ოდნავ აუკანკალდა ხმა დედაჩემს. გახამებული ჯიბე გამოუწია და შიგ ქალაქის ფული ჩაუღო. პიერომ იუარა, მაგრამ დედამ არ დანება: — წესია, შვილო, ასეთი, ავი სული არ მოგეკარება.

— ო, პიერო უკვე პოლიციის თანამშრომელია. დოღზე თუ უკრავ? — ვერ მიმიხვდა.

— ასე მიჯობს. ფესსაცმელი და ტანსაცმელი უფასო მექნება. ჩამოსულ კაცს ვეღარ დამჩაგრავენ. მერე კიდევ, დროთა განმავლობაში „ზვანია“ მაინც მომემატება, საქმესაც მომცემენ, — გვერდით გამიხმო და ათი ლარი მთხოვა, ბიჭებთან სამსახურის დაწყება უნდა დავასველო.

პელო დეიღამ დისშვილი კარებში სამჯერ დაატრიალა და ეზოს კარამდე მიაცილა.

ახლა უკვე პიეროს ვეღარ ვხედავთ. ეტყობა, ღამით მორიგეობს. დავალებებზე გადის. ზაფხულის ბოლოს სამხრებზე, ორი განივი ხაზის ნაცვლად, ერთი გრძივი, ყვითელი დაიკრა და ხმაში რიხი შეეპარა. ბიძაჩემის მკვლეელი უნდა ვიპოვო, საფლავიდან ამოვიღებ და დედაჩემს მაინც გავახარებო. უღვაშებიც მოიპარსა. სმას უმატა. მთვრალი სულ მოალებდა ხოლმე პირს: „სადაც შევალთ, ყველაფერს უფასოდ ან ნისიად ვიღებთ. ჩვენი შიში და რიდი აქვთ. ბიჭები აქა-იქ წილშიც არიან. უბანში უფასოდ მისხამენ ბენზინს, პროფილაქტიკაც არაფერი მიჯდება...“

— თქვენი სამინისტროს ბობოლებების „კალონკიდან“ თუ ჩაისხამ?

— ჩვენიანს ხომ არ ჩავეზიარებით. იმ კაცმა რომ ააშენა, ხომ უნდა ამოიღოს? სხვასაც უნდა გაუნაწილოს, ასეა წესი. ქვეყანას ვერ ამყოფინებს, მაგრამ თავის წრეს აჭმევს, კლიენტებს კმაყოფილი ჰყავს. აგე, ნახე დიდუბის სანაპიროზე რა დაბალი ფასი ადევს კაჭკაჭას სალიარკას. ოცი თეთრი დაუწია ზემო მეზობელს, გადასახადს რომ

იხდის, იმას.

— ოცი თეთრი როგორ დაუწია? ეტყობა, კონტრაბანდული ბენზინია. ცარიელი ბიუჯეტიდან ბიძამისი პენსიას რომ ვერ მიიღებს და ბიძაშვილი ხელფასს, ის კარგია?

— ეე, ბიუჯეტი უთავსახურო გობია, ყველა მუშტით ბეგვავს და ბლუჯა-ბლუჯა გააქვს. კაჭკაჭას გადახდილსაც წაიღებენ. ამიტომ აღარ იხდის ის კაცი და არის ჩუმაღ, თავისთვის. მე შენ გეტყვი, „შავები“ მიეკარებიან თუ საგადასხადოს ავენტები. შესამოწმებლად თუ მიუვლენ, მეორე დღეს სუყველას დაიჭერს კაჭკაჭა. აი, ზემო მეზობელი კი ვერ დაიჭერს. დიდ ზარალში ჩადგა, ბაზაში ასაღებ ფასზე ნაკლებად ყიდის, რომ ჩქარა გაიცალოს ხელი, მაგრამ მაინც ქვემით გაურბის კლიენტი. მოკლედ, ვისაც შნო აქვს, ის შოულობს. აბა, თავის ცოლ-შვილს მოაკლებს და უშნოს აჭმევს?

— პოლიციის ყოფილა ეს სახელმწიფო...

— სხვებიც კარგად ჭამენ. ღმერთმა ყველას სხვადასხვა მარიფათი და სხვადასხვა საქმე მისცა. თქვენ აკრიტიკებთ, ჩვენ ფულსა და საქმეს ერთად ვაკეთებთ. რა, არ გვეკუთვნის? ჩვენ ტყვიას ვუშვერთ შუბლს, თქვენ კი წერო და მერე კითხულობთ. აბა, რას მიაღწია, ის „ერთი საათია“ თუ რა ჰქვია, სულ რომ ეძებს და იქექება, ვინმე დაიჭირეს? მაგის წამყვანი როლის და რით მოდის სამსახურში, გვერდით თანამშრომელს არ სცოდნია. ეს თუა საქმე, მითხარი. ეძებოს ახლა სამართალი — რუსთაველი ჩვენთან, სამცხეშია დამარხული ცხრაასი წლის წინათ. ან შენ, პოლიციური სახელმწიფოაო, რომ მეუბნები, რისი თქმა გინდა? ყველა სახელმწიფოში აფასებენ პოლიციელებს, ჩვენ გარდა. აქ არც ხელფასს გვაძლევენ და ხალხიც იბოღმება. ძაღლის სისხლი გაქვთ გადასხმულიო. აღარც ჩვენ ვინდობთ, თუ საქმე ითხოვს, შარზეც მივდივართ. მთვრალს ხომ „გავპარსავთ“ და „გავასუფთავებთ“ „კუტუსკაში“, ფხიზლებსაც კარგად ვაჩერებთ, საბუთებს ვთხოვთ და წინასწარ ვიცით, პასპორტი თან არ ექნებათ,

განსაკუთრებით ახალგაზრდა ბიჭებს. განყოფილებაში მიყვანილს, ფიზიკური შეურაცხყოფით რომ დავემუქრებით ცხრა კაცი, დედიკოს ბიჭებს კი არა, კაი ვაუჟაცებსაც მისდით ფერი. თუ „შიშკა“ პატრონს ვერ დაურეკა, ან იქვე „გაფიცვნიტ“, ან სახლიდან მოვატანიებთ. იგივე ხდება მეტროშიც. ძან ხშირად არა, მაგრამ მაინც... შენ რა დაგიმალე, პირველად მრცხვენოდა, მაგრამ მივეჩვიე.

— ესე იგი, ყოფილა პოლიციური სახელმწიფო!

— შენ უკვე პოლიტიკურში გადადიხარ. რა ჩემი საქმეა პოლიტიკა? შენ გვონია, მსიამოვნებს მიტინგების დარბევა? კაცი უზენაესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე იყო, ახლა კი ხელებს ვუგრებს და ჭკუას ვასწავლი მე, პიერო! რას იზამ, გიბრძანებენ და უნდა შეასრულო. თუ არ შეასრულებ, დაგითხოვენ და მერე ვის უნდა პოლიციაში გაფუჭებული კაცი — კაცსაც კი აღარ გეძახიან!.. გვონია, არ შემერცხვა იმ დღეს, „ზვიადისტების“ აყვანისას აწყვეტილი ღილი რომ დაგიბრუნა პოლიციელმა? ჩვენებს ვუთხარი, ჩემიანია და ხელი არ ახლოთ-მეთქი, თორემ შენც ავტობუსში შეგტენილენ შენი ფოტოაპარატიანად. ივლიდი მერე ფეხით საგარეჯოს მინდვრებში. — უცებ სახე დაუწყინარდა პიეროს: — კი არ გამადლი, ასეც უნდა მექნა... ძაღლებს რომ გვეძახიან, ის მწყინს ყველაზე მეტად...

— ეგ არაფერი. ამერიკაში პოლიციელებს მაძებარ ძაღლებს ეძახიან. რუსეთში „მენტებს“ და „მუსორს“. მთავარია, ადამიანი არ შეგძულდეს, პიერო, მაშინ საკუთარ თავსაც აღარ სცემ პატივს, ვეღარ დააფასებ...

— მე ვიცი ჩემი თავის ფასი. სამსახურშიც დამაფასეს. პოლიციის უმაღლესში შემაქვს საბუთები და რაიონში თუ დაებრუნდი, დიდ თანამდებობას მომცემენ. მერე ჩემთანაც მოვლენ ჟურნალისტები ინტერვიუს ასაღებად. — რიხი დაუბრუნდა ხმაში პიეროს.

ოქტომბერში მთვრალმა სამსახურის „მოსკვირი“ ავტობუსს დააჯახა და მსუბუქად დაშავდა. იმდღე

ნი მოახერხა, ინსპექციას ნახაზი იქვე შეაცვლევინა. რემონტის ხარჯიც ავტობუსის მძღოლს აჰკიდა. მერე ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და საქმე ჩაფარცხა. ორკვირიანი შევბუღებით ასპინძაში წავიდა. იქ ძველ „ჩეკისტს“, ბიძის თანაკლასელს შეხვდა. ბევრი ილაპარაკეს. დაბოლოებული გამობრუნდა უკან.

პელო დეიდა კმაყოფილია... დაზამთრებამდე პიერომ ბინა გაარემონტა. კედლების შეთეთრება და ფარდების გამოცვლა რემონტად ბარემ არ ითვლება, მაგრამ დეიდას მეტზე პრეტენზია არა აქვს. ცოტა მოგვიანებით პიერომ აივანზე გამავალი ორი ფანჯარაც შეცვალა და ახლა ისიც კმაყოფილია. შეიფერა კიდეც. სახლში მეტწილად „კანარეიკით“ ბრუნდება. ხვნეშითა და გასაღებების ჩხრიალით ამოდის კიბეზე. არა, მანქანა ჯერ არ უყვია, ალბათ სამორიგეოს გასაღებებია. დავიწროებული მუნდირი თეძოზე დამაგრებულ რეეოლვერს ვეღარ ფარავს. ბუღეზე ხშირად იღებს ხელს. ღირსების გრძობით აღვსილი დააბოტებს. ადრე ეზოს ბიჭებთან პოლიციელის ფორმით ჩასვლა რცხვენოდა, ახლა გაფენილ სარეცხს აღარ ეფარება. ეზოს შუაგულში გადაჭრის და მეზობლებს მხედრულ სალამს აძლევს. ერთხელ ვიდაცამ დაიძახა, ჩვენი კუკარაჩა მოდისო. პიერო გაბრაზდა.

— კუკარაჩა კინოშია მართალი და გონიერი, თორემ ცხოვრებაში ვინ ლაპარაკობს ასე? — ჩემთან იოხებდა გულს. — რომელ ვაჟკაცს მოყავს სხვასთან ნაწოლი ქალი? ვის უყვარს უბნის ინსპექტორი? მის დანახვაზე „კრისტალი“ კაციც წუხს, რამ მოიყვანა ეს მამაცხონებულიო. ეგ შენი დუმბაძე ლამაზად კი ჰყვება პატიმრებზე, მაგრამ მოდით და ნახეთ, როგორები არიან სინამდვილეში, ჯერ როგორ ვაჟკაცობენ და მერე, ფერდებს რომ ჩაუღლეწავ, როგორი დამჯერი „ცუციკები“ ხდებიან. მე „თეთრი ბაირალები“ არ წამიკითხავს, თეატრის დადგმა ვნახე ტელევიზორში. როგორ ვინატრე, ერთი ის ლიმონა მომცა სამორიგეოში, კარგ ლექსებს ვათქმევინებ-მეთქი. ისე დავამუშავებდი, შენი მოწონებული. ეეხ!

— პიერო ხელის მტევნებს იმტვრევს. კიდევ რაღაცის თქმა უნდა, თითქოს რაღაც აწუხებს. პელო დეიდა ეხვეწება, დაწეო, იმას კი არყით სავსე გრაფინი გამოაქვს.

— პატიოსანი კაცის სადღეგრძელო შევსვით, ბატონო ჟურნალისტო. ქრისტემ ზომ თქვა, არ იქურდოო. ესე იგი, ვინც ქურდობს, ის ქრისტიანი არ არის. ზომ ხედავ, მეც კუკარაჩასავით ლაპარაკი დავიწყე... შეგხვდება ვითომ კაცი, ვითომ თბილისელი, ძველი უბნის ძველი ბიჭი, „ბლატნი“ წინწამოწეული ცხვირ-პირით ისე კევივით წელავს სიტყვებს, თითქოს ეზარება ლაპარაკი, ხელებით ფორიაქობს და ბოზიშვილი ვიყო... გესმის? ჩემი დედაო, ხალხში ყვირის! ბიჭო, რაღა შენ, მე ვიზამ ამ საქმეს, ნაკლები ცოდვია-მეთქი და მოვდე გუშინ... დიდი კაცის შვილი ყოფილა. გაასწარი, სანამ დროაო — მითხრეს ჩვენებმა. მე ჯარში ამ გინებისთვის ომები მქონდა, კარცერში ვიჯექი, ესენი კი... უუხ, ასეთი თბილისელები! დაჭამენ ეს სირისტიანები ერთმანეთს, სხვებსაც მოინელებენ... სოფელი სუფთაა, გესმის?!.. თვის ბოლოს ფული მექნება და ავტონისპექციაში მივალ. კაცი მყავს და მგონი, საქმე გაკეთდება. ახლა წავალ, ამ საღამოს გაცდენა არ შეიძლება, საახალწლოდ ცარიელ სუფრას ზომ არ მივუჯდებით?! ავე, მეტროს ბიჭებმა გუშინ იმდენი ჩამოსული მოხსნეს ესკალატორიდან, შობამდე არაფერი გაუჭირდებათ!..

საქმე გაკეთდა. პიეროს მუშაობა არასდროს ეზარებოდა და ახლაც კმაყოფილი ჰყავს უფროსები. თვითონაც აქვს ჯიბის ფული. საგზაო პოლიციაში უფრო მეტი, ვიდრე ადრინდელ სამსახურში. ახლა უკვე მთელი ქალაქის მასშტაბით მუშაობს. თუ საბუთები წესრიგშია, ხელის მუხრუჭს გასინჯავს, აფთიაქს, ცეცხლსაქრობს მოიკითხავს და „გაჭედავს“ მძღოლს. თუ აქაც ვერ ჩაჭრა, ჯიქურ ეტყვის: ჰა, რას აპირებ, არაფერს დაგვიტოვებ? იცოდე, პროტექტორის სისქეს გაგიზომავე, თუ გაცვეთილი იქნა, შენი აღარ აჯობებსო! თადარიგში სხვა „მიზეზებიც“ აქვს პიეროს... ასეთი ყოჩაღი უცებ არ გამხდარა, კარგა ხანს ასწავ-

ლიდენ კოლეგები და კარგადაც გახედნეს.

აივანზე უფრო გულახდილი გამოგვიდის საუბარი. „ხელფასი ორმოცდაცამეტი ლარი მაქვს. სანამ მამლევედნენ, ორმოცდაათს ვტოვებდი. არც სხვები იღებდნენ. ახლა წელიწადზე მეტია, არაფერი მოუციათ. არც მაქვს იმედი. იმიტომ, რომ იმ ფულით ოჯახს ვერავინ შეინახავს და ზემოთ ეს კარგად იციან. მაშინაც და ახლაც „ლევე“ ვმუშაობთ. გეგმა მაქვს, დღეს რვა ქვითარი მომცეს, უწესო შოფრები დააჯარიმო. ვდგები მოსახვევთან და ოცდარვას ვაჩერებ. როგორც ჩანჩქერთან დაგებულ ფაცერში ცვივა კალმახები, ისე მივარდებიან ხელში „ასფალტის ღლავეები“. გუშინ უფროსმა დამიბარა, ერთი მთვრალი მაინც მოიყვანე, გვეჭირდებაო. ეტყობა, მაყუთი სჭირდება ზევით მისაცემად. იცი, როგორ არის? ჯერ ზემოთ დაადგენენ, რამდენი ფული უნდა წაიღონ: მერე აზუსტებენ „სტავკებს“ და ამის შემდეგ უშვებენ გზებზე ზუსტად იმდენ ავტონისპექტორს, რამდენიც საჭიროა. რას მიყურებ? „ობშიაკი“ გაყავი „სტავკაზე“ და მიიღებ იმდენ მოძრავ და უძრავ პოსტს, რამდენიც საჭიროა — არც მეტს და არც ნაკლებს. ერთი ხანობა თითქოს შეამცირეს ტეკები, მაგრამ ფული შემოაკლდათ და ისევ გაზარდეს. ბიჭები ამბობენ, ადრეც ასე ხდებოდაო. ჰოდა, ვართმევთ ჩვენზე მეტად გაჭირვებულ მძღოლებს ამ ფულს.

თუ გამოიჭირდა, მძღოლს ვეუბნები, მოსახვევთან ახალი საგზაო ნიშანი დაეკიდეთ და რატომ არ დაემორჩილე-მეთქი. თუ მითხრა, არ კიდაო, ეგრევე ვაჯახებ, ყვითელზე კი არა, წითელზე გაიარე-მეთქი. მიმტკიცოს იმან საწინააღმდეგო — სად მიჩვილებს? უფროსობა არ გამწირავს, სასამართლოში თვითონ არ წავა — უფრო ძვირი დაუჯდება. ისე, ვერიდები ასეთ რაღაცებს, ზემოდან თუ არ მომიჭირეს, არ ვაკეთებ. ცოლოა ის ხალხიც, ცოლშვილის სარჩენად რაღას არ ედებიან... ჩვენი მინისტრი რომ გამოვიდა ტელევიზიით და ჟურნალისტს უთხრა, ავტონისპექტორის ორი-სამი ლარი ჩემი გასარჩევი არ არისო,

ცოტა მომეშვა... ღამითაც ზიდავენ ტვირთს კახეთიდან, ძირითადად დასავლეთში მიაქვთ. მსუბუქებს ჩვენ, მოძრავები, ერთ-ორ ლარს ვართმევთ, უძრავ ტექზე სამს ატოვებინებენ. გაბარიტიანების „სტავკა“ უფრო მეტია... შენ ჩემს გვარს ხომ არ ახსენებ? სახელიც შემიცვალე, თორემ მარტო ლუკმაპური კი არა, შეიძლება თავიც დაგვარგო...

ზამთარი გატყდა და პელო დეიდა გახარებულია, მდინარეები აღიღება და შუქს ბლომად მოგვცემენო. ვინც არ დაიჯერა, მთელ დღეებს მზის გულზე ატარებს.

პიერომ მოიწყინა. აღარც ბიძის მკვლელის მო-

სელისთვის ნარკოტიკების „შემტენი“ მოსწავლე არ ამიყვანია „ნახე-კად“, რომ მერე მოტყუებულის მდიდარი მშობლებისთვის ფული წამერთმია. ეე, ფული რას არ აკეთებინებს კაცს... „სემიჩის“ გამყიდველს კი არა, მათხოვარსაც ვეჯექით წილში. ჩვენმა ინსპექციამ იმ რედაქციას მიაკითხა, გვითხარით, როდის და რომელი მათხოვრისგან გაიგო ეს თქვენმა ჟურნალისტმა, რომ ზომები მივიღოთო. იცი, რა პასუხი დაუწერეს? დასჯით ერთიორ კაცს, გამონაკლისს სჯიან, მაგრამ როცა ყველგან და ყველას „სტავკა“ აქვს შეწერილი, მაშინ მარტო დასჯას აზრი ეკარგება. საქარ-



ბენა აინტერესებს, აღარც თბილისში დარჩენა. აიჩემა, რაიონში უნდა წავიდეო. ახალციხელი ვარ და იქნებ უფულოდ მოვახერხო მუშაობის დაწყება, ცოლსაც ჩვენებურს მოვიყვანო.

„აქ ძნელია მუშაობა. შესატანი „სტავკა“ ასწიეს, ბიჭებიც უკმაყოფილონი არიან, ქარში, ყინვასა და მზეში ძალღივით ვაგდივარ გზაზე და იმდენი ცუდი გავაკეთე, სიკვდილამდე მივყოფა. იცი, რატომ წამოვედი განყოფილებიდან? მუშტები მეტკინა ხალხის ცემით. ჩემი სპორტსმენობა ხალხის გასაფუჭებლად გამოვიყენე. ზოგს ტომარაში ვურტყამდი, ზოგსაც ისე, ფერდებზე, წელზე, მკერდზე, სახეში... არა, მოტყუებითაც ჩამისვამს კაცი მანქანაში, ოღონდ, ზოგიერთივით, კლა-

თველოს გადაკეთებაა საჭიროო. ჩვენები ახლა სადღეგრძელოში ამბობენ, – ნეტავ იმდენი ხელფასი მოგვცა, სხვისთვის წართმევა არ დაგვკვირდესო. ჟურნალისტები რომ ხართ, უთხარით მთავრობას, პოლიციელებს სამყოფი ხელფასი მოგვცეს, მოგვხელოს და მოგვიაროს. ჩვენ თუ მაგათ არჩვენებს ვიცავთ, იმათაც დაგვიცვან. თვითწმენდა მიმდინარეობსო, რომ ამბობენ, სუყველა გასაყრელები ვართ, დასაჭერი თუ არა. იმ მელასი არ იყოს, მე კი წავალ, მაგრამ ესენი როგორ ააშენებენ სახელმწიფოს?

დეიდა მეცოდება, მაგრამ რა ვუყო... ქმრის ამბავი რომ მოვუყვე, გადაჰყვება კიდეც. იცი, რა მითხრა ბიძაჩემის თანაკლასელმა? სტალინი არ უყვარდა ბიძაშენს, მაგრამ

თავისთვის იყო. ინსტიტუტის დირექტორს ის ბინა მოსწონებია, რომელიც ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დღე-ღღეზე უნდა მიეღო. „უშიშროებასთან“ შეკრული ყოფილა და სუფთად იმუშავა. ანტისტალინური პროკლამაციების გავრცელებისა და ხელისუფლების ძალად დამხობის ბრალდებით ქმარი ეტაპით გააგზავნეს, ცოლს კი გამოუცხადეს, – ბანდიტებმა ესროლეს ღამითო. დეიდა დღესაც ემადლიერება იმ კაცს, შუშაბანდიანი ბინის მიღებაში დამეხმარაო. არ ღირს მისი გაწბილება. ახალციხეში რომ ჩავალ, ეკლესიაში უნდა ვიარო...“

საადგომოდ პიერომ ავადმყოფ დეიდას ჩამოაკითხა. ახალციხეში უფრო გასუქდა, ნავარჯიშევი კუნთები ქონმა წაიღო. მუცელი წამოეზარდა და ცხვირის ღუმასავით დაეკიდა ქამარზე. ეტყობა, საბაჟოზე კარგად აჭმევენ და ასმევენ. როხროხით ლაპარაკობს საქმეაწყობილი კაცი. დელიკატურ თემებზე საუბრის დროსაც არ დაუწევს ხმას.

– ჩვენს ხაზზე ახლა ერთ „მარშრუტკასაც“ შევაგდებ და ორ კაპიკს ისიც შემოიტანს. საზღვართან ისეთი ქალები ჩამოჰყავთ, შენც ვერ დაიწუნებ. უცხოელებისთვის მყუდრო ბორდელი მოაწყვეს, მაგრამ ჩვენი ბიჭებიც, არა უშავს –

იხდიან, თვალები დაიწმინდეს. მე ვისზე ნაკლები ვარ? ღვინოსაც მივიტან და ღულუკსაც დავაკრინებ. ახალი სახლის მესამე სართული უკვე ამოყვანილია. გადავხურავ თუ არა, ნინუცას დავალაგებინებ. ნინუცა ვინ არის, იცი? ბაბუაჩემის მოკლული ძმაკაცის შვილთაშვილია. იმისი ბიძაშვილი მერაბ კოსტავამ მონათლა. ჩვენ მოგვძებნეს სიკეთის გადასახდელად. სწორედ მაშინ მომეწონა ეს გოგო. ვიცი, ჯანმრთელ ბიჭებს გამიზრდის და იმათაც „ტამოფნიკებად“ ვამუშავებ, ფულის შოვნას ვასწავლი. აბა როგორ, ფული ხომ ყველას არ ჰყოფნის, ლომის უკანალიდან უნდა გამოიღო და გაასუფთავო...

თბილისიდან პიერომ რაღაც ცნობები წაიღო, მაწინაურებენო. ■



FIAT STILO



ALFA ROMEO 147

# FIAT-ის ახალი მოდელები

ათასწლეულის დამლევს FIAT-მა რამდენიმე ახალი ავტომობილი გამოამზეურა. საერთოდ, კონცერნმა შარშან გადაწყვიტა, შეეცვალა მიდგომა გარკვეული მოდელების წარმოებასთან დაკავშირებით: სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემის გამო, მან შეწყვიტა კაბრიოლეტის – FIAT PUNTO MK-ს და აგრეთვე FIAT COUPE-სა და უნივერსალ LANCIA K-ს გამოშვება.

ამავე დროს, კომპანია ცდილობს, გამოიწვიოს ახალი საბაზრო ნიშები, რათა განამტკიცოს 2000 წლის პირველ ნახევარში მიღწეული კარგი შედეგები, რომელიც მრავალწლიანი ზარალის შემდეგ აღინიშნა. ის ახლა პრინციპულად ახალი მი-

მართულებების ათვისებას აპირებს. ეს არის კომერციული სატრანსპორტო საშუალებები და ე.წ. საოჯახო ავტომანქანები. ერთ-ერთი მათგანია მრავალფუნქციური სატვირთო-სამგზავრო მინი-ვენე FIAT DOBLO. ამის გარდა, PEUGEOT-CITROEN-თან ერთად, „ფიატი“ მუშაობს ახალი თაობის შვიდადგილიან მინი-ვენებზე, რომლებიც წლეულს იქნება წარმოდგენილი.

წელსვე, სერიულად უნდა გამოვიდეს FIAT STILO, რომელიც რამდენადმე TIPO-ს მოგვაგონებს (სხვათა შორის, ეს მოდელი 1989 და 1990 წლებში ევროპაში წლის ავტომობილად იყო დასახელებული). STILO შეცვლის BRAVO/BRAVA-ს. ეს მანქანა აწყობილია იმავე ქარხანაში, რომელმაც 2000 წლის ავტომობილი – ALFA ROMEO 147 გამო-

უშვა. მისი გაყიდვა ევროპაში, მხოლოდ ოქტომბერში დაიწყება და სწორედ მაშინ გამოაცხადებენ საბოლოო ფასს. „სტილოს“ ოთხი სახის ძრავა ექნება – 1,2 ლიტრიანი, 80 ცხ. ძალიანიდან დაწყებული, 2,4 ლიტრიანი, 171 ცხ. ძალიანით დამთავრებული. შესაძლოა, შემდგომში სრულამძრავიანი ვერსიაც შეიქმნას, რომელსაც 140 ცხ. ძალიანი ძრავა ექნება. 2002 წლისთვის კი, ამ მოდელის ბაზაზე STILO STATION WAGON-ის წარმოებას აპირებენ, რომელიც MAREA WEEKEND-ის მოდელს შეცვლის.

კიდევ ერთი მოდელი, რომელიც წლების მიჯნაზე კონცერნმა გამოამზეურა, ALFA ROMEO 147-ია. „სტილოს“ მსგავსად, ისიც GENERAL MOTORS-ის სპეციალისტებთან ერთად შემუშავდა. მისი ძრავების ვერსიებიც თითქმის არ განსხვავდება „ფიატის“ ნახსენები ვერსიებისგან – 1,9 ლიტრიანიდან 2,4 ლიტრიანამდე. კორპორაციის ვაჭრობის სფეროს დირექტორის ზუან ზოსე დიას რუიზას თქმით, ეს „მომავალი თაობის ავტომობილია“, რომლის მიმართაც უკვე ახალგაზრდა მოსახლეობის ნახევარი და ქალების 33% იჩენს დიდ ინტერესს. ყველაზე ძვირად ღირებული ვერსია 30.000-მდე, ხოლო 2 ლიტრიანი – 23.000 დოლარამდე ეღირება.



FIAT DOBLO

# „ჩამტყნა კახგი მქოროი ხაიო?“

1. რამდენად ხშირად იმუშავებთ მხედველოვას?

- ა) წელიწადში ერთხელ - 0;
- ბ) წელიწადში ორჯერ - 2;
- გ) როცა ვგრძნობ, რომ მხედველობა გამოუარესდა - 0.

2. რამდენად ხშირად დამთვრალხართ სადამოს ისე ძლიერ, რომ დილას საჭმელს ვინ ვინჯდომინხართ?

- ა) ხშირად - 0;
- ბ) არასოდეს - 2;
- გ) ხანდახან - 0.

3. სვამთ თუ არა წამლებს საჭმელთან დაჯდომამდე?

- ა) არა - 2;
- ბ) თუ ექიმმა გამომიწერა - 0.

4. თუ ვინჯდომინხართ საჭმელს ძლიერი ადღევავისას?

- ა) დიას - 0;
- ბ) არასოდეს - 2;
- გ) ვცდილობ, დავშვიდე და მხოლოდ ამის შემდეგ მივუჯდები - 0.

5. ყოველი ბასვლის წინ აუცილებლად ამოწმებთ:

ა. არის თუ არა რაიმე ლაქები მანქანის ქვეშ:

- ა) დიას - 2;
- ბ) არა - 0.

ბ. როგორ არის დაბერილი საბურავები:

ა) მხოლოდ შორეული მოგზაურობის წინ - 0;

- ბ) ყოველთვის - 2.

გ. ზეთის დონეს:

- ა) დიას - 2;
- ბ) არა - 0;
- გ) დროდადრო - 0.

დ. ბენზინის დონეს ავზში:

- ა) თავად ვამოწმებ - 2;
- ბ) მაჩვენებელს ვენდობი - 0.

ე. წყლის დონეს რადიატორში:

- ა) დიას - 2;
- ბ) არა - 0.

6. იცავთ თუ არა ყოველთვის მოძრაობის წინაშეს?

- ა) დიას - 2;
- ბ) თუ ვიცი, რომ სადღაც ახლოს საგზაო პოლიციელები უნდა იყვნენ - 0;



7. თვით თუ არა თავაბოს საჭმელთან?

- ა) რასაკვირველია - 0;
- ბ) არასოდეს - 2.

8. გზაში დაღლა რომ იგრძნობთ, რას ვინჯდომინხართ?

- ა) გაჭერლები, რომ ცოტა შვეისვენო - 2;
- ბ) რაც უნდა მოხდეს, მაინც ვიუტად განვაგრძობ გზას - 0.

9. თქვენ წინ ვინ ვინჯდომინხართ?

- ა) გაუწერებ იმ ადგილას, სადაც ეს წესებით არის ნებადართული - 2;
- ბ) დაუყოვნებლივ ვცდილობ, ვაუწერო - 0.

10. შვიდიქლიათ თუ არა, სათელავის განმინდა, ბორჯლის გამოცვლა, სვა წვილმინავის შვიქითვა?

- ა) რასაკვირველია - 2;
- ბ) არა, ყოველთვის ხელოსნების მომსახურებით ვსარგებლობ - 0.

11. თხარამით თუ არა გზაში ბაჭირვაბაში ჩავარდნილ მძღოლებს?

- ა) ხანდახან - 0;
- ბ) ყოველთვის - 2;
- გ) არასოდეს - 0.

12. თუ გზაში ხელახელ

სიბატიურ ძალს დინახავთ, როგორ ვინჯდომინხართ?

- ა) დაუფიქრებლად ვაუჭერებ მანქანას - 0;
- ბ) ჩვეულებრივ, არავის ვუჭერებ - 2.

დაჯამებით ქულები:

30 და მეტი ქულა: უნაკლო მძღოლი ბრძანდებით. არა მარტო კარგად ფლობთ ნებისმიერ რთულ სიტუაციას, არამედ მზად ხართ, გზაზე გაჭირვებაში ჩავარდნილებსაც დაეხმაროთ. ნეტავი, ყველა თქვენსავით იქცოდეს...

20-დან 29 ქულამდე: რასაკვირველია, საკმაოდ კარგი მძღოლი ხართ, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდით, წამდღაუწუმ რომ არ არღვევდეთ მოძრაობის წესებს. გირჩევთ, დაიკოთ ტემპერამენტი: ამაზე თქვენი და ახლობლების სიცოცხლეა დამოკიდებული.

19 ქულამდე: თქვენზე ვერავინ იტყვის, კარგი მძღოლიაო. ან გამოუცდელი ხართ ამ საქმეში (ასეთ შემთხვევაში, ეცადეთ, კარგად აითვისოთ ყველაფერი) ან კიდევ, ავტომობილის მართვა საერთოდ არ არის თქვენი საქმე: ამასაც ხომ ნიჭი სჭირდება (ისევე, როგორც, ვთქვამთ, ხატვას). თუ ასეა, უმჯობესია, გზაგარეშის ადგილს დასჯერდეთ.



სიცოცხლის ბოლო 20 წელიწადი დარდასა და მძიმე ფიქრებში გაატარა. უყურებდა განვლილი ცხოვრების გზას და ნუხდა: ეჰ, როგორ უნაყოფოდ და უშედეგოდ ქრება ჩემი სიცოცხლე... ჩანანერებში, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე აკეთებდა, ასეთი სიტყვებიც წერია: „ეჭვი მიპყრობს, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე და ცხოვრება უნაყოფოდ, უსარგებლოდ განვვლე, ნანერები თავის დროზე ვერ გამოვცვი, როცა სხვებისას ვბეჭდავდი...“ ამას რომ ნაიკითხავ, იფიქრებ, ისეთ ადამიანს ეხება ეს ყველაფერი, ცხოვრება რომ უღბლოდ წარემართა და სურვილის მიუხედავად, თავისი ქვეყნისთვის ვერაფერი გააკეთაო. არადა, ეს სტრიქონები ეკუთვნის მწიგნობარს, ლექსიკოგრაფს, ჟურნალისტს, რედაქტორს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — იოსებ იმედაშვილს.

## „იქვე მიპყრობს, მთელი ცხოვრება უსარგებლოდ განვვლე...“

ლელა ჩიყაშვილი

მისი ღვაწლი შეუმჩნეველი და მცირელი ნამდვილად არ ყოფილა. მით უმეტეს, რომ მძიმე ცხოვრების გზამ რაღა არ გადაატანინა: მწყემსობით დაიწყო, კატორღაც გამოიარა, შვეიცრეთაც, მაგრამ თავის მიზანს მაინც მიაღწია. სამშობლოს ასაყვავებლად თავისი წილი მაინც შეიტანა.

ბავშვობა სიღუბნურში გაატარა. მამამისს — ზაქარია იმედაშვილს სოფლის მდივანბეგთან კამათი მოსვლია. ამის გამო, ჩაფარს მისთვის სახალხოდ მათრახი გადაუკრავს. ფიცხი გულის ზაქარიას იქვე ხანჯალი უშიშვლებია და შეურაცხყოფელი შემოკვდომია. დაიწყო ოჯახის უბედურება — საღდაც უნდა გადახვეწილიყვნენ. ქართულ სოფლებში არ დაედგომებოდათ, მათაც თათრებისა და სომხების გარემოცვაში უხდებოდათ ყოფნა. თუმც ეს მიწები ადრე ბარათაშვილებისა და ორბელიანების სამკვიდროს წარმოადგენდა, ახლა გაბატონებული უცხოტომელების ხელში იყო. წერაქვსა და ბორჩალოში, საღდაც ოჯახი იყო გაჩერებული, არც საუბარი ისმოდა ქართული, არც სიმღერა. ამიტომ იყო, რომ გაჭირვებისაგან მწყემსად წასულ იოსებ იმედაშვილს მხოლოდ 10 წლის ასაკში დაუწვია მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის სწავლა.

მწუხარებას მწუხარება მოსდევდა. იოსებ იმედაშვილი იხსენებდა: „მოვეხვეი,



მეუღლე-ანა ქურულთან ერთად

გულში ჩამიკრა, ყელზე მომეხვია და კარგა ხანს აღარ გამიშვა — კარგია, შვილო, ცოცხალს მომისწარიო, — ოჰ, რა ტკბილი იყო დედასთან ჩახუტებით ძილი, მის გვერდით სუნთქვა. ასეთი ნეტარება მე შემდეგში აღარასოდეს არ მიგრძენია. დედამ მკერდზე მიმიკრა, რაღაცას მეჩურჩულებოდა. თითქოს მლოცავდა. მამლის ყვილისას გამეღვიძა, ყელზე ყინული ვიგრძენ, დედას სახეზე ხელი მოვუსვი, მეცივა, ხმა ვერ ამოიღო. ერთი შეყვებრე. მამა წამოიჭრა. დედის სიკვდილმა დაანგრია ჩვენი ოჯახი...“

სასოლო განათლების მისაღებად თბილისში რომ ჩამოვიდა, ანბანი უკვე

ბეჭის ძვალზე ჰქონია ნასწავლი. თბილისში ღმერთმა კეთილი ხალხის გარემოცვაში მოახვედრა. ჯერ იყო და, ცოტა ხნით, ქაშვეთის ეკლესიის ეზოში მცხოვრები პავლიაშვილების ოჯახში შეიფარა. მერე, მთაწმინდის სკოლის მასწავლებლის გრიგოლ პაპიტაშვილის შინამოსამსახურედ მყოფმა, ოჯახის უფროსის ყურადღება მიიქცია: მასწავლებელმა ჩამორჩენა დააძლევინა. სამწუხაროდ, სახელოსნო სასწავლებელში მხოლოდ 2 კლასამდე ისწავლა: არალეგალური ლიტერატურის კითხვისათვის და მოწაფეთა აკრძალულ წრეებში მონაწილეობისათვის გარიცხეს.

1901-1902 წლებში იოსებ იმედაშვილმა ისნის სახალხო თეატრი ჩამოაყალიბა. მანვე დააარსა ორიგინალური და ნათარგმნი პიესების კრებულების სერია „ცხოვრების სარკე“. მიზნად დაისახა სახალხო წიგნის ბიბლიოთეკის შექმნა. პირველმა დაბეჭდა ცალკე წიგნებად იროდიონ ევლოშვილის „ლექსები და პოემები“, შიო მღვიმელის „ნატურა“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, ვასილ ბარნოვის „ვაი, შენს დამკარგავს“, ბაჩანას „ღიაკენიანი“.

საინტერესოა, როგორ იხსენებს ვაჟა-ფშაველასთან შეხვედრას იოსებ იმედაშვილი: „ვაჟა-ფშაველა 1895 წელს გავიცანი, როდესაც ალა-შაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების 100 წლისთავის პარაკლისზე აბჯარ-ჩაჩქოსანი თუმ-ფშავესურნი ჩამოიყვანა. შემდეგ უფრო ახლოს შიო მღვიმელმა გამაცნო. გაცნობისთანავე ვაჟას ჩემი დიდი ხნის ნატურა გავუზიარე — ნება მომეცით, პოემა „ბახტრიონი“ ცალკე წიგნად გამოვცე-მეთქი. ჩემი საქმიანობა და გვარი რომ შეიტყო, სიამოვნებით შემომღიმა და მითხრა: „ჩემი წინაპარი იმედა იყო, იქნებ ჩვენ ნათესავები ვართ...“

ერთხელ ასეთი ამბავიც მომხდარა: აღელვებული მისულა ვაჟა თავის მეგობარ იოსებთან: ერთ ოჯახში ვიყავი, კარგად მიმილო მასპინძელმა და ღამით დარჩენაც მითხოვაო. მისმა ცოლმა კი თურმე რაღაც ამრეზით გადაუჩურჩულა ქმარს. ვაჟას რა გამოუპარებოდა — აღარ დარჩენილა იმ ოჯახში. წამოსულა გულნატკენი და ღამე იმედაშვილთან გაუტარებია.

ვიდრე იოსებ იმედაშვილის მოღვაწეობაზე განვაგრძობთ სიტყვას, ერთი ლირიკული გადახვევა: როგორ შეერთო მან ცოლი. სიყვარული ყოვლისშემძლეა, იოსებსაც ეწვია და ტახტის აზნაურის — ნიკო ჟურულის ქალი შეაყვარა. რა თქმა უნდა, სასიამორომ დაიწუნა გლეხი



და „რევოლუციონერი“ – მაგის დასაღუპავი შვილი მე არ მყავსო. მაშინ გავჯიუტებულ აზნაურს ასე „უწამლა“ მოხერხებულმა სასიძომ: 16 წლის სატრფო ფოტოგრაფთან წაიყვანა, მასთან ერთად სადარბაზო სურათი გადაიღო და უარზე დამდგარ სასიძომროს გაუგზავნა: ამ სურათიდან ხომ ჩანს, რომ ანა ჟურული ჩემია და ახლა, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცითო. ნათესავებსა და მეგობრებს კი, უთქვამთ ქალის მამისათვის: ამით ერთმანეთი ჰყვარებიათ, სურათიც გადაუღიათ და საქმეც გაუთავებიათო. სასიძომროს სხვა გზა აღარ ჰქონდა – დათანხმებულა. თუმცა, მისი „პროგნოზი“ გამართლდა. მისი სიძე 4 წლით მეტეხის ციხეში მოხვდა. 26 წლის ანა კი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით, მარტო აღმოჩნდა ცხოვრების პირისპირ. სრულიად ახალგაზრდა ქალს იმდენი სულიერი სიმტკიცე აღმოაჩნდა, რომ ქმარს იქით ამხნევებდა და ცხოვრების გამო საყვედურს ვერ წამოაცდენინებდით. აი, მისი ერთი წერილი, ციხეში რომ მისწერა მეუღლეს: „უნდა მოითმინო ყველაფერი, აი, მე მიყურე, ამ სუსტ არსებას, რამოდენა ტანჯვა-მწუხარება გადავიტანე – ეს მხოლოდ ქმრისა და შვილებისათვის. შენც ეგრე გმართებს, უნდა აიტანო სუცხლაფერი, რომ კვლავ განთავისუფლდე და გაგვახარო... ოღონდ შენ მყვანდე კარგად, ჯანსაღად და არაფერს არ ვიდარდებ, ყოველივე გაჭირვებას ავიტან... სულ მალე გაირბენს ცხრა თვე, რომ ვერც კი გაიგო... საცა ბევრი მოვითმინეთ, იქ ცოტაც იყოს, ოღონდ შენ კარგად იყავი და მეც მუდამ კარგად ვიქნები... შენ რომ ყოჩაღად გხედავ, მეც მაშინ ვცოცხლდები... რა კარგი იქნება, რომ ამ წერილის მაგივრათ მე გავჩნდე შენთან“.

გაჭირვების გამო, ორი უფროსი შვილი დედამ თავშესაფარში ჩააბარა დროებით. მეუღლეს კი, აი, ეს ამბავი მისწერა: „პრიუტში მყოფმა გაიოზმა და თამარმა გიცვენეს, კვირას მქონდა შენი სურათი ყელზე გაკეთებული და ბევრი ჰკოცნეს...“

მეტეხის ციხიდანაც ნაკადულივით მოედინებოდა სიყვარულის სიტყვები: „... მარად საგონებელი... ალბათ თავს არ უვლი, გაკნაჭებულხარ... ვზივარ ჩემს საკანში და ვმუშაობ... საუკეთესო ოთახია, მზის გული, ჩემი ფანჯარა მტკვარს გადასცქერის და ბაღებს, აბანოებს, მთელ ხარფუსს, ორთაჭალასა და ბოტანიკურ ბაღს, აგრეთვე, ძველი ციხის, ნარიყალას ნანგრევებს... მართლა შესანიშნავია ჩემი საკანი, ბევრი ცნობილი პირი მჯდარა ამ საკანში... საუკუნოდ შენი იოსები“.

ერთხელ, ხანგრძლივი უნახაობით შეწუხებულ ტუსადთან, მეუღლეს შვილებიც მიუყვანია. „პრიუტში“ რუსული სწავლება იყო და ბავშვებსაც რუსულად დაუწყიათ საუბარი მამასთან. თავზარდაცემულ მამულიშვილს ცოლისთვის უთხოვია: ბავშვები ახლავე „პრიუტიდან“ გამოიყვანე, სოფელში წადით, სახლიცა და მამულიც გაყიდეთ, ოღონდ შვილები არ დამეღუპონ – ქართველებად გამოიზარდეთო...

დააკვირდით იოსებ იმედაშვილის ფოტოს? რა შთამბეჭდავია მისი თეთრი თმა-წვერი! აი, ამ ჭაღარის ისტორიაც: „მაგონდება, 1910 წელს მეტეხის ციხეში რომ ჩამსვეს, პოლიტიკურ საქმეზე, 1911 წ. კავკასიის საოლქო სასამართლომ ოქმი ჩამაბარა, 102. II და 279 მუხლის ბრალდებით (279 მუხლი – დარჩობა). დამე წავიკითხე. მეორე დღეს, დილით, ამხანაგებმა შემნიშნეს – თმა გამთეთრებოდა. რამ გამთეთრა თმა? – დარჩობის შიშმა? – არა. იმ ხანებში, თითქმის ყოველდღე 2-3 კაცი აჰყავდათ სარჩობელაზე. თმა გამთეთრა უფრო იმ ფიქრმა, თუ რისთვის უნდა ჩამოვეხრჩე, რატომ მახვევდნენ ჩემთვის უცნობ-უკადრის დანაკვეთენ ჩემთვის“.

იოსებ იმედაშვილი პატიმრობამდეც და პატიმრობის შემდეგაც ჟურნალის – „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორი იყო. როგორც იოსებ გრიშაშვილი ამბობდა, იმედაშვილი ყველა ახალგაზრდას აძლევდა ფართო გზას, არ ყოფილა არც ერთი თვალსაჩინო პოეტი, რომლის პირველ სისხარულად, მისი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ არ ქცეულიყო. მის მიმართ მაღლიერებით აღვსილი იყო მთელი მაშინდელი ინტელიგენციის ყველაზე საზრიანი ნაწილი.

ალექსანდრე აბაშელი: „მე დავალბებუ ვარ იოსებ იმედაშვილისაგან. პირველი ტკბილი სიტყვა ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის გამო მე იოსებ იმედაშვილმა შემავება.

მიხეილ ჯავახიშვილი: „იოსებ იმე-



მამასახლისი იოსებ იმედაშვილი გარეკახეთის მამასახლისთა ერთობის მოძრაობის დროს

დაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა... პირველად მან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“...

ლადო გუდიაშვილი: „პირველივე დანახვისთანავე ღიმილით შემხვდა და ლეო ქიაჩელის მოთხრობების დასურათება დამავალა. ილუსტრაციები ჩქარა მივიტანე, რომელიც მორიგი ჟურნალის ნომერში დაიბეჭდა. აქედან დაიწყო ჩემი გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ამ მაღლმოსილი ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი გავხდი“.

უნივერსიტეტი რომ გაიხსნა, თავისუფალი მსმენელი გახდა, მერე მწერალთა კავშირშიც მიიღეს, თუმცა: მწერალთა გადახალისება რომ მოაწყვეს 1931 წელს, საჭიროდ ჩათვალეს „არა მწერალ-ინტელიგენტების გარიცხვა“. „პირველი კატეგორიით“, როგორც რეაქციონერი შოვინისტები, გაირიცხნენ: პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა შარაშიძე, იოსებ იმედაშვილი...

1927 წელს 42 წლის ანა ჟურული გარდაიცვალა. „ჩემი ანო რომ გარდამეცვალა, მტკვარში გადავარდნას ვაპირებდი, თურმე ზურგს უკან აღ. მისურაძე მომსდევდა, გადამარჩინა... შემდეგ სახლში ჩავიკეტე...“ „ჩემი მრავალწამებული ანოს გარდა, განა სხვას ვისმეს შეუძლიან სულში ჩამწვდეს, მეგობრობა გამიწიოს...“ დარდმა ჯანმრთელობა შეურყია, დაღალა. თუმცა კიდევ დიდხანს, მოხუცებულობამდე იცოცხლა. 1951 წელს ექიმებმა სისხლის კიბო დაუდგინეს. გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე თქვა: 5 მაისს მივატან, მანამდე გავძლებ, არ დაგტოვებთო... ეს იყო მისი ანას გარდაცვალების დღე. 5 მაისს შვილებს გამოეთხოვა და უკანასკნელ ამოსუნთქვასაც ცოლის სახელი ამოაყოლა. 76 წლის გარდაიცვალა.

**სტაფილო.** გამოირჩევა კაროტინის, A ვიტამინის დიდი შემცველობით (65%). მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ათვისება მხოლოდ ცხიმებთან ერთად ხდება. სასარგებლოა თირკმლების, ღვიძლის დაავადებების, ჰიპერტონიის დროს, მარილების დაგროვებისას, ყაბზობისას. არ არის რეკომენდებული წყლულოვანი დაავადების გამწვავების, კოლიტების დროს. სტაფილოს ფოთლებს ხარშავენ და სვამენ ბუასილის დროს.

**კაკალი.** დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. აგრეთვე A, E, B ჯგუფის ვიტამინებს. აუმჯობესებს კუჭის პერიტალტიკას, ურჩევნია ქრონიკული ყაბზობის, ათეროსკლეროზის დროს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის დაავადების დროს, სიმსუქნისა და სისხლნაკლებობის დროს.

**კიკრი.** ვიტამინებით ღარიბია. ძირითადად წყლისაგან შედგება, მაგრამ შეიცავს ტარტრონის მჟავას, რომელიც ნახშირწყლების ცხიმებად გადაქცევას უშლის ხელს.

**ოხრახუში.** შეიცავს (ფესვებში) ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს ქვების დაშლას თირკმლებსა და შარდის ბუშტში. ოხრახუში რეკომენდებულია შარდკენჭოვანი დაავადებისას. თუმცა თირკმლების მწვავე დაავადებების დროს მისი მიღება არ შეიძლება.

**პომიდორი.** მდიდარია კაროტინით, ვიტამინებით, კალიუმით. უნდა აღინიშნოს, რომ ვიტამინები დაკონსერვებულ პომიდორშიც ინახება.

**ბოლოკი.** შეიცავს ბევრ ვიტამინს, ფერმენტს, პურინს, ანტიმიკრობულ ნივთიერებას – ლიზოცინს. აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და შარდის გამოყოფას. არ არის რეკომენდებული წყლუ-



ლის, გასტრიტის, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებისას, აგრეთვე ნიკრისის დროს.

**ჭარხალი.** შეიცავს ბევრ ვიტამინს და მინერალურ მარილებს. ხელს უწყობს ვიტამინ B12-ის ათვისებას. მოხარშულ ჭარხალს, მის ნახარშს შარდგამოყოფი და გამხსნელი მოქმედება აქვს. უმი ჭარხლის წვენი რეკომენდებულია ჰიპერტონული დაავადების დროს. მისი მიღება კარგია თაფლთან ერთად.

**ნიახური.** აქვს შარდმდენი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. იყენებენ თირკმლის დაავადებისა და ნიკრისის დროს.

**ქლიავი.** შეიცავს ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს, მინერალურ მარილებს. შავი ქლიავის ნახარში, შესანიშნავად მოქმედებს ყაბზობის დროს.

**შავი მოცხარი.** შეიცავს C, B, P ვიტამინებს, ფოთლებში არის ფიტონციდები. მოცხარის წვენი და ნახარში სასარგე-

ბლოა კუჭის დაავადებისას (გასტრიტი, წყლული). ფოთლებისგან დამზადებული ნაყენი ხელს უწყობს შარდმჟავას გამოყოფას.

**გოგრა.** შეიცავს სხვადასხვა ვიტამინს და მინერალურ მარილებს (განსაკუთრებით კალიუმს). აუმჯობესებს ნაწლავთა მოქმედებას, შარდის გამოყოფას. გოგრის წვენი, თაფლთან ერთად, ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც ძილისმომგვრელ და დამამშვიდებელ საშუალებას.

**კამა.** მოქმედებს, როგორც გამხსნელი, ნალღმდენი საშუალება. აუმჯობესებს შარდის გამოყოფასაც.

**პირმუშა.** აძლიერებს კუჭში მარილმჟავას გამოყოფას, მოქმედებს, როგორც შარდმდენი. არ იხმარება გასტრიტის, წყლულის, თირკმლისა და ღვიძლის დაავადებებისას.

**მოცვი.** აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას. მოცვის ფოთლების ნახარში და ნაყენი ხელს უწყობს სისხლში შაქრის შემადგენლობის დაქვეითებას. სასარგებლოა მხედველობისათვის.

**ნიორი.** შეიცავს ფიტონციდებს. ნივთიერებებს, რომელსაც ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს. იყენებენ სურღოს სამკურნალოდ. სასარგებლოა ყაბზობის დროს. აქრობს ღვინოსა და ღვინის პროცესებს, აძლიერებს შარდის გამოყოფას.

**ვაშლი.** მყავე ვაშლს ურჩევნია დიეტისა და სიმსუქნის დროს, ტკბილს – გულ-სისხლძარღვთა დაავადებისას, ნიკრისის, კენჭოვანი დაავადების დროს. ვაშლში შემავალი C ვიტამინის უფრო სრული გამოყენებისათვის ურჩევნია მის კომპოტს (ვაშლის ნედლი რბილობი შეიცავს ფერმენტებს, რომელიც თითქმის 50%-ით შლის ვიტამინს დაღვწვისას. არასაკმარისი ხარშვის დროს ფერმენტები უფრო მალე იშლება, ვიდრე C ვიტამინი).





ჩემი რეჟისურა

# სიქულდმა

## ჯეი გულდმა?

### დატექნიკი ამაჰი მულტიმილიონარზე შესაქლო თავდასხმის შესახებ

„ჯეი გულდ, იცოდეთ: ექვს დღეში მოკვდები. მინდა, ეს კვირა ისეთ შიშა და ფორიაქში გაატარო, როგორსაც შენი მსხვერპლნი წლების მანძილზე განიცდიდნენ. გაიხსენე ის უბედურები, ვინც შენ გაქურდე და უსახლკაროდ დატოვე, ისინი, ვინც შენი მატინაჟების წყალობით, შუბლში ტყვია დაიხალა. გაიხსენე და იქნებ შენში ერთი ნაპით მაინც გაიღვიძოს სინდისმა. შემდეგ მე მოვალ და მოგკლავ, როგორც ქეციან ცხვარს, რომელიც დედამინაზე სიარულის ღირსი არ არის“.

ინსპექტორმა თომას ბერნსმა კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი წერილს და ჩაფიქრებულმა კეფა მოიფხანა. ხელწერა მტკიცე და სწორხაზოვანი იყო, თარიღიც კი ეწერა – 1888 წლის 11 თებერვალი. გამომგზავნის მისამართი, რა თქმა უნდა, მითითებული არ იყო, ხელმოწერა – „შურის-მაძიებელი“. მშვენიერი სახელი! დაწერილია თხელ ქაღალდზე, ქაღალდი საკმაოდ ძვირფასია, შვედური ამხანაგობის – „იოჰანსონი და ვაიშვილების“ ნაწარმა, თანაც საკმაოდ გავრცელებული: ნიუ-იორკში მისი შეძენა ასობით საკანცელარიო მალაზიაში შეიძლება. ეს გზა ჩიხში შეიფხანდა.

კიდევ რა არის საყურადღებო? როგორც ჩანს, კურიერის ხელით იყო გაგზავნილი – საფოსტო სამსახურის არანაირი ნიშანი არ ატყვია, უბრალოდ ყუთში ჩაუშვეს და საქმეც ამით დამთავრდა. ამრიგად, გამოძიება საკმაოდ რთული იქნება...

ბერნსი სავარძელში გადაწვა და შეეცადა, ყველაფერი გაეხსენებინა, რაც კი ჯეი გულდის შესახებ სმენოდა. მაგნატი, რკინიგზის გიგანტური ქსელისა და სატელეგრაფო

ხაზების მეპატრონე იმით იყო ცნობილი, რომ ნიუ-იორკის ბირჟაზე „შავი პარასკევი“ მოაწყო, ნახევარი ამერიკა გააკოტრა და თავად მილიონები იშოვა. გაზეთები წერდნენ, რომ მსოფლიოში არაფერ ფლობდა მსგავსი რაოდენობის ლიანდაგსა და განძებს: გულდის ორთქლმავლები მთელ ამერიკას სერავდნენ – დასავლეთიდან აღმოსავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით. მას ეკუთვნოდა აგრეთვე გაზეთი „თაიში“, რამდენიმე ბანკი და გემების კომპანია, ამის გარდა – ნავთობის კომპანია, ნახშირის საბადოების საკონტროლო პაკეტი, მატყლისა და რძის მწარმოებელი რამდენიმე ფერმა. ბერნსი ჩაფიქრდა. ნახშირი გულდს საკუთარი ორთქლმავლებისთვის სჭირდებოდა, მაგრამ რაში სჭირდებოდა რკინიგზის მაგნატს ცხვარი? ის წამომართა და დაიფიქრა: „ეი, რონალდ! რა ჯანდაბად უნდა გულდს ცხვარი? – კიდევ ერთხელ ჩახედა სიას, რომელიც ხელში ეკავა და განაგრძო: სიმინდის პლანტაციები და მწვანე მუხუნოს მინდვრები? როგორ ფიქრობ?“ რონალდი ბერნსის ახალგაზრდა თანამემწე იყო. ის უმაღ



რკინიგზის მაგნატი ჯეი გულდმა იმით გაითქვა სახელი, რომ „შავი პარასკევი“ მოაწყო ნიუ-იორკის ბირჟაზე, რომლის დროსაც ნახევარი ამერიკა გააკოტრა, თავად კი მილიონები იშოვა

კართან განწა და ასხნა დაიწყო: „მატარებლებით რაღაც ხომ უნდა გადაზიდონ! გულდი კი ზოგჯერ ისეთ ადგილებში აშენებს რკინიგზას, სადაც ჯერჯერობით ცოტა ხალხი ცხოვრობს“. „რატომ?“ – გაიკვირვა ბერნსმა. „ადგილი რომ დაიბეკოს! – განაგრძობდა რონალდი. – ახლა ხომ საუკუნის ბოლოა, პროგრესი! მალე მთელ ამერიკის კონტინენტზე ჯანმრთელი ახალგაზრდები დასახლდებიან, რომელიმე მათგანი მიინ-

ლომებს ნიუ-იორკიდან ნებრასკამდე რკინიგზის გაყვანას, იქ კი უკვე გულის კომპანია ბატონობს. სანამ იქ ხალვათობაა, გზები რომ არ მოცდეს, გული ფერმებს, ფაბრიკებს აშენებს და თვითონვე გადააქვს პროდუქციას. საკმაოდ მომგებიანია“.

ბერნსმა თავი დაუქნია – ეს გული ფრიად გონიერი ყმაწვილია. თუმცა ყველაფერს ფაქტები წყვეტს, საქმეში კი, როგორც ბერნსმა კარგა ხანია გაითავისა, მთავარ როლს წმირად რაღაც წვრილმანი ასრულებს – თუნდაც რაიმე ძველი წყენა, მივიწყებული საუბარი, შემთხვევითი შეხვედრა. მაშ, ვის დასჭირდა ჯეი გულის მოკვლა?

შემდეგი დღე დეტექტივმა ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში გაატარა – „ნიუ-იორკ თაიმსის“ და „რკინიგზის მიმონიღვის“ ნომრები, „ფინანსური მაცნეების“ დასტა აიღო და კითხვა დაიწყო. ნახევარ საათში აქციების, გარიგებების, მოკლევადიანი კონტრაქტების ინფორმაციით თავი დაუძმინდა. დეტექტივმა ვერაფერი გაიგო, გარდა ერთისა: ჯეი გულის სიკვდილი შეიძლება ნდომოდა ამერიკის ნებისმიერ ბროკერს, ბანკირსა თუ ბიზნესმენს. „ეს საზიზღარი არსება თითქოს იმისთვისაა მოვლენილი, რომ ადამიანთა ცოდვები შეგვახსენოს“, – წერდა გაზეთი „ჰერალდი“. „გული – მთელ ამერიკაში ყველაზე მზაკვარი სპეკულანტია, მას სინდისი არ გააჩნია, მორალური პრინციპები კი, თავისუფლად შეუძლია ყალბი ობლიგაციების დასტაში გადაცვალოს. ის ყველა კეთილსინდისიერი ამერიკელის ჯიბეში ცდილობს ხელის ჩაყოფას, სულ იმისკენ ისწრაფვის, რომ ყველა წესიერი ბიზნესმენი „გაცუროს“. ერთი მწიკვი, უვარგისი ბურნუთისთვის მშობელ დელასაც კი გაყიდის!“ გაზეთებს თუ დაუჯერებთ, ჯეი გული ამერიკაში ყველაზე საბუღალთო და ამავე დროს, მხალღი და უპრინციპო პიროვნება იყო. „მან ედისონისგან ტელეგრაფის გამოყენებაზე პატენტის შეიძინა, ახლა მონოპოლიას ფლობს და სხვის ინფორმაციას ისმენს!“ – შფოთავდა „ნიუ-იორკ თაიმსი“. „გულს თავისი ხალხი მთავრობასა და სასამართლოში ჰყავს, ის გაზეთებს აკონტროლებს და ფინანსისტებს ატყუებს. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს?“ გამონათქვამებს თან კარიკატურებიც ახლდა, სადაც გული ემშაკის სახით გვევლინებოდა. ასე იყო თუ ისე, ბერნსმა რამდენიმე თავშესაქცევი ინფორმაცია შეაგროვა და დრაკონის ბუნაგში წასასვლელად მოემზადა.

გულდების კარმიდამო ნიუ-იორკიდან ოცი კილომეტრის დაშორებით, ლინდსპერტში მდებარეობდა. ბერნსი ამ ადგილებში ნამყოფი იყო და ყოველთვის უკვრდა – ვის მოუვიდა აზრად აქ გოტიკური ციხისიმაგრის აშენება? კოსტა კოტეჯებს თავზე

რუხი ქვისგან აგებული პირქუში ნაგებობა დაჰყურებდა. შიდა ეზოს მასიური კედლები ჰქონდა შემოვლებული, მოშორებით კი ნამდვილი შუასაუკუნოვანი სამრეკლო აღმართულიყო, რომლის თავზეც არავის ენახა ზარი. „რომელი ექსცენტრიკული პიროვნება ცხოვრობს ამ ქვის ტომარაში?“ – ამ კითხვავზე პასუხი დეტექტივმა ახლა უკვე იცოდა...

ციხისიმაგრის გრძელ დერეფანში ბერნსი მსახურს მიჰყვებოდა და თან იქაურობას ათვალიერებდა. აქ ნათელს ვერაფერს ნახავდით – ყველაფერი რუხი, შავი და ყავისფერი იყო. დეტექტივი ცდილობდა, არც ერთი წვრილმანი არ გამოჩენოდა, მაგრამ მზერა ვერაფერზე შეაჩერა – ირგვლივ მხოლოდ შიშველი კედლები და ქვის იატაკი ჩანდა.

გული დეტექტივს თავის კაბინეტში ელოდა. ბერნსი სავარძელში მოკალათდა და იმ ადამიანის თვალიერებას შეუდგა, რომელიც სიკვდილისგან უნდა ეხსნა. თვალის ერთი შევლებაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაეგო: იდუმალი შურისმაძიებელი ტყვიად აჩქარებდა მოვლენებს – მისტერ გულს დიდი დღე მაინც არ ეწერა. კანი მოყვითალო ჰქონდა, თვალები ავადმყოფურად უელავდა. ბერნსს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მის წინაშე ცოცხალი მიცვალებული იჯდა. „იცით, ინსპექტორი, – დაილაპარაკა წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმით, – ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მე ადრეც მიმიღია მუქარის წერილები, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. მაგრამ ახლა... მსოფლიოში რაღაც შეიცვალა. მათ ჰარფილი მოკლეს, პრეზიდენტი! – წამოიყვირა უცებ წვრილი ხმით. – ღმერთი ხედავს, მე ამქვეყნად არავისი მემინია, მაგრამ ოჯახის, შეილების გამო ვალდებული ვარ, ზომები მივიღო.“ „ექვნი გაქვთ ვინმეზე? ბევრი მტერი და არაკეთილმოსურენი გყავთ?“ – დაინტერესდა ინსპექტორი. გულმა ჩაიცინა და ფანჯარას მიუახლოვდა: „მტერი მეტი მყავს, ვიდრე ფოთლებია მუხაზე. ექვნი კი ყველაზე მაქვს, აბსოლუტურად ყველაზე.“

სხვაგვარ პასუხს ბერნსი არც ელოდა. მან ჯიბიდან გაზეთის ამონაწერები ამოიღო და კითხვას შეუდგა: „ჯეი გული: სისხლით მორწყული მილიონები“ და გადმოცემული იყო გულის ყოფილი კომპანიონის ამბავი, რომლის თვითმკვლელობაშიც პრესა გულს ადანაშაულებდა. „ეს სიმართლეა? – დაინტერესდა ბერნსი, – მას ხომ შეილება, ახლობლები დარჩა, იქნებ შურისძიება მათ სწყურიათ?“

„ეს ყველაფერი სიცრუეა. თუ ადამიანი ფინანსურ ოპერაციებში ერკვევა, ის ამის შესახებ გაზეთებს კი არ აცნობებს, არამედ ბირჟაზე თამაშობს. ადამიანებს გაურკვეველობა აძინებთ და ამიტომ მიწოდებენ მე-


ფისტოფელს. მე რომ იმის ნახევარი მაინც ჩამეძინა, რასაც მპარლემენ, დიდი ხანია სინე-სინეში (იმდროინდელ ამერიკაში ცნობილი ციხე. – რედ.) ვიჯდებოდი. რა თქმა უნდა, სიმართლის მარცვალი ამ სტატიაში არის – ფაქტები, სახელები... მაგრამ სინამდვილეში ეს ყველაფერი სხვანაირად მოხდა...“

ჯეი გულის მამა, ჯონ გული სიტყვაძუნწი კაცი იყო. ის თვლიდა, რომ წარმატება ადამიანს კბილებით უნდა მოიპოვოს.

ოთხი გოგონას შემდეგ გაჩენილი ბიჭი – ჯეი საკმაოდ სუსტი იყო და მშობლებს მისი გადარჩენაც კი ეჭვებოდათ. ჯონ გული მაშინ დაქვრივდა, როცა უფროსი გოგონა თოთხმეტი წლის იყო. ოჯახს დიასახლისი სჭირდებოდა და ჯონი ზაფხულში ხელახლა დაქორწინდა, თუმცა შობისთვის ისევ დაქვრივდა. საბრალო ჯონი ბედის დარტყმებს, როგორც გარდაუვალ მოვლენას, ისე აღიქვამდა. რამდენიმე თვის შემდეგ ორმოცდაათი წლის ქვრივმა ისევ მოძებნა საცოლე.

სირთულეებს ახალგაზრდა ჯეი გულიც ჯიუტად ებრძოდა. მან მამა დაიყოლია და ქალაქის სკოლაში დაიწყო სწავლა. თავიდან ჯონი ამბობდა – „არა“, მაგრამ ჯიუტმა შეიღმა მაინც თავისი გაიტანა. ერთი კვირის შემდეგ მშვიერი, დაკონკილი და ფეხშიშველი ჯეი შინ დაბრუნდა (გზისთვის მას მხოლოდ რამდენიმე ცენტრი ჰქონდა), მამამ კმაყოფილებით ჩაიცინა, მაგრამ დანაყრებულმა ჯეიმ ისევ მოიგლო ზურგზე ტომარა და იმავე გზას გაუდგა.

ართიმეტიკა, გრამატიკა, თხზულებები – გული სამ საათზე დგებოდა და ათზე წვებოდა. თავის გასატანად კი, მჭედელს დაუდგა შეგირდად, თუმცა სამჭედლო საქმეზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ფინანსმა ჯეიმ გეომეტრიაც დაძლია და იმდენად კარგ შედეგებს მიაღწია, რომ ერთ წელიწადში დელავერის შტატის რუკის შესადგენად დაიქირავეს. ექვს თვეში დამწყებმა კარტოგრაფმა ფეხით თითქმის მთელი შტატი მოიარა. გაიცნო საჭირო ხალხი, ორჯერ გადაურჩა საეჭვო ფერმერთა ტყვიას, ფულს კი ნალების დაჭვდვითა და მზის საათის აგებით შოულობდა და თავი გაჰქონდა, მაგრამ რუკის შემკვეთი გაიძვირა ამოჩნდა: ფული არ გადაუხადა და პროექტის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე დაემალა. თვრამეტი წლის ახალგაზრდამ საშუალო მაინც დაასრულა: მოძებნა გამომცემელი, მოელაპარაკა მომავალ მყიდველებს – შტატის ბროშურად დასტამბული ისტორიისა და ზუსტი რუკის ხელში ჩაგდება ბერნს სურდა. იმ დღეს, როცა სტამბას პირველი ეგზემპლარი უნდა დაეჭვდა, ჯეიმ პირველად მისცა თავს განტვირთვის უფლება: ქალაქის წვილ მოხელებთან ვიზიტებისთვის ნაყო-



**ელვისებური საფინანსო ოპერაციის შედეგად, გულდმა თვით ვანდერ-ბილტი „გააყურა“ და „ერის“ სარკინიგზო გზები დაისაკუთრა (კარიკატურა იმდროინდელი პრესიდან)**

დი ერთადერთი გამოსასვლელი კოსტიუმი ჩაიცვა, პაპში ერთი ჭიქა საუკეთესო ვისკი დალია და აუჩქარებლად გაემართა ღიღების მოსახვეჭად.

უსიამოვნება უკვე ორი კვარტალის გავლის შემდეგ შეიგრძნო. მისკენ ხალხი მობრბოდა, მელუნები შემოვითებით ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ჯეი ახლოს მივიდა და გაქევადა: სტამბის ადგილას კვამლი და ნანგრევები დახვდა. „უბედურებაა! – ისმოდა ბრბოში, – სულ რაღაც ნახევარ საათში ყველაფერი დამთავრდა“. როცა უსაქმურები დაიშალნენ, ჯეი ნანგრევებში შეძვრა და საღამომდე იქეჭებოდა – ცდილობდა, თავისი პირველი წიგნის ძვირფასი ნიმუშიდან რაღაც ნაწილი მაინც გადაერჩინა, მრავალთვითანი ნაშრომისგან მხოლოდ ფერფლი დარჩა, ყველაფრის თავიდან დაწყება გახდა საჭირო...

მაგრამ ჯეი გულდი თავისი მამის ღირსეული შეილი იყო და ასეც მოიქცა.

კიდევ ნახევარწლიანი დაუღალავი შრომა, რომელიც დიდიდან საღამომდე, დღესასწაულებისა და დასვენების დღეების გარეშე გრძელდებოდა და წიგნი დღის სინათლეზე მაინც გამოვიდა. ის კეთილგანწყობით მიიღეს და გულდმა პირველი სერიოზული თანხა იშოვა. ერთი კვირის შემდეგ კი, ის სტუმრად მიიწვიეს ადგილობრივ მდიდარ მოსახლესთან, რომელმაც ქონება ტყავის გამოყვანით დააგროვა. ზადეკ პრატი-ს გარეგნობამ ჯეი თავდაპირველად გააოგნა – მოსული, ჭადარა, უხეში მამაკაცი, მოურიდებლად ხარხარებდა ყოველ სიტყვაზე და ცხენების შესახებ ოდის შექმნას ითხოვდა: „მე ცხენები მიყვარს, ყმაწვილო, შენ კი კარგად წერ – ისე გააკეთე, რომ დასაბუთებული და მრავალფეროვანი ნაშრომი გამოგივიდეს!“

პრატს ოღა მოეწონა და მასში ორასი დოლარი გადაიხადა, მაგრამ უფრო მეტად

ის თვით გულდმა მოხიბლა. ის მორიდებული, წყნარი, ამავე დროს ჭკვიანი და ენერგიული ახალგაზრდა იყო. ისინი სულ უფრო სწორად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ჯეი ამოდ აგულიანებდა მოხუცს, თავისი ფერმის ილუსტრირებული ისტორია გამოეცა. მალე ზადეკი მიხვდა: ჯეი სწორედ ის ყმაწვილია, რომელიც სჭირდებოდა. მან გულდს შტატის საზღვრის იქით გამგზავრება შესთავაზა, რათა იქ ძლიერი და დიდი ტყავის სათირილავი საწარმო დაეფუძნებინა. პრატი დიდი ხანია ამას აპირებდა, მაგრამ თავად გამგზავრებას უფროთხიდა – ასაკი აღარ უწყობოდა ხელს, თავიანი თანაშემწე კი ვერაფრით მოეძებნა... ყოფილი კარტოგრაფი, მომავალი საწარმოს მეწილედ და მუშათა მთელი არმიის უფროსად იქცა.

– ... ერთი წლის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა, – გულდი ინსპექტორ ბერნსს თავზე ადგა და ხელით ძვირფას საკინძეს ათამაშებდა. – როცა ფაბრიკა ამუშავდა, მიმოვიხედე და მივხვდი: საუკეთესო დრო იყო ადგილობრივი მიწების შესაძენად – ის მაშინ იაფი ღირდა, ფასი კი შემდგომში რამდენჯერმე გაიზარდებოდა. მოხუცი კი თავისაზე იდგა: შენს საქმეს მიხედე და სხვა რამეში ნუ ერევი, ორი კურდღლის ღვენა არ გარგებსო... ინსპექტორო, თქვენ სომ კონიერი ადამიანი ხართ და ხვდებით: ამქვეყნად არანაირი წესები არ მოქმედებს! ისინი ხალხის მოგონილია, ხალხი კი ხშირად ცდება. შანსი – ნებისმიერი ბიზნესის ქვაკუთხედი და ის უნდა გამოიყენო.

ბერნსი დაფიქრდა: ის, რაც გულდმა მას უამბო, არც ერთი უურნალისტიისთვის არ უთქვამს. წამყვანი გაზეთების რედაქტორებმა პრემიაც კი დააწესეს: 5.000 დოლარი მას, ვინც გულდისგან ინტერვიუს აიღებს და 3.000 – მისი ოჯახის ნებისმიერ წევრ-

თან საუბრისთვის. ეტყობა, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მილიონერს აზრის გამოთქმისა და აგრეთვე თავის მართლების მოთხოვნილება გაუჩნდა.

„როცა ზადეკმა შეიტყო, რომ კომპანიის ფულთი მიწებს ვეიღულობდი, საოცრად განრისხდა. ჩემი გაგდება არ შეეძლო – კონტრაქტი გვქონდა დადებული, ამიტომ ულტიმატუმი წამომიყენა: ან ჩემი წილი 10 ათას დოლარად მიმიყვანა, ან მისი წილი გამომესყიდა 60 ათას დოლარად. სულელი ბერნიკაცი! მისი წილის მყიდველები უცებ გამოჩნდნენ, ეს სწორედ სტატიაში ნახსენები ორი კომპანიონი იყო, ასევე ტყავის მწარმოებლები, მაგრამ ისინიც უნიჭოები იყვნენ: რაღაც აბდაუბდა წერილებს მწერდნენ, რაღაცას მოხვდნენ. ის წელიც წარუმატებელი აღმოჩნდა – ტყავი გაიფუტა, კომპანიის აქციებმა დაიწია. მე, ბირჟაზე თამაში ვცადე, მაგრამ... მალე გაკოტრებაზე დაიწვეს საუბარი და მართლაც... ჩემმა პარტნიორმა თავი მოიკლა. მას ნამდვილი პარანოია სჭირდა, ეს ბევრ დოკუმენტშია დაფიქსირებული. ცხადია, მისი ახლობლები კეთილი სიტყვებით არ მომიხსენიებენ, მაგრამ მისი სიკვდილი ჩემთვის ბრალად არასდროს წამოუყენებიათ. ვფიქრობ, არც იმაში მადანაშაულებენ, რაც ქალაქის ამ ნაგლეჯზეა აღწერილი.“

ბერნსმა გულდის კაბინეტი დატოვა და ჩუმად შეიგინა: არავითარი წინსვლა. უცებ მას ხმადაბლა დაუბახეს. ბერნსი შებრუნდა და უბრალო რუხ კაბაში გამოწყობილი საშუალო ტანის ქალი დაინახა. „თქვენ ხართ ინსპექტორი ბერნსი? მე ელენი ვარ, ჯეის ცოლი. გთხოვთ, შემობრძანდით, თქვენთვის რაღაც მაქვს სათქმელი.“

ელენი აშკარად ღელავდა, მან რაღაც საქალაქე ამოიღო. „ვიცი, ჩემი ქმარი ძალიან გულჩათხრობილია, – დაიწყო მან ბორძიკით. – ის არასოდეს ვეცდებოდა ყველაფერს. მე დიდი ხანია ვაგროვებ მის საქმეებთან დაკავშირებულ მასალებს. გამომართვით, შეიძლება გამოგადგოთ“. ბერნსს საგულდაგულოდ შეკრული გაზეთების ამონაჭრები მისცა და დასძინა: „კიდევ რაღაც მინდა გითხრათ: წლების მანძილზე ჩემი ქმარი მტრობდა ვანდერბილტების ოჯახს. მე მათ არაფერს ვაბრალებ, – შემფრთხალმა ქალმა დააზუსტა, – მაგრამ... ალბათ თქვენთვის ცნობილია „ერის“ საქმე? ის დიდად გახმაურდა თავის დროზე“.

... სასამართლო დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. უურნალისტებს, ბროკერებს, უბრალოდ უსაქმურებს მოეყარათ თავი. ყველა იმ სავარძელს მისჩერებოდა, რომელშიც უდიდესი და საშინელი კომოდორი ვანდერბილტი გამოჭიმულიყო. სასამართლო განიხილავდა საქმეს – „ვანდერბილტი ღების, ფისკისა და გულდის წინააღმდეგ“.

ღვსს, ფისკისა და გულდს ბევრი იცნობდა – ისინი ნიუ-იორკის საფინანსო ბირჟაზე

ყველაზე წარმატებულ სპეკულანტებად ითვლებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს სამივე მიხვდა, რომ ყველაზე კარგი კაპიტალდაბანდება რკინიგზა იყო და სულ მოკლე დროში კომპანია „ერის“ აქციათა მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიძინეს, რომელიც ცოტა ხნით ადრე იაფად იყიდა ვანდერბილტმა. ერთი ელვისებური ოპერაცია და სამივე, ღირებულოთა საბჭოში აღმოჩნდა. გაცოფებულიმა ვანდერბილტმა სასამართლოს მიმართა და ახლა ყველა თვალყურს ადევნებდა, ვინ მოიგებდა საქმეს – ცნობილი მილიონერი თუ ქულებიანი სპეკულანტები?

გულდი თავს მშვიდად გრძობდა – აქციები ხომ „სამეულის“ ხელში იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, „ერი“ სამი კომპანიონის სრულ და საბოლოო მფლობელობაში გადავიდა. განრისხებულმა ვანდერბილტმა გულდს თითი დაუქნია: ოდესმე აუცილებლად გაკოტრდები და ქუჩა-ქუჩა ხელგაწვდილი ივლიო...

იმ დღიდან ვანდერბილტების ოჯახში გულდის გვარის ხსენება აიკრძალა: ბერიკაცი ცოფებს ყრიდა, როცა კონკურენტის წარმატების ამბავს შეიტყობდა ხოლმე. ყოველ წელს გულდის ხელში სულ უფრო მეტი რკინიგზა გადადიოდა – სტრატეგიულ ოპერაციებსა და მოულოდნელ სვლებში ჯეის ბადალი არ ჰყავდა...

ღეტქებიც კეთილდღიანად შეისწავლა ელენისგან მიღებული მასალები და მოულოდნელი რამ აღმოაჩინა: მრავალწლიანი მტრობის შემდეგ ვანდერბილტი და გულდი პარტნიორები გახდნენ. კომპლარი მოულოდნელად გარდაიცვალა გულდის შეტევით. მისმა ვაჟმა კი ჩათვალა, რომ ამ უცნაურ ვაჟბატონთან დავა არ ღირდა – ამით ყველაფერი შეიძლება, დაეკარგა.

ასე რომ, გამოძიების ეს სახიცი ჩინში მოექცა. ბერნსი ყურადღებით გაეცნო სხვა ამონაწერებსაც: მათში მოთხრობილი იყო იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს გულდის ცემას, მისი ოფისის კარის დამტკრევას ან მისთვის კისრის მოგრენას აპირებდნენ. ბერნსმა გადაწყვიტა, პირადად მოენახულებინა იქ მოხსენიებული ყველა პიროვნება, მანამდე კი მისი ყურადღება შემთხვევითა სვეტში გამოქვეყნებულმა ერთმა ამბავმა მიიპყრო: „ცნობილი ფინანსისტი ტიმ პიტი საბოლოოდ შეიშალა და ის პიტსბურგის ერთ-ერთ კერძო კლინიკაში მოათავსეს. შესაძლოა, მისი გაგიჟების მიზეზი გაკოტრება გახდა, რომელიც ბირჟაზე გამართულ ცნობილ „შავ პარასკევს“ მოჰყვა. მოწმეები ამბობენ, რომ ტიმი გაბუდებით ახსენებს სკანდალურად ცნობილი მაგნატის ჯეი გულდის სახელს და ირწმუნება, რომ ჯეი მას უთვალთვალებს“.

ბერნსმა სწრაფად გამოარკვია, რომ პიტს გოგონა, ორი ვაჟი და დამწუხრებული ცოლი დარჩა და მეორე დღესვე მათ მიადგა. კარის

ზღურბლთან მდგარი, ის საკუთარი ქცევის ვარიანტებს არჩევდა – იმთავითვე გაეგნებინა მასპინძელი თუ ფრთხილად შეეპარებინა სათქმელი. ბერნსს დიდად არ სჯეროდა ამ ვერსიის წარმატებისა, მაგრამ თავს მოვალედ თვლიდა, ყველაფერი შეემოწმებინა. გოგონა, რომელმაც სასტუმრო ოთახში შეიყვანა, ღეტქების მოსამსახურე ეგონა, ჯიბიდან „შურისმაძიებლის“ წერილი ამოიღო და მოკლედ აუწყა, რომ პიტის ოჯახის წევრებთან რამდენიმე კითხვა ჰქონდა, მის მუხრვეობაში მყოფი პირისთვის გაგზავნილი წერილის შესახებ. გოგონას მოულოდნელობისგან ხელიდან ჰქცა გაუვარდა, ბერნსმა შეხვდა, როგორ კრეფდა აკანკალებული ქალიშვილი იატაკიდან ნამსხვრევებს და მიხვდა, რომ გამოძიება დასრულდა.

„ის ეშმაკია, ეშმაკი, – ცრემლებს იწმენდა გოგონა, – წლების მანძილზე მუშაობდა მამჩემთან ერთად. ერთად მოიფიქრეს ქვეყნის მთელი ოქროს მარაგის შექმნა, რათა ფასები დაეღობო – ეს მათ რაღაცაში დასჭირდათ. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩაიფიქრეს: ბირჟა ჭკუიდან გადავიდა, ფასები მკვეთრად დაეცა, შემდეგ გულდმა საიდანდაც შეიტყო, რომ მთავრობამ ბაზარზე ხელშეუხებელი ოქროს მარაგის გამოტანა გადაწყვიტა და მამას არაფერი უთხრა! გულდმა მილიონები იშოვა, მამა და მასთან ერთად ათასობით ბროკერი კი, გაკოტრდა. ბირჟის შენობაში თორმეტმა ბანკირმა მოიკლა თავი, ერთი ფაჯრიდან გადახტა, მამა კი... – გოგონა ხმამაღლა აქეთინდა – მამა კურორტზე გაემგზავრა და უცებ ისეთი უცნაური გახდა: სულ უკან იფურებოდა, მეგობრებს ეუბნებოდა, რომ ისინი გულდმა მოისყიდა, რომ მას უთვალთვალებენ, თანაც, მთელი ტანით კანკალებდა... ახლა კი, დამოუკიდებლად ჭამაც არ შეუძლია – დამბლა დამართა. მე უბრალოდ გულდის შემინება მინდოდა: სროლაც კი არ ვიცი, სახლში კი თოფიც არ გვაქვს. მე ახლა ციხეში ჩამსვაშენ?“ – გოგონამ თავი ასწია და შეკრთა: ღეტქები ოთახში აღარ იყო.

... „ახლა უკვე თქვენი გადასაწყვეტია, როგორ მოვიქცეთ, – დაასრულა თხრობა ბერნსმა. – მე ცნობები შევაროვე – პიტებს ნამდვილად უჭირთ, ისინი ავადმყოფს უვლიან და თავს შემთხვევითი შემოსავლებით ირჩენენ. ამით მე ჩემს საშუალოს დასრულებულად მივიჩნევ“. გულდს ღეტქების ბოლო

**ჯეი გულდის სიკვდილის შემდეგ მამის სარკინიგზო იმპერია მისმა შვილიშვილმა ჯორჯ ჯეი გულდმა მიიღო მემკვიდრეობით (სურათზე – მეუღლითურთ)**

ფრაზა თითქოს არც გაუგია. ის ერთ წერტილს მიშტერებოდა და დაბნეული იმეორებდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მე ხომ მას ბავშვობიდან ვიცნობ, ტიმი ყოველთვის ამყოფდა თავისი ქალიშვილით... ალბათ ფიქრობთ, რომ მისი ავადმყოფობა ჩემი ბრალია?! – უცებ აღშფოთებით წამოიბაზა გულდმა. – ეს ხომ ბიზნესია! ბიზნესი! გესმით? ყოველდღიურად ათასობით ადამიანი კოტრდება! მე რომ ყოველ მათგანზე ვიფიქრო, უკვე დიდი ხნის წინ საავადმყოფოში აღმოვჩნდებოდი!“ გულდმა მძიმედ ჩაახველა, ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე დაბნეული გამომეტყველება აღებეჭადა. ბერნსი გაქვავდა – ცხვირსახოცს სისხლის კვალი ეჩნებოდა. „მე ჩემს ავადმყოფობას ვმალავ – საწყალობლად შეხვდა ღეტქებს, – თუ ამას ბირჟაზე გაიგებენ, ჩემი კომპანიის აქციები მაშინვე დაეცემა. მათ ჩემი მანამდე ეშინათ, სანამ ცოცხალი ვარ, შემდეგ კი...“ ბერნსმა ამ სცენას ვერ გაუძლო და კარისკენ გაემართა. „დამპირდით, რომ არავის ეტყვიო! – დააწია მას ხმა გულდმა – დამპირდით!“

... ოთხი თვის შემდეგ ჯეი გულდი ტუბერკულოზით გარდაიცვალა. დიდი ხნის წინ შედგენილი ანდერძი ასეთი იყო: მთელი ქონება, მოძრავი და უძრავი, მის ოჯახს უნდა გადაეცეს. ახალი, მხოლოდ პატარა მინაწერი იყო: „15 ოქროს ზოდი პირადი საცავიდან პიტსბურგში, ლეიკ-ავენიუს №23-ში მცხოვრებ პიტების ოჯახს ეკუთვნის“ და მოკლე ხელმოწერა – გულდი.

**მოამზავა  
მანანა ლოლოპრიკაძე**



# მილ გეიტსი წახდინან ჩამთავრეს



სენსაციური ცნობები გამოაქვეყნა ბრიტანულმა გაზეთმა SUNDAY TIMES-მა, რომელმაც მკითხველებს პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგი შესთავაზა. გაზეთის გამოთვლების თანახმად, „მაიკროსოფტის“ ხელმძღვანელი ბილ გეიტსი აღარ არის მსოფლიოს უმდიდრესი კაცი. მისი კაპიტალი სულ უფრო მცირდება და ახლა 54-ოდე მლრდ დოლარს შეადგენს (სულ ცოტა ხნის წინ, ის თითქმის ორჯერ მეტი იყო), უმდი-

დრესად კი, სუპერმარკეტების ცნობილი ქსელის – WALMART-ის მეპატრონე სემ უოლტონი მოგვევლინა: მისი საკუთრება 65 მლრდ დოლარს აღწევს.

„სანდი თაიმის“ რეიტინგი ადასტურებს ბოლოდროინდელ ტენდენციას, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების წარმომადგენელთა საფუძვლიან შემოფოთებას იწვევს: თუ შარშან ამ სფეროს კომპანიები რეიტინგის უდავო ლიდერები იყვნენ, ახლა მათ საგრძნობლად სჯაბნიან სანაფთობო ბარონები და მსხვილი სავაჭრო ქსელების მეპატრონეები. წლებადღე პირველ ათეულში, უოლტონისა და გეიტსის გარდა, შედიან: კომპიუტერული მაგნატი ლარი ელისონი (ORACLE), ფინანსისტი უორენ ბაფეტი, საუდელი შეიხი აბუ დხაბი, ALDI-ს მაღაზიების ქსელის მეპატრონე ძმები ალბრეხტები, საუდელი პრინცი ალვალედ ბინ ტალალი და გეიტსის „მაიკროსოფტელი“ თანამშრომელი პოლ ალენი.

## მომლოტალი ავტოპატჯს ყიდის

ელტონ ჯონმა წარმომადგენლობითი კლასის თავისი 20 ავტომობილის გაყიდვა გადაწყვიტა და აუქციონზე გასატანად ისინი კომპანია „ქრისტის“ გადასცა. ამ ოპერაციის შედეგად ვარსკვლავი ამ ცოტა ხნის წინ წაგებული სასამართლო პროცესის შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურებას აპირებს. ელ-



ტონ ჯონი თავის მწვევარებს ელაგებოდა, რომლებმაც, მისი აზრით, მაქინაციების შედეგად, გასტროლების დროს 20 მლნ დოლარით გაქურდეს. სასამართლომ უსაფუძვლოდ სცნო მუსიკოსის ბრალდებები და სასამართლო ზარჯების – სულ 12 მლნ დოლარის ანაზღაურებაც დააკისრა. „ქრისტის“ აუქციონზე გამოტანილი იქნება 1979 წლის გამოშვების ROLLS-ROYES PLANTOM VI (შეფასებულია 157.000-დან 215.000-მდე) და ASTON MARTIN V8 (72.000-დან 100.000-მდე).



## ჰარისონი თავისი სასახლიდან გატმის

ექსპოთლმა ჯორჯ ჰარისონმა გადაწყვიტა, გაყიდოს თავისი 120 ოთახიანი სასახლე, რომელიც მდინარე თემზის სანაპიროზე, სოფელ ჰენლიში მდებარეობს. მუსიკოსის თქმით, მას აღარ შეუძლია იმ სახლში გაჩერება, სადაც კინაღამ დაიღუპა ორიოდე წლის წინ, როცა მასთან შეჭრილმა მანიაკმა დანით რამდენიმე ჭრილობა მიამყენა. მაშინ ჰარისონი მისმა მეუღლემ, ოლივიამ იხსნა: ბოროტმოქმედს რამდენჯერმე ჩასცხო თავში რკინის საჩხრეკი და მაგიდის ლამპა.

თავდასხმის შემდეგ 1,3 ჰექტარის ფართობის მამული უსაფრთხოების უახლესი სიგნალიზაციითა და დაცვით აღჭურვეს, კაპიტალური გაღავანაცა და მავთულხლართიც შემოავლეს, მაგრამ ჰარისონი ვერ და ვერ ივიწყებს იმ საშინელ დღეს – მას კომმარული სიზმრები არ ასვენებს. ჟურნალ Mail-ის ცნობით, სასახლე 22 მლნ დოლარად არის შეფასებული, თუმცა 1970 წელს მუსიკოსმა მასში 200.000 გადაიხადა. იმ დროიდან მოყოლებული, სახლში ბევრი რამ შეიცვალა: 1989 წელს ცნობილმა არქიტექტორმა ფრენკ ქრისტინმა სასახლისთვის საგანგებო დიზაინი შეიმუშავა, შემდგომში კი, ჰარისონმა მას მძლავრი სტუდია, ავტოფარეხი და ნაგებობი სასეირნო მიწისქვეშა ლაბორინთი შემატა.

## ყელაზგე ბუიბად ღიბრმული კონცტადცი

სამუსიკო ინდუსტრიის მთელი ისტორიის მანძილზე უმსხვილესი კონტრაქტი დაუდო მერაია ჰერის ხმის ჩამწერმა კომპანიამ VIRGIN RECORDS-მა, რომელიც მომდერალს 25 მლნ დოლარს გადაუხდის ახალი კინოფილმის – ALL THAT GLITTERS საუნდტრეკისთვის. ამგვარად, მერაია ჰერიმ მოხსნა ჯენეთ ჯექსონისა და ჯგუფ REM-ის მიერ დამყარებული რეკორდი, რომლებმაც თავიანთი ბოლო ალბომებისთვის 20-20 მლნ დოლარი მიიღეს.







# კვირის (21-27 მაისი) ასპროლოგიური პროგნოზი

## პარნოზი - 22/V-21/VI



ამ კვირაში პოზიტიური ენერჯის დიდ მოზღვაებას იგრძნობთ. ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას შეძლებთ, ყველაზე რთულ სამუშაოს გაუმკლავდებით და სიყვარულშიც დიდად გაგიმართლებთ. კვირის ბოლოსთვის შეიძლება მაღალმა მატერიებმა გაგიტაცოთ - ფილოსოფიას, რელიგიას მიეძალებით... სამაგიეროდ, უქმეებში კარგად დაისვენეთ.

## ქირხი - 22/VI-22/VII



წარმატებისა და ილბიან დამთხვევათა პერიოდი გელით. უსიამონო ამბავი თუ შეგემთხვავთ, თავს დააბრალეთ. კარგ ფინანსურ სიახლეებს მეგობრებისა და კოლეგებისაგან უნდა ელოდოთ. ამავე დროს, მიმდინარე კვირის მანძილზე გუნება-განწყობის ცვალებადობა, არაადეკვატური ქცევა და სევდის პერიოდული მოძალებაც შეგაწუხებთ.

## ლომი - 23/VII-23/VIII



გარშემომყოფთა დიდ მოწონებას დაიმსახურებთ, სამსახურში კი თქვენს ნიჭს სათანადო დაფასება ექნება. უცნაურია, მაგრამ ამ დროს, განმარტოების სურვილი შეგიპყრობთ. რა გაეწყობა - რაღაც კომპრომისების მიგნება მოგიწევთ.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



თქვენს შეყვარებულს დიდი განსაცდელი ელის: ბევრი სამუშაო გექნებათ, თანაც განმუხტვის საუკეთესო საშუალება თქვენთვის, ყველაზე ახლობელი ადამიანისთვის სამსახურებრივი პრობლემების გაზიარება იქნება. ეცადეთ, ზედმეტი არ მოგიფიდეთ: ნუ დაგავიწყდებათ, რომ შეყვარებულს სულ სხვაგვარი ურთიერთობა სწყურია.

## სასწორი - 24/IX-23/X



კვირის მანძილზე შეიძლება უცნაური შეგრძნება გქონდეთ - თითქოს ღროდადრო ვარდებით ცხოვრების რიტმიდან და ვერ გაგიგიათ, ვინ რას და რისთვის აკეთებს ამ ქვეყანაზე. ნუ დაკარგავთ რეალურობის გრძნობას. და კიდევ - ეცადეთ, ზედმეტი ხარჯი არ გასწიოთ შაბათამდე.

## ღმინაპალი - 24/X-22/XI



კვირის დასაწყისი შეიძლება უიღბლო აღმოჩნდეს თქვენთვის, გარშემომყოფნი კი სწორად ვერ გაგიგებენ. მაგრამ უკვე ოთხშაბათიდან, გარემოსთან ჰარმონიაში იცხოვრებთ. უქმეები ძირითადად, საოჯახო საქმეებსა და ახლობლებს უნდა მიუძღვნათ.

## მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



დაიოკეთ ამბიციები: ამ კვირაში საკმაოდ ძნელად საბასუხო გამოწვევა გელით. თავდაპირველად ყველაფერი კარგად გაიხარეთ. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ზოგჯერ უკან დახევაც არის საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ამკარა მარცხს ნამდვილად სჯობს: უამრავ კონფლიქტსა და დანაკარგს მაინც აარიდებთ თავს.

## თხის რქა - 22/XII-20/I



აქტიური მოქმედებებისთვის არცთუ ისე ხელსაყრელი კვირაა, სამაგიეროდ, საუცხოო პერიოდი გეგმების შესადგენად, სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად. ახლა თქვენთვის მოსმენა სჯობს ლაპარაკს, სამუშაო კი მომავალი კვირისთვის გადადეთ. უქმეებში შეიძლება თქვენს ახლობელს დასჭირდეს დახმარება.

## მკინულო - 21/1-19/II



ცვლილებებისკენ ლტოლვა და მრავალფეროვნების წყურვილი მიუღი კვირის მანძილზე არ მოგასვენებთ. კარგი სიახლის შანსიც რეალურია. ამაში ძლიერ დაგეხმარებათ ასაკით უფროსი ახლობლის რჩევა. შეგიძლიათ მიენდოთ აგრეთვე თქვენი ნიშნის სხვა წარმომადგენლებსაც.

## თევზები - 20/II-20/III



ამ კვირაში, საქმეში წარმატებებს, უპირველესად, თქვენი პედაგოგიური ნიჭიერება მოგიტანთ - ადამიანთა სწავლებისა და ხელმძღვანელობის თქვენული უნარი. სიფრთხილე გამოიჩინეთ საკუთარ აზარტულობასა და ავანტიურისტულობასთან მიმართებაში.

## მშვილი - 21/III-20/IV



სამსახურშიც კი ნაკლებად იქნებით დაკავებული სერიოზული მატერიებით. განწყობის შესაბამისად, ეცადეთ, რაღაც შეცვალოთ თქვენს სამუშაო ოთახში, მეტი სიმყუდროვე და კომფორტი შესძინოთ მას. თუმცა, კარგი იქნება, თუ კვირის შუა პერიოდიდან მაინც ეცდებით საქმიან ტალღაზე გადადრთვას, თორემ შეიძლება ბევრ რამეში ჩამორჩეთ.

## მშვილი - 21/IV-21/V



ორშაბათს რაღაც სერიოზულ პრობლემებს შეიძლება წააწყდეთ, შემდეგ ყველაფერი დაუბრკოლებლად აგეწყობათ. ხუთშაბათს ნებისმიერი სიტუაცია თქვენს სასარგებლოდ შემობრუნდება, მაგრამ თავს მოღუნების უფლებას ნუ მისცემთ: პარასკევს შეიძლება გადატვირთვისა და სტრესის ნიშნები იგრძნოთ, ამიტომ უქმეებში კარგად დაისვენეთ.

# რას

ნიშნავს ფულის ყაირათიანად ხარჯვა? მხოლოდ იმას, რომ იყიდო ნივთი იქ, სადაც უფრო იაფი ღირს, თუ ამაზე მეტს? შეგიძლიათ თუ არა გასწიოთ გონივრული რისკი, თუ უბრალოდ, მთელ თქვენს შემოსავალს ხარჯავთ? ან იქნებ ფრთხილობთ, რათა ისიც არ დაკარგოთ, რაც გაქვთ? ყველა ამ და კიდევ სხვა საკითხს წინამდებარე ტესტის საშუალებით გაარკვევთ.

- 1) თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ადამიანი პატიოსანი შრომით გამდიდრდეს?
  - ა) ღიას;
  - ბ) არ ვიცი;
  - გ) არა.
- 2) რეგულარულად ეცნობით თუ არა გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს ეკონომიკურ თემებზე?
  - ა) ღიას;
  - ბ) ხანდახან;
  - გ) არა.
- 3) შეგიძლიათ თუ არა, დიდ რისკზე წაზვიდეთ მოსალოდნელი მოგების იმდენით?
  - ა) ღიას;
  - ბ) არ ვიცი;
  - გ) არა.
- 4) ეთანხმებით თუ არა გამონათქვამს: „ფულს ბედნიერება არ მოაქვს?“
  - ა) ღიას;
  - ბ) არ ვიცი;
  - გ) არა.
- 5) როგორ ფიქრობთ, მომგებიანია თუ არა გლობალიზაცია კაპიტალდაბანდებებისთვის?
  - ა) ღიას;
  - ბ) არ ვიცი;
  - გ) არა.
- 6) თუ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს არ უყვარს ფულის გასესხება, როგორ ფიქრობთ, გაასესხებს თუ არა ის ფულს ნასვამი?
  - ა) ღიას;
  - ბ) თუ უგონოდ მთვრალი იქნება;
  - გ) არა.
- 7) ჩვეულებისამებრ, გრჩებათ თუ არა სახარჯო ფული ხელფასის მიღების წინა



## როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფულთან?

დღეებში?

- ა) ღიას;
  - ბ) ძალიან იშვიათად;
  - გ) არა.
- 8) როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, ადამიანმა თავი მხოლოდ გადაწყვეტილებით ირჩინოს?
- ა) ღიას;
  - ბ) არ ვიცი;
  - გ) არა.
- 9) ხშირად გაქვთ თუ არა ჯიბეში ხურდა ფული?
- ა) ღიას;
  - ბ) ხანდახან;
  - გ) არა.
- 10) როგორ ფიქრობთ, ბევრი ფული ადამიანს ხასიათს უფუჭებს?
- ა) ღიას;
  - ბ) არ ვიცი;
  - გ) არა.

11) პროდუქტის შეძენისას ამოწმებთ თუ არა ეტიკეტზე გამოსახულ ფასსა და წონას?

- ა) ღიას;
- ბ) ხანდახან;
- გ) არა.

12) გაქვთ თუ არა ურთიერთობა სადაზღვევო კომპანიასთან?

- ა) ღიას;
- ბ) დიდი ხანია ვაპირებ;
- გ) არა.

13) დიდხანს ფიქრობთ თუ არა, რაიმე საქმეში კაპიტალის დაბანდებისას?

- ა) ღიას;
- ბ) დაუფიქრებლად ეს არ შეიძლება;
- გ) არა.

14) ხშირად გაქვთ თუ არა ვალი?

- ა) ღიას;
- ბ) ხდება ხოლმე;
- გ) არა.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ა	2	2	1	0	1	0	2	0	2	2	2	0	2	0
ბ	1	1	2	0	2	1	1	1	1	1	1	1	1	1
გ	0	0	0	2	0	0	0	2	0	0	0	2	0	2

### დააჯამეთ მიღებული ქულები

**10 ქულამდე:** ფულთან დაკავშირებული რისკი თქვენი საქმე არ არის — მაშინაც კი, თუ მოსალოდნელია მოგება. თქვენ „კონსერვატორის“ ტიპს უფრო მიეკუთვნებით და გირჩევნიათ, საკუთარ ფულს თავადვე მიხედოთ. ვინმემ რომ თქვენი დარწმუნება შეძლოს და კაპიტალდაბანდებებზე დაგიყოლიოთ, საფუძვლიანი ანგარიშის წყალობით, აუცილებლად მოგებულნი დარჩებით.

**11-19 ქულა:** კაპიტალის ბაზარზე ორიენტირება არ გიჭირთ, რაც ნამდვილად მოსალოცია, მაგრამ საჭიროა, დროდადრო განიტვირთოთ და ნაკლებად გარისკოთ:

რისკიანი ხართ, შეიძლება, თქვენი საქმიანობა არაკონტროლირებადი გახდეს. ეცადეთ, კაპიტალი უმეტესად, ფასიან ქაღალდებში დააბანდოთ.

**20-27 ქულა:** თქვენ ნამდვილი ფინანსისტის მონაცემები გაქვთ. სარფიან და მომგებიან საქმეებში ნამდვილი „ყნოსვის“ უნარს იჩენთ, მაგრამ აუცილებელია, ზოგჯერ მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ. ყველაზე ნიჭიერი ადამიანებიც კი არ არიან დაზღვეულები შეცდომებისგან. ზედმეტად თვითდაჯერებული თუ იქნებით, შეიძლება მხედველობიდან გამოგრჩეთ საზიფათო მომენტი.



## ძაღვივით განვხიონიდი თუთიყუში


ის, რომ თუთიყუში ჭკუითა და გონებამ-  
ახვილობით გამორჩეული არსებაა, კიდეც  
ერთხელ დაადასტურა ტორონტოელმა ნენ-  
სი გალანტმა. ის ერთად ზრდიდა ახალ-  
გაზრდა თუთიყუშ – გორდისა და როტვეილ-  
ერის ლეკვს. ძაღლმა ფრენა ვერ ისწავლა,  
აი, თუთიყუშმა კი გონიერი ძაღლის ჩვევები  
შეითვისა: დაბიჯებს მიწაზე, ფეხით მო-  
სიარულე ადამიანებსა და ძაღლებს ყნოსავს  
და... ყვეს კიდეც. სწორედ ამ უკანასკნელი  
თვისებით „განაცვიფრა“ ტორონტოს პარკ-

ში მოსეირნე ბედლინგტონ-ტერიერი, რომელსაც მასთან ერთად ხედავთ სურათზე.  
სხვადასხვა ჯიშის ცხოველების თანაცხოვრებისას მსგავსი მოვლენები, წინათაც  
დაფიქსირებულა, მაგრამ ფრინველს რომ ოთხფეხა მეგობრის თვისებები შეეძინოს –  
ასეთი რამ პირველად მოხდა.



## სიკვდილით დასჯა სახაღმარებლო

ტიმოთი ჯეიმს მაკვეი, რომელმაც 1995 წლის აპრილში ქალაქ ოკლაჰომას  
ადმინისტრაციულ შენობაში აფეთქება მოაწყო, სიკვდილით უნდა დაესაჯათ 16 მისის,  
თუმცა ეს აქტი ერთი თვით გადაიდო. სასამართლოზე თავად მაკვეი დაბეჯითებით  
მოითხოვდა, რომ სიკვდილით დასჯა ტელევიზიით ეჩვენებინათ. მაკვეის მოთხოვნამ  
აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ სასამართლო მაინც დათანხმდა ციხის შიდა  
სატელევიზიო ქსელით სასჯელის აღსრულების ტრანსლაციას. კანონის თანახმად,  
ყველას, ვინც მაკვეის მიერ მოწყობილი ტერაქტის გამო დაზარალდა, უფლება აქვს,  
განაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესს დაესწროს. საკანში კი, სადაც მაკვეის  
მოაკვლინებენ (მას სასიკვდილო ინექციას გაუკეთებენ), მხოლოდ რვა კაცი ეტევა.



## საცუხაო ჯომჰდექი

მართალია, ამინდი ძლიერი სიცხით  
არ გვანებებებს, ქალბატონებმა უკვე  
დაიწყეს აქტიური მზადება საცურაო  
სეზონისთვის: კრიტიკულად ათვალიერ-  
ებენ საკუთარ ფიგურასა და თავიანთ  
საზაფხულო გარდერობს. „კრისტინ  
ლიორის“ მოდელების სახლის წარმომად-  
გენლების რჩევით, ცურვა, ზღვის ქაფში  
ნებივრობა და მზის სხივების აბაზანე-  
ბის მიღება მშვენიერი სქესის წარმო-  
მადგენლებისთვის მაქსიმალურად გამომ-  
ვლელ მდგომარეობაშია მოსახერხე-  
ბელი. საამისოდ საუკეთესო ალკაზმუ-  
ლობაა – ბიკინი, კეპი და საპლაჟე  
ნივთების ზურგჩანთა.

## ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხ-  
ველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა  
ვულოცავთ ბატონ ნიკოს და ვუსურვებთ წარმატებებს!

### „ჯალათობანა“ ჩემი ჰობია

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)


ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას  
გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და  
ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება  
მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის  
შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით  
გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში  
განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით.  
ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (22 მაისის) 13 საათამდე.




**„ფანტაზია“**

**„ჯალათობანა“ ჩვილი კობია**



**„ფანტაზიორებს  
გკითხვბული“**

**ქონებრივი დეკლარაცია**



# კრემი სკინორენი სერკესავით კრიკლა კანი



სამკურნალო  
საშუალება  
თქვენი  
კანისთვის

